მიხეილ სააკაშვილი: "არ ვაპირებთ ვარდის ჩაფლვას ფუნაში..." A2
მონადირე B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური
ოთხშაბათი, 4 დეკემბერი, 2002 წელი. №185
ფასი 50 თეთრი
© გაზეთი 24 საათი

## პოლიტიკა

### ისევ დაბანს ხელი ხელს?

ხვალისთვის დაგეგმილია აჭარაში სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრების ვიზიტი. რა არგუმენტებით ჩადის ავთანდილ ჯორბენაძე ბათუმში და რას დაახვედრებს აჭარის ლიდერი მას?

A3

## ეკონომიკა

### საბიუჯეტო ოფისი მთავრობას სეკვესტრისკენ მოუწოდებს

ნოემბრის ბიუჯეტიც გაირღვა. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წინასწარი მონაცემებით, ნოემბერში გარღვევამ, სულ მცირე, 12 მილიონი ლარი მაინც შეადგინა. მთლიანად, მიმდინარე წლის თერთმეტი თვის შედეგებიდან გამომდინარე , საბიუჯეტო ოფისი ფინანსთა სამინისტროს სეკვესტრის მომზადებას ურჩევს.

A4

## უცხოეთი

### ევროკავშირი თურქეთის მიმართ პოზიციას იცვლის?

თურქეთს მოულოდნელი მოკავშირე გამოუჩნდა გერმანიის კანცლერ შრიოდერის სახით, რომელმაც ახლახან განაცხადა, რომ 12 დეკემბერს თურქეთმა დადებითი მესიჯი უნდა მიიღოს.

A5

## საზოგადოება

### „ჰოპლა„ ნათქვამია, ელოდეთ ნახტომს!

თბილისის საკრებულომ ჯანდაცვის სფეროში ექიმთა კეთილგანწყობის მოპოვება და პაციენტთა გულის მოგება განიზრახა. ამისთვის გადაიდგა ორი წინასწარი ნაბიჯი. საკრებულომ გადაწყვიტა, ერთი წლით შეაჩეროს ჯანდაცვაში მიმდინარე ოპტიმიზაციის პროცესი და “03” აბსოლუტურად უფასო გახადოს.

A6

## სპორტი

### კახიაშვილმა „24 საათს„ ნამდვილი მიზეზი გაუმხილა

ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე გიორგი ასანიძის წარმატებამ, რა თქმა უნდა, გაახარა სპორტის ქართველი გულშემატკივარი. თუმცა, არანაკლები ინტერესით ველოდით ჩვენი კიდევ ერთი თანამემამულის, საბერძნეთის სახელით მოასპარეზე კახი კახიაშვილის გამოსვლას...

B7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | |
| ქუთაისი | 17 | |
| ბათუმი | 19 | |
| სოხუმი | 17 | |
| ფოთი | 19 | |
| თელავი | 7 | |
| ზუგდიდი | 18 | |
| გორი | 7 | |
| ახმეტა | 7 | |
| ჭიათურა | 11 | |
| გაგრა | 17 | |
| სამტრედია | 17 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1700 |
| ევრო | 2.1629 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3861 |
| რუბლი | 0.0681 |

# ქართველი სამხედროების მორიგი როტაცია ბალკანეთზე



ქართული ოცეული კოსოვოში მიემგზავრება.

კობა ლიკლიკაძე
რადიო "თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

5 ივნისს თურქების მიერ რეკონსტრუირებული მარნეულის სამხედრო აეროდრომიდან ქართველ მშვიდობისმყოფელთა მორიგმა ოცეულმა კოსოვოსკენ აიღო გეზი. თუმცა, ტრადიციის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალების 34 სამხედრო მოსამსახურე, თავდაპირველად თურქეთში ჩავა და მხოლოდ ორთვიანი სპეციალური მომზადების შემდეგ შეცვლის კოსოვოში მყოფ თანამებრძოლებს. საქართველოს ხელისუფლება უკვე წელსვე გეგმავდა სამშვიდობო მისიის გაზრდას ბალკანეთზე, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სურვილი უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე შესაძლებლობა.

ქართველი სამხედროები კოსოვოში განლაგებული სამშვიდობო ძალების(KFOR) შემადგენლობაში 1999 წლიდან მონაწილეობენ და ეს ქართული სამშვიდობო მისია ბალკანეთში, ძირითადად, თურქეთის ფინანსური დახმარებით ხორციელდება. აქ იგულისხმება ქართველი სამხედროების საჰაერო ტრანსპორტირება ყველა როტაციის დროს, ადგილზე მათი სრული სახით კმაყოფა. მხოლოდ სამჯერად კვებაზე ხარჯი ყოველთვიურად 180 დოლარს შეადგენს; გარდა ამისა, ქართველი სამხედროები უზრუნველყოფილნი არიან სამოსით, აღჭურვილობით და ყოველმხრივ კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლით სოფელ მამუშში.

ამას ემატება დღიური ჯიბის ფული, რაც ჯარისკაცებზე 5, ხოლო ოფიცრებზე - 26 დოლარს შეადგენს. მეტი სიზუსტისთვის დავძენთ, რომ დაახლოებით ამავე ოდენობის თანხას ღებულობენ ქართველი მშვიდობისდამცველები საქართველოს ხელისუფლებისაგან. განსხვავება იმაშია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რამდენჯერმე ამ უმნიშვნელო ფინანსური

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქუდია თუ ბოხოხია?

გიორგი ასანიშვილი

ბორჯომის ხეობაზე ნავთობსადენის გატარება-არგატარებით გამოწვეული ვნებათაღელვა თითქოს დასრულდა. თუმცა, მრავალი კითხვა კვლავ უპასუხოდ რჩება, მათ შორის, მთავარი - მილსადენის დაზიანების შემთხვევაში, დაემუქრება თუ არა ეკოლოგიური საფრთხე ბორჯომის ხეობას და ვის მოეთხოვება ამაზე პასუხი? **"ნავთობსადენის მარშრუტი ბორჯომსა და ბორჯომის ხეობას გვარდს უვლის და მისგან საკმაოდ მოშორებით გაივლის,"** - თუ საერთაშორისო ნავთობკომპანიის პრეზიდენტის ამ მტკიცებას დავიჯერებთ, სახელგანთქმული საკურორტო ზონის მომავალს შეგვიძლია მშვიდად შევხედოთ. **"ნავთობსადენი კვეთს მდინარე ბორჯომულას აუზს,"** - გარემოს დაცვის მინისტრის ნინო ჩხობაძის ეს განცხადება კი ყველაფერს თავდაყირა აყენებს და ეკოლოგიური კატასტროფის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირის ვინაობის ახლავე დადგენის აუცილებლობას წარმოშობს. პარლამენტი გუშინ მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა ჭანტურიასა და ჩხობაძეს შორის დაკარგული სიმართლის პოვნას, მაგრამ ამაოდ დაშვრა: რამდენიმესაათიანი დისკუსიის შემდეგაც დეპუტატებისთვის გაუგებარი დარჩა, "ბი-პი"-ს მიერ შერჩეული მარშრუტი "ქუდია თუ ბოხოხია", ანუ, უნდა იზეიმონ თუ იგლოვონ. ასე რომ, თემის დახურვაზე ლაპარაკი ნაადრევია. გაუცემელ კითხვებზე პასუხების მიღების მოთხოვნა საზოგადოებაში აუცილებლად გაჩნდება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტთან დაკავშირებით ატეხილ ხმაურს გიორგი ჭანტურია ბუნებრივად მიიჩნევს და იხსენებს, რომ თუ მეტი არა, ყოველ შემთხვევაში, არანაკლები აჟიოტაჟი იყო რამდენიმე წლის წინათაც, როდესაც სუფსის პროექტი იხილებოდა. **"ასეთი აჟიოტაჟი კარგიც კი არის, რადგან საზოგადოების სიფხიზლეს განაპირობებს და არასწორი გადაწყვეტილების**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქართველი ელჩის რუსულ-ქართული პრობლემები

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთში საქართველოს ელჩი ზურაბ აბაშიძე, საქართველოში რუსეთის ფედერაციის ახალ ელჩად ქართული წარმომავლობის დიპლომატის მივლინებას იმით ხსნის, რომ ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ზნე-ჩვეულებების კარგი ცოდნა მუშაობაში ეხმარება დიპლომატს. აბაშიძეს არ ეთანხმება ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე. ისინი ამბობენ, რომ ვლდიმერ ჩხიკვიშვილს სწორედ საკუთარი ქართველობის გამო საქართველოში ელჩობა ძლიერ გაუჭირდება. მოსკოვში ბევრს მიაჩნია, რომ ბატონი ჩხიკვიშვილი ერთობ პიკანტურ სიტუაციაში აღმოჩნდება, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ, ევროპის ქვეყნების ანალოგიით, ელჩის ეროვნული ფაქტორით დანიშვნა კრიტიკულ სიტუაციებში ამართლებს.

დღეს ცნობილია მხოლოდ ის, რომ რუსეთის ფედერაციის ახალი ელჩი საქართველოში უახლოეს დღეებში გაემგზავრება. იგი მოსკოვში ჟურნალისტებთან კონტაქტებს გაურბის. ერთადერთი კაცი, ვისაც თბილისში გამგზავრებამდე შეხვდა, ზურაბ აბაშიძე გახლდათ.

**- ბატონო ზურაბ, ცნობილია, რომ საქართველოში რუსეთის ახალი ელჩის კანდიდატურა თავად ვლადიმირ პუტინმა დაასახელა. რამ განაპირობა ეს არჩევანი და როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ბატონმა ჩხიკვიშვილმა?**

- ინფორმაცია, რომ სწორედ რუსეთის პრეზიდენტი იყო დაინტერესებული ამ დიპლომატის საქართველოში აკრედიტებით, უკვე დადასტურებულია. ეს არჩევანი იმან განაპირობა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, ჩვენს თვალწინ, სულ სხვა დონეზე ადის და არსებობს ბევრი გაუგებრობის მოხსნის წინაპირობაა.

ბატონმა ჩხიკვიშვილმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რადგანაც ეტყობა, რომ მონდომებულია, საკუთარი ხელმძღვანელობის დავალება შეასრულოს. ჩვენთან საუბრისას იგი დაინტერესდა ორ ქვეყანას შორის არსებული კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული გამოუყენებელი რესურსებით.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "სამეფო კლუბი" მესამედ ეუფლება საკონტინენტთაშორისო თასს




# უშიშროების სამინისტრო კასტრირებული აღმოჩნდა

ინგა ალავიძე

*ჩვენი სტუმარი ქვეყანაში არსებულ სიტუაციას უმძიმესს უწოდებს და არ უარყოფს, რომ მისი უწყება კონტროლის ბერკეტებს სრულად ვერ ფლობს.*
*“24 საათი” უშიშროების მინისტრს, ვალერი ხაბურძანიას ესაუბრება.*

**- გუშინ, ღამით, მორიგი გატაცება მოხდა. “ლუკოილის” ვიცე-პრეზიდენტის მამის გატაცებას ვგულისხმობ, თუ გაქვთ კონკრეტული ინფორმაცია?**

- დეტალური ინფორმაცია ამ გატაცებასთან დაკავშირებით ჩვენ არ მოგვეპოვება, საქმეს პროკურატურა იძიებს და თუ საჭირო გახდება, ჩავერთვებით.

**- ამ გატაცებას წინ უსწრებდა თქვენი განცხადება. უცხოელი ბიზნესმენები, ფაქტობრივად, გააფრთხილეთ, რომ შესაძლოა, პიტერ შოუს გამტაცებელთა მსხვერპლი გახდნენ. “ლუკოილის” ვიცე-პრეზიდენტის მამის გატაცება გახმაურებული გატაცებების გაგრძელებაა?**

- ჩემი ოპერატიული ინფორმაციით ეს კავშირი არ გამოირიცხება. შესაძლოა, ხელმოცარულმა კრიმინალებმა იერიში სხვა ფლანგზე მიიტანონ, რადგან ამ თემის პოლიტიკური ანგაჟირება ნაკლებად მოხდება. კრიმინალები პოტენციურ მსხვერპლს სწავლობენ და დარწმუნებული ვარ, რომ გასატაცებელთა გარკვეული სიაც გააჩნიათ. შოუს შემთხვევაში მათ წააგეს, ხელმოცარულები დარჩნენ, ამიტომაც, შესაძლოა, ახალი მსხვერპლი მოძებნეს. თუმცა, ესპანელებისა და შოუს გატაცების საქმეს მალე სერიოზული გაგრძელება ექნება. ესპანელ ბიზნესმენთა თემა კიდევ წამოიწევს.

**- მიუხედავად სპეცრაუნდებისა, ხელმოცარული კრიმინალების დაკავება ჯერჯერობით ვერ შეძელით.**

გაგრძელება A8 გვერდზე

# თბილისი გაზს შუამავლის გარეშე მიიღებს

სოფიკო ოხანაშვილი

*დეკემბერიდან თბილისის ბუნებრივი აირით მომარაგება შუამავალი კომპანიის - “საქგაზის” გარეშე განხორციელდება. ამის შესახებ გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე, განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ. “იტერას” ხელმძღვანელობის საქართველოში ვიზიტის დროს მხარეები შეთანხმდნენ უწყვეტი გაზმომარაგებისა და “იტერასადმი” დავალიანების ეტაპობრივად დაფარვის შესახებ. ამასთანავე, ნოემბერში დედაქალაქის მიერ მოხმარებული გაზის საფასურის გადახდის ვადა 15 დეკემბერს იწურება. გასული თვის დავალიანებამ 3,7 მილიონი ლარი შეადგინა. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ თანხის მობილიზებისათვის, რათა ქართულმა მხარემ აღებული ვალდებულება აუცილებლად შეასრულოს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

# გაიტაცეს „ლუკოილის“ ვიცე-პრეზიდენტის მამა

*დმანისის რაიონის სოფელ პანტიანიდან დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს რუსეთის ნავთობკომპანია "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის ვადიმ შარიფოვის მამა – ვახიდ შარიფოვი. ქვემო ქართლის რეგიონის პროკურორის სიმონ მაჭავარიანის თქმით, შარიფოვების ოჯახს ხუთი ნიღბიანი პიროვნება დაესხა თავს. აქედან ოთხი ავტომატით იყო შეიარაღებული, ერთს კი “მაკაროვის” სისტემის პისტოლეტი ეჭირა.*

თამარ კაციტაძე

თავდამსხმელებმა ოჯახის წევრებს იარაღის მუქარით 400 დოლარი და ოქროულობა წაართვეს. თუმცა, ეტყობა ნადავლით არ დაკმაყოფილდნენ და შარიფოვებს მოკვლით დაემუქრნენ. იმისათვის, რომ ოჯახის უფროსს საკუთარი მეუღლე, ვაჟიშვილი და რძალი გადაერჩინა, მძარცველებს საკუთარი მანქანით მძევლად გაყოლა შესთავაზა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 მონადირე B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## ქარიშხალმა დასავლეთ საქართველო აზარალა

გუშინ ძლიერმა ქარიშხალმა დასავლეთ საქართველოს დიდი ქალაქების პარალიზება მოახდინა. განსაკუთრებით დაზარალდნენ ფოთის, ქუთაისისა და ხობის მაცხოვრებლები.

**"ქუჩაში გავლა შეუძლებელი იყო, მაღალსართულიანი სახლებიდან ცვიოდა ლითონისა და მინის ნამსხვრევები, რამდენიმე ადამიანი მძიმედ დაშავდა კიდეც",** – გვაცნობეს ქუთაისის მერიაში. ქუთაისში ხუთი ადამიანი დაშავდა, სამი თავის ქალის მძიმე დაზიანებით რეანიმაციაში წევს. ექიმების განცხადებით, ავადმყოფების მდგომარეობა სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ფოთში და ხობში ქარიშხალმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა და ელექტროგადამცემი ხაზები და წყალგაყვანილობის სისტემა გამოიყვანა მწყობრიდან. **"სინოპტოკოსებმა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ დროულად გვაცნობეს, თორემ ნავსადგურში მდგომი გემები ღია ზღვაში რომ არ გაგვეყვანა, ალბათ, ჩაიძირებოდნენ",** – გვითხრეს ფოთის ნავსადგურის ადმინისტრაციაში. ფოთში დროებით შეწყვეტილია სასწავლო პროცესი, ქუთაისსა და ხობში კი არ არის ელექტროენერგია. **"დასავლეთ საქართველოში ძლიერი ქარი ხვალაც იქროლებს, გრძელვადიან პროგნოზს კი ვერ ვაკეთებთ, რადგან დენი არ მოგვეწოდება,"** – განაცხადა ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური "კოლხეთის" უფროსმა ავთანდილ ქვაჩაკიძემ.

*"24 საათი"*

## იოსელიანი ურჩ რედაქტორებს დაემუქრა

გუშინ "მხედრიონის" ლიდერი ჯაბა იოსელიანი თბილისში გამომავალი გაზეთების ურჩ რედაქტორებს დაემუქრა. **"მალე მაგათ ვაჩვენებ სეირს, როგორ უნდა ჩვენი გაშაყირება,"** – გვითხრა იოსელიანმა. "მხედრიონის" ლიდერი აღშფოთებულია "მაშველთა კორპუსის" წინააღმდეგ პრესაში წარმოებული ბოლოდროინდელი კამპანიის გამო. **"უკვე ყველაფერი გარკვეულია, ისინი კი მაინც ჩიჩქნიან და ჩიჩქნიან, რა უნდათ, ვერ გამიგია; თუმცა, როგორც ვიცი, ფული აქვთ ხელისუფლებისგან აღებული,"** – ამბობს იოსელიანი. "მხედრიონელები" მალე დაიწყებენ აქციებს ურჩი რედაქციების წინ. **"მაგათ მოკვლას მე არ ვაპირებ. უბრალოდ, მივალთ რედაქციასთან, გამოვიყვანთ გარეთ რედაქტორს და გავარკვევთ სიტუაციაში, მერე ხალხსაც ვაჩვენებთ, ვინ იღებს ფულს ხელისუფლებისგან და ვინ ასრულებს დაკვეთებს,"** – გვითხრა იოსელიანმა.

*"24 საათი"*

## მუხრან მაჭავარიანი პარტიის ლიდერი გახდა

გუშინ "კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების" თავმჯდომარედ პოეტი მუხრან მაჭავარიანი აირჩიეს. საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარე, პარლამენტარი ვახტანგ ბოჭორიშვილი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. **"მე უკვე ვიყავი ამ საზოგადოების თავმჯდომარე, თუმცა გადავდექი. მას შემდეგ, რაც მოხდა მეტად სამწუხარო ფაქტი – გარდაიცვალა შესანიშნავი მამულიშვილი ვახტანგ ბოჭორიშვილი, მე მთხოვეს და კვლავ დავბრუნდი საზოგადოების თავმჯდომარედ,"** – გვითხრა მაჭავარიანმა. **"მალე საზოგადოება გარდაიქმნება პარტიად და მას 21-ე საუკუნის პარტია ეწოდება, თუმცა ის დარჩება კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის. ჩვენი პოლიტიკური პარტნიორები ისევ ასლან აბაშიძე და აღორძინების ბლოკში მყოფი პოლიტიკური ჯგუფები იქნებიან,"** – აღნიშნა მუხრან მაჭავარიანმა.

*"24 საათი"*

## პროკურორებს იარაღის ტარების უფლება მისცეს

გუშინ პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა კანონში "პროკურატურისა" და "იარაღის" შესახებ, რის შემდეგაც იარაღის ტარების უფლება პროკურორებსაც მიეცათ. აქამდე პროკურატურის თანამშრომლებს მხოლოდ იარაღის შენახვის უფლება ჰქონდათ. **"ეს კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან პროკურორი, რომელიც უშუალო შეხებაშია დამნაშავეთა სამყაროსთან, ხშირად ხვდება სახიფათო სიტუაციებში, ამიტომ მას უნდა ჰქონდეს თავდაცვის საშუალება; ამჯერად ამის პრობლემა აღარ იარსებებს,"** – გვითხრა თბილისის პროკურორმა თენგიზ მახარაძემ. მისივე თქმით, იარაღის ტარების უფლება ექნებათ მხოლოდ პროკურატურის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც ძიებასთან აქვთ შეხება.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი მონაწილეობას მიიღებს ნატო-ს და და პარტნიორი ქვეყნების კოლეგების ტრადიციულ ყოველწლიურ შეხვედრაში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, დაეხმაროს საქათველოს აგრესიული სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ედუარდ შევარდნაძემ გუშინ 10 ქვეყნის ელჩთან გამართული შეხვედრისას განაცხადა, სწორედ ეს არის დღეს საქართველოსათვის მთავარი პრობლემა, ვინაიდან, "უცხოური ქვეყნების მხარდაჭერით აგრესიულმა სეპარატიზმმა შეძლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაშლა". **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრი თბილისიის საკრებლოს პოპულიზმში ადანაშაულებს. როგორც მან გუშინ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, დედაქალაქში უფასო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად, თბილისის საკრებულომ წლის ბიუჯეტში 60-70 მილიონი ლარი უნდა ჩადოს. ეს კი მინისტრს წარმოუდგენლად მიაჩნია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ელდარ შენგელაია წარმოადგენს საქართველოს დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის მე-20 სესიაზე, რომელიც სანქტ-პეტერბურგში 6-7 დეკემბერს გაიმართება. შენგელაია უკვე გაემგზავრა რუსეთში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს მიერ შემუშავებული დოკუმენტი თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ, ყველაზე მისაღები გზაა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. ამის შესახებ გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან შეხვედრისას თბილისში მყოფმა დიდი ბრიტანეთის მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა ბრაიან ფოლიმ განაცხადა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარტიზანული შენაერთის "თეთრი ლეგიონის" მეთაური ზურაბ სამუშია მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთი მართებული გზა აფხაზეთში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაა, თუმცა ამისათვის, "საქართველოს ხელისუფლებამ სიმამაცე უნდა გამოიჩინოს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურს ყოველწლიურად 5-დან 6 მილიონამდე აშშ დოლარი ესაჭიროება, რათა ნატო-ს სტანდარტები დააკმაყოფილოს, - განაცხადა სასაზღვრო დეპარტამენტის შტაბის საზღვაო განყოფილების უფროსმა, მესამე რანგის კაპიტანმა რამაზ პაპიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის ვარაუდით, უახლოეს მომავალში, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში იგი პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის სტატუსს მიიღებს და ამ მანდატით მოლაპარაკებათა პროცესში ჩაერთვება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, გზებისა და კომუნიკაციების სამინისტროსთან ერთად სარკინიგზო მარშრუტ სოხუმი-ადლერის საკითხზე მუშაობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" მემარჯვენე ცენტრისტული მიმართულების ოპოზიციური ძალების მონაწილეობით კონფერენციის ჩატარებას გეგმავს, რომლის ძირითადი საკითხი კრიმინალური სახელისუფლო სტრუქტურების წინააღმდეგ ბრძოლა იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, რუსეთის სამხედრო ბაზებმა საქართველოს ტერიტორია 2003 წლის ბოლომდე უნდა დატოვონ. ირაკლი ბათიაშვილის თქმით, ნატო-ს ერთ-ერთი მოთხოვნით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არაწევრი ქვეყნების სამხედრო ბაზების ყოფნა, ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების კანდიდატი სახელმწიფოების ტერიტორიაზე აკრძალულია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გირევის საგუშაგოზე დაკავებულმა სამმა ჩეჩენმა მოქალაქემ საქართველოს გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილება მათი რუსეთში ექსტრადიციის შესახებ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში გაასაჩივრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვში გუშინ დსთ-ს წევრი ქვეყნების სასაზღვრო უწყებათა შტაბის უფროსების შეხვედრა გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენებული ანრი ჯერგენია, ჯერჯერობით, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში პრეზიდენტ არძინბას პირად წარმომადგენლად რჩება. **ინტერ-პრესი**

# მიხეილ სააკაშვილი: "არ ვაპირებთ ვარდის ჩაფლვას ფუნაში..."

თამარ ხორბალაძე

თბილისს, ჯერ იყო და ხუთი თვე საკრებულო არ ჰყავდა, ახლა კი მთავრობა აღარ ჰყავს. კონსულტაციები, რომელიც ორშაბათისთვის უნდა დასრულებულიყო, დროში გაიწელა.

"ახლები" და "ლეიბორისტები" კვლავ რადიკალურები არიან და უარს ამბობენ "ძველი" მერისა და "ძველი" პრემიერის მიერ წარმოდგენილი ახალი კანდიდატურების დამტკიცებაზე.

**"ის, ვინც უარს ამბობს ქალაქის მთავრობის წევრობის ახალი კანდიდატურების განხილვაზე, რეალურად არსებობას უნარჩუნებს ძველებს, რომლებიც, გადადგომის შესახებ დაწერილი განცხადების მიუხედავად, ისევ თავის კაბინეტებში სხედან და ისევ თავის მოვალეობას ასრულებენ. რაც უფრო დიდხანს გასტანს ასეთი სიტუაცია, მით უფრო დიდხანს ექნება ფულის კეთების საშუალება ამ ხალხს. ახალ კანდიდატურებზე ურის თქმით, დარჩებიან ღვინიაშვილი** ("ახლები"), **რომელიც განკარგავს მთელ საქალაქო მეურნეობას, მუხრან მდივანი** ("ლეიბორისტები"), **რომელიც კურირებს სოციალურ სფეროს, დარჯანია** ("გაერთიანებული დემოკრატები"); **ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ზოდელავას მიერ წარმოდგენილი კანდიდატურების დამტკიცებაზე უარის თქმით საკრებულო ხელისუფლებას ებრძვის, არის დემაგოგია,"** - განაცხადა გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა.


ლევან ხერხეულიძის ფოტო
*მიხეილ სააკაშვილი: "მან ვერ გაითვალისწინა, რომ მე არა ვარ ლადო კახაძე"...*

იგი უარყოფს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ "ნაციონალებმა" საკუთარი კანდიდატის მთავრობაში შეყვანაზე გაცვალეს ზოდელავას მიერ წარმოდგენილი მთავრობის მხარდაჭერა: **"ზოდელავას სურდა, რომ მთავრობაში გია კარბელაშვილის შეყვანით ჩვენი მხარდაჭერა მოეპოვებინა... მან ვერ გაითვალისწინა, რომ მე არა ვარ ლადო კახაძე და არ შეიძლება ახალ საკრებულოს მივუდგე იმავე მეთოდებით, როგორც ძველს... რაც შეეხება კარბელაშვილს, იგი ჩვენი პარტიის წევრი არ არის. მისადმი სიმპათია გაგვიჩნდა მაშინ, როცა მან გაბედა და გია ჯოხთაბერიძეს დაუპირისპირდა."**

იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს წევრების უმრავლესობა თავის პოზიციაზე დარჩა, თუ ზოდელავა მოახერხებს ძველი სახეების შენარჩუნებას და უახლოეს ხანში არ შემოვა ახალი კანდიდატებით (რისი უფლებაც მას აქვს, რადგან კანონი მთავრობის წარმოდგენის ვადებს არ განსაზღვრავს), მიხეილ სააკაშვილი აპირებს ხალხში გასვლას, მაგრამ... **"ჩვენ არ გვინდა ხალხის გამოყვანა ქუჩაში, ამიტომ საკრებულოს ხელში არსებულ ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ,"** - აზუსტებს საკრებულოს თავმჯდომარე და ხაზს უსვამს, რომ მთავრობის დამტკიცება აუცილებელია ქალაქის ბიუჯეტის განხილვამდე. ქალაქის ბიუჯეტთან დაკავშირებით კი ძალიან დიდი გეგმები აქვს დასახული - იქნება ეს გამწვანების მილიონების გადასროლა სოციალურ ხარჯებზე თუ სხვა.

დაბოლოს - რაც შეეხება ახალ მთავრობაში "ნაციონალთა" წარმომადგენლის ყოფნა-არყოფნას. სააკაშვილის თქმით, ეს მთლიანად იქნება დაკავშირებული ზოდელავას მიერ წარმოდგენილი მთავრობის მთლიანი შემადგენლობის ხარისხზე: **"ჩვენ ჯერ უნდა ვნახოთ, რამდენად მისაღები ადამიანები იქნებიან მთავრობაში, რადგან არ ვაპირებთ ვარდი ჩავფლათ ფუნაში,"** - განმარტავს იგი.

# ქუდია თუ ბოხოხია?

პირველი გვერდიდან

**მიღებას, პრაქტიკულად, გამორიცხავს,"** - საერთაშორისო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი, თავისი პოზიციის გასამაგრებლად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებასაც იშველიებს, რომელშიც ოფიციალური ვაშინგტონი ნავთობსადენის პროექტის განხორციელების დაწყებას მიესალმება.

გიორგი ჭანტურია კატეგორიულად გამორიცხავს, რომ ნავთობსადენის მარშრუტის შერჩევისას, ახალქალაქის ვარიანტი ეთნოკონფლიქტის რისკის გამო გამოირიცხა. **"ახალქალაქის მარშრუტის უარყოფაში გადამწყვეტი როლი რეგიონში რუსეთის სამხედრო ბაზის არსებობამ ითამაშა. ამაში ინვესტორმა ძალიან მაღალი რისკი დაინახა,"** - აცხადებს ჭანტურია.

ამასთან, მან გუშინ დეპუტატების წინაშე უხვად დაახვავა არგუმენტები, რომლებსაც საკანონმდებლო ორგანოში, წესით, თანხმობა და ჰარმონია უნდა შეეტანა: გიორგი ჭანტურიას თქმით, ნავთობსადენის მილი დამზადდება საგანგებო ლითონისგან, რომელიც 12 ბალიან მიწისძვრასაც კი გაუძლებს; თუ ასეთი მილის სისქე, ჩვეულებრივ, 12 მილიმეტრია, ამ შემთხვევაში 15,7 მილიმეტრიანი მილი იქნება გამოყენებული; კოდიანის მეწყერულ ზონაში მილსადენი მხოლოდ მყარ ქანებში გაივლის; ნავთობსადენი სპეციალური სამშრიანი ფენით შეიფუთება; დამონტაჟდება მონიტორინგის სისტემა, რომელიც კოროზიულ პროცესებსა და მიწისქვეშა წყლების მდგომარეობას გააკონტროლებს; უკვე შერჩეულია ნავთობსადენის მარშრუტის დამცველი 300 კაცი და ისინი საგანგებო პროგრამით ემზადებიან; მარშრუტის დაცვის საკითხებს "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამის მეორე ეტაპზე აუცილებლად გაითვალისწინებენ; პარალელურად, ნავთობსადენის კონტროლი კოსმოსური თანამგზავრის მეშვეობითაც განხორციელდება...

**"ის პროექტი, რომელსაც "ბი-პი" ახორციელებს, საქართველოსთვის სრულიად უსაფრთხოა და იგი ქვეყანას არანაირ ზიანს არ მოუტანს. მეტიც, მომავალი წლის თებერვალში შაჰდენიზის გაზსადენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წინ, ეს ერთგვარი გამოცდაც კი არის,"** - ასეთია გიორგი ჭანტურიას "თეორია".

თუმცა, ამ თეორიამ პარლამენტში თანხმობისა და ჰარმონიის შეტანა მაინც ვერ მოახერხა: დეპუტატებს ძალიან უნდოდათ ეპოვათ განტევების ვაცი, ვისაც მთელი ამ აჟიოტაჟისთვის პასუხს მოსთხოვდნენ. რისხვის ობიექტი ნინო ჩხობაძე აღმოჩნდა.

**"ვითარება დაძაბა არა პოლიტიკური ძალების განცხადებებმა, არამედ მთავრობის, კერძოდ კი, გარემოს დაცვის მინისტრის არათანმიმდევრულმა ქმედებებმა, რომელიც ყოველ წუთს იცვლიდა პოზიციას,"** - აცხადებს გიორგი ბარამიძე.

**"ჩემთვის გაუგებარია ის აჟიოტაჟი, რომელიც ნინო ჩხობაძის უწყებამ წამოიწყო,"** - მინისტრისკენ იშვერს ხელს კობა ამირხანაშვილიც.

**"ახლა რომ იწონებთ, იმ დასკვნას თავიდან რატომ არ აწერდით ხელს?"** - ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევს მიხეილ მაჭავარიანს.

**"რა უნდა მოვთხოვოთ მინისტრს, რომელსაც ღამის სამ საათზე ყურით გამოიყვანენ სახლიდან, "კონვოით" მიიყვანენ კანცელარიაში და ძალით მოაწერინებენ დოკუმენტზე ხელს!"** - აღშფოთებას ვერ მალავს ელდარ ნადირაძე.

**"ადრე, როდესაც უღირსი მინისტრი გიწოდეთ, თქვენი გარეგნობა ან საქციელი არ მქონია მხედველობაში. მე სწორედ იმ დამყოლ ხასიათს ვგულისხმობდი, რომელიც ამ დღეებში კარგად გამოამჟღავნეთ. როგორ გირჩევნიათ: თავად გადადგებით თუ პარლამენტმა გადაგაყენოთ?"** - ჩხობაძის კარიერისთვის წერტილის დასმა სურს ელიზბარ ჯაველიძეს.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელ დავიდარაბას გიორგი ჭანტურია სრულიად "უვნებლად გადაურჩა" და ჯოხი მხოლოდ გარემოს დაცვის მინისტრზე გადატყდა, თანამდებობრივად არც ეს უკანასკნელი დაზარალებულა. პროსახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლებმა პოლიტიკურ გილიოტინაზე ჩხობაძის აყვანა ნაადრევად ჩათვალეს და მინისტრი ოპონენტების კრიტიკის ქარცეცხლისგან დაიცვეს.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ნავთობსადენის მარშრუტის დრამატულ ისტორიაში წერტილი ჯერ არ დასმულა. უცხოელი ინვესტორის გარანტიები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მაინც...

**"ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ცხრაწყაროსა და კოდიანის მიდამოებში მილი რომ გასკდეს, შეუქმნის თუ არა ეს საფრთხეს ბორჯომის ხეობას?"** - დეპუტატ ვასილ მაღლაფერიძის ამ მეტად კონკრეტულ კითხვაზე საქართველოს ხელისუფლება დუმს. უფრო ზუსტად, ეს შეკითხვა გარემოს დაცვის მინისტრს საპარლამენტო ტრიბუნიდან გააქცევს და სამთავრობო ლოჟაში გიორგი ჭანტურიასთან მწვავე კამათს გააჩაღებინებს.

ასე რომ, ვიდრე ბორჯომის ხეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების თაობაზე ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი არ გასცემია, დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, საკურორტო ზონაში გამავალი ნავთობსადენის მონაკვეთი საქართველოსთვის "ქუდია თუ ბოხოხია."

# პაშკუ თბილისში ვიზიტით კმაყოფილია

ვერიკო თევზაძე

თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, რუმინეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრი იოან მირშა პაშკუ გუშინ საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს შეხვდა. მათ საქართველოსა და რუმინეთს შორის 2003 წლის თანამშრომლობის პროგრამაზე ისაუბრეს.

ეს იყო რუმინეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრის პირველი ვიზიტი მას შემდეგ, რაც რუმინეთი პრაღის სამიტზე ნატო-ში გასაწევრიანებლად მიიწვიეს. საქართველოსა და რუმინეთს შორის 2003 წლის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის ცოტა ხნის წინათ დაიდო. ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავდა სპეციალური პროგრამა. სწორედ ამ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს გუშინ რუმინეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრებმა. დღის ბოლოს პაშკუ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო.

"წვრთნისა და აღჭურვის" ქართულ-ამერიკულ პროგრამაში რუმინეთს ორმაგი როლი ენიჭება – იგი არის როგორც დონორი ქვეყანა, ასევე ძირითადი სატრანზიტო პუნქტი. გარდა ამისა, რუმინეთი სამთომსროლელთა გამოცდილების გაზიარებაში გვეხმარება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის თქმით, რუმინეთი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს პროგრამის ფარგლებს გარეთაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს. კონკრეტულად რა სახის დახმარებაზეა საუბარი, ბატონმა თევზაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას არ დააკონკრეტა.

იოან მირშა პაშკუ საქართველოში ვიზიტით კმაყოფილია. დღეს რუმინეთის თავდაცვის მინისტრი კრწანისის საწვრთნელ ცენტრს და თავდაცვის ეროვნულ აკადემიას დაათვალიერებს. დელეგაცია თბილისს დღესვე დატოვებს.

# ქართველი სამხედროების მორიგი როტაცია ბალკანეთზე

პირველი გვერდიდან

ვალდებულების შესრულება ვერ მოახერხა, რის გამოც საქმე სერიოზულ სკანდალამდეც კი მივიდა.

მიუხედავად ამისა, გერმანული პასუხისმგებლობის ზონაში და თურქული ბატალიონის შემადგენლობაში მოქმედი ქართული ოცეული თვითმყოფადი სამხედრო კონტინგენტია და, სადაც იგი საბრძოლო მოვალეობას ასრულებს, იქ ქართული დროშაც ფრიალებს. ეს ადგილი კი უპირატესად კოსოვოს სიდიდით მეორე ქალაქი პრიზრენი და ეთნიკური თურქებით დასახლებული სოფელი მამუშაა, სადაც "გურჯებს" შინაურად თვლიან. თუმცა, ასეთი კარგი ურთიერთობები სულაც არ უშლის ხელს ქართველ სამხედროებს, საგანგებო ვითარების ყველა წესებით იმოქმედონ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე.

საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კოსოვოში ძალიან მკაცრი მანდატი მოქმედებს. საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე საბრძოლო განწესში მყოფ ცისფერჩაფხუტიანებს უფლება აქვთ, გააჩერონ, გაჩხრიკონ და საბუთები შეუმოწმონ ნებისმიერ მძღოლს და მანქანის მგზავრს. მათვე ევალებათ იატაკქვეშა შეიარაღებული ძალების განიარაღება, უკანონო ემიგრაციის აღკვეთა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა.

ოთხი წლის განმავლობაში ქართველი მშვიდობისმყოფელები მონაწილეობდნენ იარაღის ამოღების ოპერაციაში, მოძრავი პოსტების ორგანიზებასა და მაღალი რანგის სახელმწიფო პირების, მათ შორის თურქეთის ყოფილი პრეზიდენტის - სულეიმან დემირელის თანხლებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცეული სიდიდით ყველაზე მცირეა, მისი მოღვაწეობა ევროპის ყველაზე კონფლიქტურ ტერიტორიაზე, ნატო-ს სარდლობის მხრიდან არაერთი მადლობითა და სიგელით აღინიშნა.

ქართული კონტინგენტის მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შესახებ, 20 აგვისტოს საქართველოში მყოფმა ნატო-ს გაერთიანებული ევროპული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილემ, გერმანელმა გენერალმა დიტერ შტოკმანმაც ისაუბრა:

*"ქართველი სამხედროები მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან და ისინი პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ბალკანეთზე მოღვაწეობა თქვენს სამხედროებს დიდ შესაძლებლობას აძლევს, შეიძინონ ძალიან მნიშვნელოვანი სამშვიდობო გამოცდილება და რეალური ინტეგრაცია მოახდინონ ნატო-ს მრავალეროვნულ სამხედრო ძალასთან."*

აღსანიშნავია, რომ იმავე შეხვედრის შემდეგ გამოითქვა საქართველოს მთავრობის სურვილი, გაეფართოებინა თავისი სამშვიდობო მისია და კოსოვოში, ოცეულის ნაცვლად, ასეული გაეგზავნა, მაგრამ დაუფინანსებლობის გამო ეს გეგმა მომავალ წელს კვლავ განუხორციელებელი დარჩება. დავით თევზაძის თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში არ გამოინახა კოსოვოში გასაგზავნი ასეულის დასაფინანსებელი თანხები. არადა, საუბარია, არსებითად, მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასებზე, დანარჩენ ხარჯებს კი, როგორც ვთქვით, თურქეთი ფარავს.

ასეთი მიდგომა, როცა სხვა ქვეყნის ხელისუფლება გაცილებით მეტად ზრუნავს შენზე, ვიდრე საკუთარი, ცოტა ძნელი გასაგებია ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის იმ ფონზე, როდესაც მაღალი ტრიბუნებიდან, ნატო-ში ინტეგრაცია ქვეყნის განვითარების უალტერნატივო, მაგისტრალურ გეზად ცხადდება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „ალორძინება" კვლავ ერთიანი და მტკიცეა"

## გვიმტკიცებს სანდრო ბრეგაძე

*"ალორძინებაში" დროებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. ცალკე "ტრადიციონალისტებისა" და "სოციალისტების" ბლოკიდან გასვლამ და ცალკე თავად "ალორძინებაში" არსებულმა დაპირისპირებამ, საკმაოდ შეარყია ბათუმური პოლიტელიტის პოზიციები. თუმცა, როგორც "ალორძინების" ერთ-ერთი ახალი ლიდერი სანდრო ბრეგაძე აცხადებს, "რამდენიმე დღის წინ ბათუმში გამართულმა შეხვედრამ, რომელსაც პარტიის ლიდერები ესწრებოდნენ, ბევრი საკამათო პრობლემა გადაწყვიტა და პარტიის შიგნით დაპირისპირებული ბანაკებიც შეარიგა".*

თამარ მჭედლიშვილი

ალბათ, ამ შეკრების ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად ასლან აბაშიძის გარემოცვასთან გიორგი თარგამაძის შერიგება უნდა მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან საუბრისას სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ **"უთანხმოებები, რომელიც არსებობდა, გადაწყდა და, შესაბამისად, გიორგი თარგამაძე კვლავ რჩება პარტიის ერთ-ერთ ლიდერად და სახედ".**

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბრეგაძის გარდა, ამ შერიგების შესახებ, "ალორძინების" არც ერთი სხვა წევრი ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს. მაგალითად, ჯემალ გოგიტიძე აცხადებს, **"რომ პარტიაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა. იგივე შეიძლება დამართოდა ყველა ოჯახს, ყველა პარტიას. არავითარი გაურკვევლობა, სერიოზული პრობლემა არ ყოფილა"**. შესაბამისად, მას ამ თემაზე ინტერვიუს მიცემა არ სურს. დუმს თავად გიორგი თარგამაძეც.

სამაგიეროდ, სანდრო ბრეგაძეა საკმაოდ სიტყვაუხვი:

**"როგორც წესი, თვეში ერთხელ ბათუმში პარტიის ლიდერები ვიკრიბებით ხოლმე. პირველ დღეს გიორგი თარგამაძე შეხვედრას არ დასწრებია. იგი მეორე დღეს ჩამოვიდა. შედეგა საუბარი ბატონ ასლანთან და მისი მეშვეობით ჩვენ ერთმანეთს შევხვდით. ყველაფერი ნორმალურად დასრულდა, გაირკვა ყველა საკამათო საკითხი, რომელიც არსებობდა. ერთმანეთთან პიროვნული პრეტენზიები არასოდეს გვქონია. იყო უთანხმოება ადგილობრივ არჩევნებში პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის თაობაზე. მე მქონდა კრიტიკული შენიშვნები. ახლა ყველაფერი გაირკვა, დალაგდა სიტუაცია და პარტია ერთიანი ძალებით გააგრძელებს არჩევნებისკენ სვლას. ჩემი ღრმა რწმენით, პარტიაში უნდა მოვიდნენ ახალგაზრდული ძალები, რომლებიც შეძლებენ, პარტიის უმრავლესობაში მოყვანას. იგი არ უნდა იყოს მაჩანჩალა პარტია, რომელიც მხოლოდ 6-7 პროცენტს აიღებს".**


ჯემალ გოგიტიძე


სანდრო ბრეგაძე

როგორც ბრეგაძე აცხადებს, პარტიაში ვითარება საბოლოოდ **"თბილისის პარტიული ორგანიზაციის კონფედერაციისა და პარტიის ყრილობის შემდგომ მოწესრიგდება. ჩვენ გვინდა საქართველო არსებული ხელისუფლების გარეშე და მისი არჩევნების გზით მოცილება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი პარტია ერთიანი იქნება და მასში შევლენ პროდასავლურად მოაზროვნე ახალგაზრდა ძალები".**

როგორც ირკვევა, "ალორძინების" შეკრებაზე ერთ საკმაოდ უცნაურ ფაქტზეც ყოფილა საუბარი. სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ **"ბლოკში დარჩენილები, ჩვენ და 21-ე საუკუნის წევრები, კენჭისყრის დროს იმდენ ხმას ვერასოდეს ვაგროვებთ, რაც გვაქვს. 5-10 დეპუტატი ყოველთვის აღმოჩნდება ისეთი, რომელიც საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას აძლევს ხმას. ამას ისინი მინისტრებთან პირადი ურთიერთობებით ხსნიან, რაც აბსოლუტურად დაუშვებლად მიმაჩნია. მე ვიცი, რომ ვინც ქვეყანას ანგრევს, მას რადიკალურად უნდა დაუპირისპირდე. ვისაც ამის სურვილი არ აქვს, შეუძლია ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ახლო წარსულში თანამდებობრივი და ფინანსური ინტერესებით იყვნენ დაკავშირებულები შევარდნაძესთან. ადრე თუ გვიან ყველაფერი გამოვლინდება. არჩევნების წინ გარკვეული კორექტივები შევა როგორც საპარლამენტო, ასევე პარტიულ საქმიანობაში".**

რაც შეეხება ბათუმური ბლოკის დაშლის საფრთხეს, ამას "ალორძინების" წევრები საკმაოდ მშვიდად ხვდებიან. სანდრო ბრეგაძე ამბობს:

**"ახლო წარსულში ჩვენს პარტიაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ ბლოკში. ამ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ არიან ვარსკვლავები, რომლებიც "ალორძინებას" იმისთვის სჭირდება, რომ იმიჯი და რეიტინგი აიმაღლოს. დღეს კი ვხედავთ, რომ ამ პარტიებმა საარჩევნო ხმები არათუ მოგვიმატეს, არამედ დაგვაკარგინეს, ჩვენს ხარჯზე უფრო მეტი დეპუტატები შეიყვანეს პარლამენტში, ყველანაირი თანამდებობები მიიღეს და ამის შემდეგ რჩეულიშვილი შევარდნაძესთან გაიქცა და ასათიანი – ჟვანიასთან. ეს მათი შეცდომაა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ არჩევნებში ისინი პარლამენტს გარეთ დარჩებიან და გარანტირებული აქვთ პოლიტიკური სიკვდილი. რომ არა ასლან აბაშიძე, რომელმაც ხელი გაუწოდა და ლაფიდან ამოიყვანა ეს ხალხი, ისინი პოლიტიკურ რუქაზე საერთოდ აღარ იარსებებდნენ. ჩვენ მათი სახით საკმაოდ არასასიამოვნო ბარგი ჩამოვიხსენით მხრებიდან."**

რამდენიმე დღეში ბათუმში სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ჩადის. აჭარაში მისი ვიზიტი საბიუჯეტო სფეროში შექმნილი მდგომარეობით არის განპირობებული. როგორც ჯემალ გოგიტიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, **"ვიზიტი უდავოდ გამართლებულია. უნდა დამთავრდეს გადაბრალება-გადმობრალების მთელი "ინსტიტუტი", რაშიც დამნაშავე ცენტრალური ხელისუფლებაა. ამ "პიარს" და ამ კამპანიას თავად პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. თუმცა, ჩვენ არანაირ თანამშრომლობას მოქალაქეთა კავშირთან, მათ ნარჩენებთან და შევარდნაძესთან არ ვაპირებთ. რაც შეეხება ავტონომიასთან ურთიერთობას, კეთილი ინებონ და გადაიხადონ ის ვალები, რაც წლების განმავლობაში დააკლეს ავტონომიას. თუმცა, მე ამის იმედი არ მაქვს. ჯორბენაძის ვიზიტით ცენტრალური ხელისუფლება კიდევ ერთხელ დაადასტურებს თავის უსუსურობას. და მაინც – ჯორბენაძე ბათუმში უნდა ჩავიდეს. მან უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა, რომ აჭარა ქვეყნის ნაწილია, რომ ჩვენი პრობლემა მათი პრობლემაა.**

უფრო რადიკალურია თავის შეფასებებში სანდრო ბრეგაძე:

**"მე ბათუმში ვიყავი, როცა ვახტანგ რჩეულიშვილმა და ავთანდილ ჯორბენაძემ გააკეთეს განცხადება ბათუმში ჩამოსვლის შესახებ. უნდა გითხრათ, რომ რჩეულიშვილის ვიზიტი ბათუმში არავისთან ყოფილა შეთანხმებული და იგი იქ არავის მოუწვევია. უბრალოდ, ადგა და ჩამოვიდა და ბატონი ასლანი იძულებული გახდა, მიეღო იგი. თუკი ჯორბენაძე ჩამოვა ბათუმში, ასევე იძულებული გახდება ბატონი ასლანი, მიიღოს და შეხვდეს მას, იმის მიუხედავად, რომ მოპატიჟება არ ყოფილა. ნებისმიერი მცდელობა მოქალაქეთა კავშირისა და მისი დამქაშებისა საიმისოდ, რომ "ალორძინება" გააბან იმ ბინძურ საქმიანობაში, რომელსაც ხელისუფლება აწარმოებდა და აწარმოებს, იქნება წინასწარ განწირული. თუკი ისინი ამისთვის მოდიან ბათუმში, ვურჩევ, ბენზინის ფული დაზოგონ და თბილისში დარჩნენ. თუკი საუბარი იქნება საბიუჯეტო სისტემის სრულყოფაზე, მაშინ აჭარის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები დასხდებიან და იმსჯელებენ მათთან ერთად".**

# „საქართველო უდრის ნავთობსადენს მინუს ბორჯომი"


სტუდენტების აქცია კანცელარიის წინ.

ამ შეძახილებით დაიწყო და დასრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების დამცინავი, გუშინდელი საპროტესტო აქცია სახელმწიფო კანცელარიასთან. შებინდებისას მათ მშრალი სპირტით დიდად დაწერეს სიტყვა "ბორჯომი" საქართველოს "გადამგდები პასუხისმგებელი" კაცის კაბინეტის ფანჯრებქვეშ. კარგად რომ დაბნელდა, "ბორჯომის" ბოთლიდან ნავთი მიასხეს და ცეცხლიც მოუკიდეს. ჰოდა, იწვოდა "ბორჯომი" საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის წინ. **"ჩვენ არ გვსურს, რომ 10-15 წელიწადში ნამდვილი ხანძრის შემსწრე ვიყოთ ბორჯომის ხეობაში,"** – თქვა სტუდენტმა ლევან გოგიჩაიშვილმა. **"მეტი არ გვინდა, აბა ერთი დაიწყოს მილსადენის გაყვანა ბორჯომის ხეობაში..",** - იქადნიდა სტუდკავშირელი ლევან ჯაფარიძე. მაგრამ, გუშინ საღამოს იქ 20-იოდე ახალგაზრდა იყო მხოლოდ.

*"24 საათი"*

# ქართველი ელჩის რუსულ-ქართული პრობლემები

პირველი გვერდიდან

მოისმინა ინფორმაცია იმაზე, თუ კიდევ რა რეზერვების ამოქმედება შეიძლება, რათა ჩვენმა ურთიერთობებმა უფრო საინტერესო და აქტუალური ელფერი შეიძინოს.

ბატონი ჩხიკვიშვილის დანიშვნა, რა თქმა უნდა, არასტანდარტული გადაწყვეტილებაა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ ახალ პოლიტიკას აყალიბებს. რუსი და ქართველი დიპლომატები ამას მხოლოდ მივესალმებით.

რაც შეეხებათ ვლადიმერ ჩხიკვიშვილის რუს კოლეგებს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხუმრობენ, რომ მზიურ საქართველოში გამგზავრების წინ ვლადიმერ ირაკლიევიჩი ისვენებს. ჩვენს გაზეთთან საუბარში სამინისტროს ერთმა დიპლომატმა სინანულით აღნიშნა, რომ ჩხიკვიშვილის რანგის დიპლომატს ახლა სულ მცირე ელჩობა ჰქონდა გარანტირებული კანადაში.

აღმოჩნდა, რომ ივანოვის უწყებაში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი ყველას უყვარს - კარისკაციდან დაწყებული და მინისტრით დამთავრებული. სმოლენსკის მოედნის მაღლივი შენობის ერთ-ერთმა დიპლომატმა ჩვენთან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ ჩხიკვიშვილის კრემლში გამოძახებაში დიდი როლი ითამაშა ქალბატონ ლიუდმილა პუტინას პირადმა მრჩეველმა და სპიჩრაიტერმა, სანკტ-პეტერბურგელმა პოლიტტექნოლოგმა გიორგი ურუშაძემ.

ერთი მოსკოველი ქართველის თქმით, რუსეთს, ალბათ, ამერიკის უშუალო მითითებით, საქართველოსთან მიმართებაში შორს მიმავალი გეგმები აქვს ჩაფიქრებული. ჩხიკვიშვილი ამერიკული მენტალიტეტის მქონე კაცია. ამიტომ ეს დანიშვნა მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივად ვერ ჩაითვლება.

# ისევ დაბანს ხელი ხელს?

*ხვალისთვის დაგეგმილია აჭარაში სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრების ვიზიტი. რა არგუმენტებით ჩადის ავთანდილ ჯორბენაძე ბათუმში და რას დაახვედრებს აჭარის ლიდერი მას?*

თამარ ხორბალაძე

ოფიციალური ვერსია ვიზიტის მიზნის შესახებ საყოველთაოდ ცნობილია: დელეგაციამ აჭარის ლიდერი ცენტრალურ ბიუჯეტში თანხების გადმორიცხვაზე უნდა დაიყოლიოს. ასევე, ოფიციალური ვერსია გვამცნობს, რომ აჭარის ბიუჯეტს საქართველოს ბიუჯეტის 35-მდე მილიონიანი დავალიანება დაუგროვდა. ამ დავალიანების წარმოშობის შესახებაც არსებობს ოფიციალური აზრი - შეთანხმებული საბიუჯეტო პარამეტრების მიხედვით, აჭარამ ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა გადმორიცხოს ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების 60 პროცენტი, რაც, ფინანსისტების მტკიცებით, თვეში 3,5 მილიონამდე ლარს შეადგენს. ეს, მარტივად, იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად აჭარის ადგილობრივ ბიუჯეტში 8 მილიონამდე შემოსავლის მობილიზება ხდება. დღემდე ცენტრს არასოდეს უთქვამს, რომ აჭარა ბიუჯეტს ვერ ასრულებს, ყოველთვის მიდიოდა საუბარი იმაზე, რომ მობილიზებული თანხების გადმორიცხვა არ ხდება ხაზინაში...

ასლან აბაშიძეს ყოველთვის ჰქონდა საკუთარი პრეტენზიები, რომელთა შორის იყო უკვე გაწეული სამუშაოების დაფინანსების ნუსხა (საერთო თანხა 150 მილიონს აღემატება და, ცენტრის ვერსიის მიხედვით, საბიუჯეტო ხარჯებში ოფიციალურად გაწერილი არ ყოფილა). გარდა ამისა, იგი მოითხოვდა საბიუჯეტო პარამეტრების შეცვლას, კერძოდ, აქციზისა და დღგ-ს 50 პროცენტის ან მეტის რეგიონში ოფიციალურად დატოვებას. დღემდე ასლან აბაშიძემ ამ ოფიციალური პრეტენზიების გატანა ვერ შეძლო.

ასეთია ის ოფიციალური საფუძველი, რის გამოც ცენტრსა და რეგიონს შორის საბიუჯეტო პრობლემები წარმოიშვა.

ძირითადი თანხები აჭარას სარფის საბაჟოდან და ბათუმის პორტიდან, ანუ ტვირთების ბრუნვიდან შესდის. შესაბამისად, რეგიონზე გამავალი ტვირთების რაოდენობაზე პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული აჭარის შემოსავლები. ამიტომ, აბაშიძის მთავარი პრეტენზიები ცენტრისადმი სწორედ აჭარაზე გამავალი ტვირთების რაოდენობის, მისი აზრით, ხელოვნურ შემცირებასთან არის დაკავშირებული.

ფოთის პორტის პრიორიტეტულად ქცევა, ახალციხის საბაჟოს აქტიურად ამოქმედება, რასაც ცენტრი, რეალურად, აბაშიძის ოჯახის დასაბალანსებლად ახორციელებდა, ყოველთვის ბათუმის განსაკუთრებული გულისწყრომის მიზეზი იყო. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ირწმუნებოდა, რომ ცენტრალური ხელისუფლება (ამ შემთხვევაში, უფრო მარტივად შეგიძლიათ დაარქვათ შევარდნაძის ოჯახი, რადგან უპირატესად მათ ბიზნესზეა საუბარი) იმ ტვირთებსაც კი, რომელიც თურქეთის გავლით მოედინებოდა, ტრაპიზონში ტვირთავდა და ფოთის პორტში შეჰქონდა ისე, რომ აჭარის ტერიტორიას არ კვეთდა. შესაბამისად, ამ ტვირთებში აჭარის ლიდერს თავისი წილი დაეკარგა.


ასლან აბაშიძე

ამ ბოლო პერიოდში ამას დაემატა ისიც, რომ ფინანსთა სამინისტრომ, უკვე აბსოლუტურად ოფიციალურად, ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადმოურიცხაობის მოტივით, დაიწყო აჭარაში შემოსული ტვირთების საბუთების "შესაბამისობის" გადამოწმება. იგი აღარ იღებდა აჭარაში გაცემულ დღგ-ს ანგარიშფაქტურებსაც, რაც ტვირთის პატრონების მხრიდან დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

ცენტრის აქტივობამ ამ მიმართულებით ბოლო თვეებში ისეთი შედეგი გამოიღო, რომელსაც, ალბათ, თავად აჭარის ლიდერიც კი ვერ წარმოიდგენდა. როგორც "24 საათის" წყარო იუწყება, აჭარის ტერიტორიაზე გამავალი ტვირთების რაოდენობა ბოლო პერიოდში მუდმივად იკლებდა. ნოემბერში კი იგი მინიმუმამდე დავიდა, რაც აჭარის ბიუჯეტში ოფიციალურად მობილიზებულ თანხებშიც გამოიხატა - რეგიონში ერთ მილიონ ლარზე ოდნავ მეტის მობილიზება მოხერხდა.

ეს ნიშნავს, რომ მინიმუმამდე დავიდა ასლან აბაშიძის პირადი შემოსავლებიც. "24 საათის" წყარო ირწმუნება, რომ ამის გამო განრისხებული აჭარის ლიდერი რეგიონში არა მხოლოდ სახელმწიფო მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის, არამედ მთელი მთავრობის ჩასვლას ითხოვს.

შემოსავლებშემცირებული აბაშიძე დღეს ძალიან არასახარბიელო ფინანსურ პოზიციაშია ჩაყენებული და ეს არის კიდეც ის ძირითადი ბერკეტი, რომელიც სახელმწიფო მინისტრსა და "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარეს ავთანდილ ჯორბენაძეს შეუძლია აამოქმედოს აჭარის ლიდერის "დასაყოლიებლად". შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მისი ამჟამინდელი ვიზიტი რეგიონში სწორედ შემოსავლების მაქსიმალურად შემცირების პერიოდს ემთხვევა.

**"მე მაქვს რუსული ბაზა, ხელთ მაქვს აჭარის ხელისუფლება და მე მაქვს აჭარის მოსახლეობის 99,9 პროცენტი საარჩევნო ხმა,"** - დროდადრო ახსენებს ხოლმე აჭარის ლიდერი ცენტრს; ხშირად ჩადის მოსკოვში, რათა რუსეთის ხელმძღვანელობას სრული დამოუკიდებლობა უჩვენოს; შიგადაშიგ "შემოაგდებს" თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეას, რომლის რეალიზებაში თავადაც ეჭვი ეპარება, თუმცა, ვაჭრობის გასამწვავებლად მაინც იყენებს. მაგრამ, საფიქრებელია, რომ დღეს აბაშიძე, ნამდვილად არ არის იმ მდგომარეობაში, საკუთარი პირობების კარნახი რომ შეძლოს.

ამიტომ, ცენტრი მისგან სერიოზულ დათმობებს მოითხოვს, თუმცა სანაცვლოსაც შესთავაზებს. ამ კონტექსტში აშკარად საინტერესოა "ალორძინების" წარმომადგენლის მიერ გუშინ პარლამენტში გახმოვანებული იდეა, საარჩევნო ბარიერის ათ პროცენტამდე აწევის შესახებ.




# საბიუჯეტო ოფისი მთავრობას სეკვესტრისკენ მოუწოდებს

*ნოემბრის ბიუჯეტიც გაირღვა. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წინასწარი მონაცემებით, ნოემბერში გარღვევამ, სულ მცირე, 12 მილიონი ლარი მაინც შეადგინა. მთლიანად, მიმდინარე წლის თერთმეტი თვის შედეგებიდან გამომდინარე , საბიუჯეტო ოფისი ფინანსთა სამინისტროს სეკვესტრის მომზადებას ურჩევს.*

გვანცა ქვინიკაძე

მართალია, ნოემბრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ფინანსთა სამინისტრო დაზუსტებულ მონაცემებს ჯერ ვერ აქვეყნებს, მაგრამ გარღვევის ფაქტს აღიარებს. უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტს დანაკლისი არასაგადასახადო შემოსავლების, გრანტებისა და, ტრადიციულად, აჭარიდან გადმოსარიცხი თანხების მუხლებში ჰქონდა. უფრო დაზუსტებული მონაცემები აქვს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს, რომლის ხელმძღვანელის რომან გოცირიძის განცხადებით, გასულ თვეში ბიუჯეტმა გრანტების სახით - ექვსი, არასაგადასახადო შემოსავლების სახით - ორი, ხოლო აჭარიდან, დაახლოებით, ოთხი მილიონი ლარი ვერ მიიღო. თუმცა, გოცირიძის ვარაუდით, ეს თორმეტ- მილიონიანი გარღვევა, ალბათ, კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან გეგმა ვერც სპეცფონდებმა შეასრულეს.

პრაქტიკულად, უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ბიუჯეტს ევროგაერთიანების გრანტის სრულად მიღების იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის განცხადებით, წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული ევროგაერთიანების 47 მილიონი ლარიდან, საქართველო წლის ბოლომდე მხოლოდ ოთხ მილიონ ლარს უნდა ელოდოს. ამ თანხას ქვეყანა "სასურსათო უსაფრთხოების" პროგრამის ფარგლებში მიიღებს. მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასკვნას გამოიტანენ ამჟამად საქართველოში მყოფი ევროგაერთიანების ექსპერტები ქართული მხარის მიერ მათი პირობების შესრულების თაობაზე, გიგოლაშვილის თქმით, გრანტის დანარჩენი ნაწილი, წელს მაინც აღარ გადმოირიცხება.

კვლავაც პრობლემად რჩება აჭარის ტრანსფერები, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ჯიუტად არ რიცხავს ცენტრალურ ბიუჯეტში. რეგიონის ეს ურჩობა თბილისს საკმაოდ ძვირი - ყოველწლიურად, დაახლოებით, 40 მილიონი ლარი უჯდება. ამ პრობლემის მოხსნაზე მთავრობა, როგორც ჩანს, სერიოზულად იწყებს ზრუნვას, მით უმეტეს, რომ ამას სავალუტო ფონდის ერთ-ერთი უკანასკნელი რეკომენდაციაც ითვალისწინებს. აჭარასთან ურთიერთობების გარკვევას მიმდინარე კვირას სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრები ბათუმში სტუმრობისას შეეცდებიან.

ამ არც თუ საიმედო მდგომარეობის და იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანად, მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში ბიუჯეტის გარღვევა, დაახლოებით, 120 მილიონ ლარს აღწევს, გოცირიძე ფინანსთა სამინისტროსგან სეკვესტრის განხორციელებას აუცილებლად მიიჩნევს. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე. გიგოლაშვილის თქმით, დეკემბერში, ანუ წლის უკანასკნელ თვეს სეკვესტრის განხორციელება აზრს მოკლებულია.

# "მაიკროსოფტის" საქმე ხელახლა იწყება

*როგორც ჩანს, "მაიკროსოფტის" სასამართლო პროცესებს ბოლო არ ექნება. სულ ცოტა ხნის წინ იყო, როცა მოსამართლე კოლინ კოლარ-კოტლიმ პროგრამული უზრუნველყოფის გიგანტს რაღაც პირობების სანაცვლოდ ბრალდებები მოუხსნა და ყველას ეგონა, რომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაწყებული პროცესი წარსულს ჩაბარდებოდა, მაგრამ..., როგორც ჩანს ბილ გეიტსს მშვიდად მუშაობა არ უწერია.*

თორნიკე შარაშენიძე

"მაიკროსოფტი" რომ გადარჩებოდა, ეს ჯერ კიდევ ორი წლის წინ გახდა ცხადი, როცა არჩევნებში რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს. ჯორჯ ბუში უმცროსი, კაცმა რომ თქვას, არასოდეს გეიტსის კომპანიის მიმართ ლოიალურ განწყობას. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა პროგნოზით მთავარ მოსარჩელეს - აშშ-ს მართლმსაჯულების დეპარტამენტს, ნელ-ნელა უნდა შეერბილებინა პოზიცია და "მაიკროსოფტთან" რაღაც გარიგებაზე წასულიყო. ასეც მოხდა და საბოლოოდ მოსამართლე კოლარ-კოტლიმ კომპრომისული განაჩენი გამოიტანა.

მაგრამ ამასობაში, პრაქტიკულად ყველას გადაავიწყდა, რომ მართლმსაჯულების დეპარტამენტის გარდა, მაიკროსოფტს უჩიოდა 9 შტატი. კოლარ-კოტლიმ ამ უკანასკნელთა პრეტენზიებს განაჩენის გამოტანისას ყურადღება არ მიაქცია, რაც უპასუხოდ არ დარჩა და მასაჩუსეტსმა მოსამართლის გადაწყვეტილება თითქმის დაუყოვნებლივ გაასაჩივრა. შტატის ხელისუფალთა აზრით, "მაიკროსოფტის" წინააღმდეგ შემოღებული სანქციები მეტისმეტად რბილი იყო და ისინი გეიტსის მონოპოლიას ვერაფერს აკლებდნენ.

და აი, მასაჩუსეტსს კიდევ ერთი შტატი, დასავლეთ ვირჯინია შეუერთდა, რაც უკვე საკმარისია საქმის ხელახლა ასაგორებლად. რაც შეეხება დანარჩენებს იმ 9 შტატიდან - იუტამ, კალიფორნიამ, კონექტიკუტმა, ფლორიდამ, აიოვამ, კანზასმა და მინესოტამ უარი თქვეს გასაჩივრებაზე.

"მაიკროსოფტს" კი სხვა ფრონტებზეც აქვს საომარი. კომპანიას ევროკომისიასთან მოუწევს ჭიდილი, რომელიც მას მონოპოლისტობაში ადანაშაულებს. გარდა ამისა, ბალტიმორში უკვე დაიწყო კერძო სარჩელთან დაკავშირებით საქმის მოსმენა. ლაპარაკია "სან მაიკროსისტემზის" მიერ აღძრულ სარჩელზე. კომპანია ირწმუნება, რომ ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი უნივერსალური პროგრამირების ენა "ჯავა", რომელიც თავისი თავსებადობითაა ცნობილი, "მაიკროსოფტმა" განგებ დაამახინჯა. ისე რომ, "ჯავას" თავსებადობას პრობლემები შეექმნა. "სანი" ზარალის სამმაგად ანაზღაურებას ითხოვს. საუბარია დიდ, თუმცა "მაიკროსოფტისათვის" ,ალბათ, არც ისე დიდ თანხაზე – 2 მილიარდ დოლარზე. თუმცა, გეიტსისათვის ფული არაა პრობლემა – პრობლემა პრეცედენტია: მას არ სურს, რომ პროცესზე დამარცხდეს და კონკურენტს ზარალი აუნაზღაუროს.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 28 ნოემბერი - 4 დეკემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6401 | 0.6379 | 0.0051 |
| US$ | 1.5623 | | 0.9966 | 0.008 |
| €uro | 1.5676 | 1.0034 | | 0.0081 |
| ¥en | 194.61 | 124.62 | 124.22 | |

2002 წლის 4 დეკემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1629 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3861 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4674 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1700 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.4286 ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1743 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0681 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4435 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3704 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0688 ლარი |

# თბილისი გაზს შუამავლის გარეშე მიიღებს

## სახელმწიფო სტრუქტურები "თბილგაზს" ერთმანეთს ხელში აჩეჩებენ

პირველი გვერდიდან



თათბირი სახელმწიფო მინისტრთან.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის, დავით მირცხულავას მტკიცებით, დეკემბერში ამოქმედდება დედაქალაქისათვის გაზის მოწოდების შეცვლილი სქემა, რაც გულისხმობს "იტერასა" და "თბილგაზს" შორის "შესაბამისი გადახდების გარანტიებით" პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებას. "იტერას" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების თანახმად, "თბილგაზი" მარტამდე არაწინასწარი გადახდის წესით იმუშავებს. თუ რა მეთოდით გაგრძელდება "იტერასთან" ურთიერთობა მარტის შემდეგ, მთავრობის წარმომადგენლები, ჯერჯერობით, ვერ აკონკრეტებენ. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის თქმით, "იტერასათვის" მისაღები აღმოჩნდა ქართული მხარის წინადადება თბილისის გაზმომარაგების სქემიდან "საქგაზის" ამოვარდნის შესახებ და იგი მზად არის, დედაქალაქს უშუალოდ მოაწოდოს ბუნებრივი აირი.

ამ ეტაპზე დავით მირცხულავა და "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა გაზის ტარიფის შემცირებაზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევენ. დავით მირცხულავა ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ ამოღებული თანხის ნაწილი ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას მოხმარდება. **"ბუნებრივი აირის გაიაფებაზე ამ ეტაპზე ვერ ვილაპარაკებთ, რადგან ნებისმიერი ამოღებული თანხა რეინვესტიციად ჩაიდება ისევ "თბილგაზის" სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის",** - აღნიშნა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა.

უფრო ოპტიმისტური განცხადება გააკეთა სახელმწიფო მინისტრმა, რომელსაც შუალედური რგოლის ამოვარდნა ტარიფის შემცირების რეალურ საშუალებად მიაჩნია. **"საქგაზი" არის გარიგებებით შექმნილი რგოლი, რომელიც ხალხის ხარჯზე ერთეული ადამინების სასარგებლოდ მუშაობს. ამიტომ "საქგაზი" თბილისის გაზმომარაგების სქემიდან აუცილებლად ამოვარდება. ეს ტარიფშიც აისახება, რაც თბილისელებისთვის ნამდვილი საჩუქარი იქნება",** - განაცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ.

მირცხულავას განცხადებით, ამჟამად ქართული მხარის ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებას მომწოდებლის მიმართ, წარმოადგენს ნოემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა. გასულ თვეში თბილისმა 3,7 მილიონი ლარის ღირებულების გაზი მოიხმარა. ეს თანხა ქართულმა მხარემ 15 დეკემბრამდე უნდა გადაიხადოს. დავით მირცხულავას თქმით, უკვე მიმდინარეობს საჭირო თანხის მობილიზება, რათა აღებული ვალდებულება შესრულდეს. **"ვალის ნაწილს "თბილგაზი" გადაიხდის, ნაწილს ცენტრალური ბიუჯეტი და დედქალაქის მერია",** - განაცხადა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა. ვახტანგ ცაავას ინფორმაციით, "თბილგაზს" მხოლოდ 700 ათასი ლარის მობილიზება შეუძლია. დანარჩენი თანხის (სამი მილიონი ლარი) დაფარვა კი ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს მოუწევთ.

სულ ცოტა ხნის წინ მთავრობამ განაცხადა, რომ აპირებს "თბილგაზის" სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და გაზის საერთაშორისო კორპორაციისთვის მართვაში გადაცემას. აქედან გამომდინარე, ავთანდილ ჯორბენაძის გუშინდელი გამოსვლა იმის თაობაზე, რომ "თბილგაზის" საკითხის გარკვევა დედაქალაქის ხელმძღვანელობის პრეროგატივაა და არა ცენტრალური ხელისუფლებისა, საკმაოდ მოულოდნელი იყო. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, სანამ ქალაქის ხელმძღვანელობა "თბილგაზის" მართვას თავის თავზე აიღებს, ცენტრალური ხელისუფლება მზად არის, დარგში არსებული პრობლემების მოგვარებაზე თავად იზრუნოს. **"ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებულები ვართ, ჩავერიოთ და მოვაგვაროთ დედაქალაქის ელექტროენერგიითა და გაზით მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები. ეს არანორმალურია, რადგან ცენტრალურ ხელისუფლებას თავისი საქმე აქვს და დედაქალაქის მმართველობას – თავისი. აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლება-მოვალეობები",** - განაცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ.

მუნიციპალური და ცენტრალური ხელისუფლების უფლება-პასუხისმგებლობის გამიჯვნის მომხრეა თბილისის საკრებულოს მდივანი ზურაბ ჟვანიაც. მისი თქმით, "თბილგაზის" მმართველობაში აღებამდე, საკრებულო შეისწავლის სააქციო საზოგადოებაში არსებულ მდგომარეობას და მხოლოდ კომისიაზე განხილვის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას. ჟვანიასგან განსხვავებით, გუშინ გაცილებით გამოკვეთილი პოზიცია დააფიქსირა საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა. იგი ჯორბენაძის აღნიშნულ ინიციატივას ზამთრის მძიმე სეზონზე პასუხისმგებლობის ცენტრალური ხელისუფლებიდან საკრებულოზე გადაბარების მცდელობად აღიქვამს და ახალი ტვირთის "აკიდებაზე" ("თბილგაზის" სახით) უარს აცხადებს.

საბოლოოდ, საკრებულოსა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ შეიქმნას ერთობლივი კომისია, რომელიც "თბილგაზის" პრობლემებზე იმსჯელებს და სააქციო საზოგადოების მმართველის საბოლოო ვინაობას გაარკვევს.

# „იტერამ" „საქგაზის" ინტერესების დათმობით „აზოტი" მიიღო

## რა მოიგო ქართულმა მხარემ?

*საქართველოს მთავრობამ "იტერას" დიდი ხნის ოცნება აუსრულა და "აზოტი" პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად – 500 ათას დოლარად მიჰყიდა. ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ მოულოდნელად, საკუთარი, ორიოდე დღისწინანდელი გადაწყვეტილების საპირისპიროდ, "იტერას" პრეზიდენტის საქართველოდან გამგზავრებიდან რამდენიმე საათში მიიღო.*

გვანცა ქვინიკაძე

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული ობიექტების პრივატიზების სამთავრობო კომისიამ რამდენიმე დღის წინ "აზოტის" მიყიდვაზე "იტერას" უარი უთხრა და ამ საწარმოსთვის ინვესტორის მოძიების საუკეთესო გზად საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება მიიჩნია, გუშინ მთავრობამ "აზოტის" აქციათა 90 პროცენტი ყოველგვარი კონკურსის გარეშე მაინც "იტერას" გადასცა. ეს გადაწყვეტილება მთავრობის წევრებმა იმით ახსნეს, რომ "იტერამ" ქართული მხარის მიერ წინა კვირას დაწუნებული ბიზნეს-გეგმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. უფრო მეტიც, "აზოტის" "იტერას" ხელში გადასვლას ხელისუფლების წარმომადგენლები ლოგიკურ და ყველაზე გამართლებულ ნაბიჯად მიიჩნევენ.

ამავე დროს, მთავრობის წარმომადგენელთა აზრით, "იტერასთვის" წაყენებული პირობები საკმაოდ მკაცრია. ქონების მართვის მინისტრის მოადგილის გენო მალაზონიას განცხადებით, აღნიშნული პირობების თანახმად, "იტერა" ვალდებულია უახლოესი სამი წლის განმავლობაში ქართულ საწარმოში 13 მილიონი დოლარი (რვა მილიონი რეინვესტიციის და ხუთი მილიონი წმინდა ინვესტიციის სახით) დააბანდოს და დაფაროს 22 მილიონ დოლარიანი საკრედიტო დავალიანება, რომელიც "აზოტს" სახელმწიფო ბიუჯეტისა და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისადმი გააჩნია. გარდა ამისა, რუსულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს "აზოტისთვის" ნედლეულისა და, თავისთავად ცხადია, ბუნებრივი აირის მიწოდება.

საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების ასე ნაჩქარევად მიღება სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა გუშინ დილითვე იყო გადაწყვეტილი, რაც საქართველოსა და "იტერას" შორის ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებას უკავშირდება. ხელშეკრულება მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიც არის: "იტერას" მიერ საქართველოს უწყვეტი გაზმომარაგების უზრუნველყოფა, საქართველოს "იტერასადმი" დავალიანების შვიდწლიანი რესტრუქტურიზაცია და "თბილგაზისთვის" გაზის მიწოდების სქემიდან "საქგაზის" ამოგდება. ეს უკანასკნელი საკითხი, ანუ "საქგაზის", როგორც ბუნებრივი აირის გამაძვირებელი შუალედური და ზედმეტი რგოლის თავიდან მოშორება ქართულმა მხარემ "იტერას" წინაშე ცოტა ხნის წინ დააყენა. სავარაუდოა, რომ "იტერა" თავისი შვილობილი "საქგაზის" ამ მეტად მომგებიანი სქემიდან ამოგდებას, სწორედ "აზოტის" მიღების სანაცვლოდ დათანხმდა.

"იტერას" საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს თამაზ პატარიძეს მიაჩნია, რომ ქართულმა მხარემ გაცილებით მეტი მოიგო ჩარჩო ხელშეკრულებით, ვიდრე "იტერამ". თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ "იტერამ" ამ ხელშეკრულების წყალობით უკვე მიიღო "აზოტი" და ქართული მხარის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი ვალებისა და თბილისის მიერ მოხმარებული გაზის მიმდინარე საფასურის დაფარვის მყარი გარანტიები და, როგორც ჩანს, საბოლოოდ, "თბილგაზიც" მისი წერა გახდება, ქართული მხარის "მოგება" საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება.

# მსოფლიო ბანკი საქართველოში ორ ახალ პროექტს აფინანსებს

*"ეს რიგით ოცდამეთერთმეტე პროექტია, რომელსაც მსოფლიო ბანკმა საქართველოს მხარესთან მოაწერა ხელი. იმედი მაქვს, რომ მსოფლიო ბანკმა და პირადად მე, საქართველოს აღმშენებლობის საქმეში გარკვეული წვლილი შევიტანეთ", - განაცხადა მსოფლიო ბანკის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში ტევფიკ იაპრაკმა გუშინ, ფინანსთა სამინისტროში გამართულ ცერემონიაზე, რომელზეც მან და ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა ხელი მოაწერეს "სატყეო სექტორის განვითარებისა" და "მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის " პროექტებს.*

ნინო ნარჩემაშვილი

აღნიშნული პროექტების დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკმა 35 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. პირველი პროექტი, რომლის მიზანია ტყის მართვის სისტემის შექმნა, 15,6 მილიონი დოლარით დაფინანსდება. პროექტი 2009 წელს დასრულდება და მას სატყეო სექტორის განვითარების ცენტრი განახორციელებს. ტევფიკ იაპრაკის განცხადებით, საქართველოში სატყეო სექტორი უკონტროლო და საკმაოდ კორუმპირებულია და ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა საკმაოდ რთული იქნება. ამიტომ ეს პროექტი საქართველოში მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებულ პროექტთა შორის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელია. მისი თქმით, აღნიშნულ პროექტზე აუცილებელია კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელება, აგრეთვე, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, ანტიკორუფციული საბჭოსა და საზოგადოებრიობის მხარდაჭერა.

რაც შეეხება "საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტს", რომლის მიზანი მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელშეწყობა და მძლავრ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბება გახლავთ, იგი 19,4 მილიონი დოლარით დაფინანსდება და 2006 წელს დასრულდება.

ორივე კრედიტი ორმოცწლიანია, ათწლიანი შეღავათიანი პერიოდითა და მომსახურების 0.75-პროცენტიანი წლიური განაკვეთით.

მირიან გოგიაშვილის განცხადებით, მსოფლიო ბანკთან აქტიური თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ამაზე მეტყველებს, თუნდაც, მათ მიერ დაფინანსებული პროექტების აქტუალობა.



ტევფიკ იაპრაკი და მირიან გოგიაშვილი.

# ჩინეთში პუტინის ვიზიტის შედეგები

*ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ოფიციალური ვიზიტი, რომელიც მსოფლიოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა, დასრულდა. პუტინმა და ჩინეთის ლიდერმა ძიან ძემინმა "სტრატეგიული პარტნიორობის" შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი და საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე ერთობლივი მიდგომები შეიმუშავეს. მათ ერაყის და ჩრდილოეთ კორეის საკითხების მშვიდობიან მოგვარებას დაუჭირეს მხარი და მუსულმანი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთს მხარდაჭერას და დახმარებას დაჰპირდნენ. საერთაშორისო ექსპერტები ამ შეხვედრას ორი ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესსა და ისტორიულს უწოდებენ.*



*ვლადიმირ პუტინი და ძიან ძემინი*

ლევან ღირსიაშვილი

მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფოს ლიდერებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას "მრავალპოლუსიანი მსოფლიოს" შესახებ, რითაც ფაქტიურად მსოფლიოს დღევანდელი ჰეგემონის - აშშ-ს პოლიტიკას დაუპირისპირდნენ. ვლადიმირ პუტინმა, რომელმაც საერთაშორისო ანტიტერორისტულ კამპანიაში მონაწილეობითა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის დასავლეთისაკენ შემობრუნებით საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი ურთიერთობები აშშ-სთან და ევროპასთან, ჩინეთში ვიზიტის დროს ყურადღება გაამახვილა თავისი ქვეყნის სტრატეგიულ კურსზე, რომლის თანახმადაც რუსეთს სტრატეგიული პარტნიორები ისევე სჭირდება აღმოსავლეთში, როგორც დასავლეთში. **"ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებულები ვართ, რომ რუსეთსა და ჩინეთს შორის განსაკუთრებული სტრატეგიული ურთიერთობა არა მარტო ჩვენი ქვეყნების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის საშუალებას მოგვცემს, არამედ ასევე შექმნის მსოფლიოს სტაბილურობის საფუძველს,"** განაცხადა ვლადიმირ პუტინმა პეკინში ცამეტ- გვერდიანი ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალზე. ეს დოკუმენტი არა მარტო ორი ქვეყნის ურთიერთობებს შეეხება, არამედ მასში მკაფიოდ არის გამოხატული ჩინეთისა და რუსეთის ერთობლივი სურვილები მსოფლიოს მოწყობის შესახებ. დეკლარაციაში ხაზგასმით არის დაფიქსირებული ორივე ქვეყნის პოზიცია ბირთვული იარაღისგან თავისუფალი კორეის ნახევარკუნძულის შესახებ და, ასევე, გამოთქმულია სურვილი, რომ აშშ-მ და ჩრდილოეთ კორეამ არსებული პრობლემები მშვიდობიანად და 1994 წლის შეთანხმების დაცვის მიხედვით გადაწყვიტონ. როგორც ცნობილია, ეს შეთანხმება ფხენიანს ბირთვული პროგრამების დამუშავებაზე უარის თქმას ავალდებულებს, რის სანაცვლოდაც ჩრდილოეთ კორეა უცხოეთიდან ენერგეტიკულ დახმარებას იღებს.

ვლადიმირ პუტინმა და ძიან ძემინმა ერთობლივი და კატეგორიული მოთხოვნები დააყენეს ერაყის პრობლემატიკის შესახებაც. დეკლარაციაში ცალსახად დაფიქსირებულია ორივე ქვეყნის პოზიცია, რომლის თანახმადაც ერაყის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური და პოლიტიკური მეთოდებით უნდა დარეგულირდეს. ორი ქვეყნის ლიდერების მოთხოვნით, საბოლოო სიტყვა ისეთ საერთაშორისო პრობლემებზე, როგორიცაა ერაყის საკითხი, მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უნდა ეკუთვნოდეს.

მესამე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც პუტინმა და ძემინმა ერთობლივი მიდგომები შეიმუშავეს, საერთაშორისო ტერორიზმი და სეპარატიზმია. მათ ერთმანეთს მხარდაჭერა და დახმარება აღუთქვეს მუსულმან ტერორისტებთან ბრძოლაში. თუკი რუსეთისათვის ამგვარ პრობლემას ჩეჩნეთი წარმოადგენს, არანაკლები საფიქრალი აქვს ჩინეთს, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სეპარატისტულად განწყობილ მუსულმანებთან - უილურებთან დაკავშირებით. თუმცა, დასავლეთი ორივე ქვეყანას ამ რეგიონებში ადამიანთა უფლებების დაცვისაკენ მოუწოდებს. ამასთან დაკავშირებით კი, პუტინმა და ძემინმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს. მათ სხვა ქვეყნების მთავრობებს ბრალი დასდეს ტერორიზმთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით "ორმაგი სტანდარტებით" მოქმედებაში. დეკლარაციაში ჩინეთის და რუსეთის ლიდერებმა ჩეჩენ და უიღურ ამბოხებულებს "ტერორისტები და სეპარატისტები" უწოდეს. მათი თქმით, ტერორისტების მოქმედება უნდა დაიგმოს და მსოფლიოს ყველა სახელმწიფომ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს მათთან ბრძოლაში.

ამ ისტორიული დეკლარაციის გარდა, ჩინეთში პრეზიდენტ პუტინის ვიზიტის დროს ხელი მოეწერა მთელ რიგ შეთანხმებებს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და იურიდიული თანამშრომლობის გაღრმავების სფეროში. ერთ-ერთი ხელშეკრულების თანახმად, ჩინეთის სახელმწიფო ბანკი 200 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზს გამოუყოფს რუსულ კომპანიებს ჩინური პროდუქციის შესაძენად.

გარდა ამისა, ამერიკული გამოცემის "უოლ სთრით ჯორნალის" ინფორმაციის თანახმად, ამ კვირაში ჩინეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერება შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის 2400 კილომეტრის სიგრძის ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ჩინეთისათვის აღნიშნულ საკითხს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც მომავალში პეკინის წინაშე ენერგორესურსების პრობლემა ძალზე მწვავედ დადგება. **"უკანასკნელ პერიოდში ამ კუთხით გააქტიურება ერაყში შეერთებული შტატების მიერ შესაძლო შეჭრით არის განპირობებული, რადგანაც პეკინი ნავთობის სფეროში თავისი მოთხოვნების ნახევარს ახლო აღმოსავლეთის საბადოების ხარჯზე იკმაყოფილებდა, მაშინ როდესაც, ნავთობის იმპორტში რუსეთის წილი მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენდა. თუმცა, 2002 წლის პირველ რვა თვეში რუსეთიდან ნავთობის იმპორტმა საერთო იმპორტის 70 პროცენტს მიაღწია,"-** წერს "უოლ სტრიტ ჯორნალი." ამავე სტატიის თანახმად, რუსეთში ნავთობის მოპოვება უკანასკნელ წლებში 20 პროცენტით გაიზარდა და დღეს უკვე დღე-ღამეში 8 მილიონ ბარელს შეადგენს. უნდა ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციაში სიდიდით მეორე ნავთობმომპოვებელმა კომპანია "იუკოსმა" და ჩინეთის სახელმწიფო სანავთობო კორპორაციამ ხელი მოაწერეს კონტრაქტს, სადაც დეტალურად არის აღწერილი ნავთობის ტრანსპორტირების მოცულობა და დაწესებულია შესაბამისი ფასები. მოსალოდნელია, რომ ციმბირის ნავთობსაბადოებში ინვესტირებას და ჩრდილოეთ ჩინეთში ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების ექსპლუატაციას ჩინეთის სახელმწიფო სანავთობო კორპორაციის ჰონგ-კონგსა და ნიუ-იორკში დაფუძნებული შვილობილი კომპანია "PetroCina Co" განახორციელებს.

ამდენად, რუსეთისა და ჩინეთის მჭიდრო თანამშრომლობა როგორც პეკინის, ასევე მოსკოვის საერთაშორისო არენაზე გავლენის ზრდას შეუწყობს ხელს.

## მოკლედ

**მექსიკა** ავტობუსის კატასტროფის შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა და 23 მძიმედ დაშავდა. ავტობუსი სველ გზაზე მოცურდა და 200-მეტრიან ხრამში გადავარდა. მგზავრთა უმრავლესობას სკოლის მასწავლებლები წარმოადგენდნენ. დაშავებულთა დიდი ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია და დაღუპულთა რიცხვიც, შესაძლოა, გაიზარდოს.

■ ■ ■

**ინდოეთი** ბომბეიში სამგზავრო ავტობუსის აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა და 34 მძიმედ დაშავდა. ერთ-ერთი სკამის ქვეშ დამონტაჟებული საათის მექანიზმიანი ბომბი იმ დროს აფეთქდა, როდესაც ბოლო გაჩერებაზე თითქმის ყველა მგზავრი ჩავიდა. სხვა შემთხვევაში მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა.

■ ■ ■

**ავღანეთი** გუშინ ბონში გამართულ კონფერენციაზე ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი ავღანეთის შეიარაღებული ძალების შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რაზედაც დასავლეთის ლიდერთა მხარდაჭერა მიიღო. კარზაის გეგმით, ავღანეთს 70-ათასიანი არმია ეყოლება. **"კარგად აღჭურვილი, მობილური, მაღალანაზღაურებადი და შემადგენლობით მრავალეთნიკური არმია ერთ წელიწადში უნდა შეიქმნას,"-** განაცხადა ჰამიდ კარზაიმ.

■ ■ ■

**ისრაელი** ისრაელის სპეცსამსახურებმა ოპერატიული ინფორმაციები და სამხილი მასალები მოიპოვეს, რომლის თანახმადაც "ალ-ქაიდას" ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი სომალში ჩავიდა და მომბასაში განხორციელებულ ტერაქტს უხელმძღვანელა. ისრაელის დაზვერვის წყაროების თანახმად, "ალ-ქაიდა" ასევე პაკისტანში, ან ავღანეთში აპირებდა ტერაქტების განხორციელებას.

■ ■ ■

**საფრანგეთი** საფრანგეთის მთავრობა შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიან მოდერნიზაციას იწყებს. აღნიშნული გეგმის განხორცილება 2008 წლამდე უნდა დასრულდეს. პროგრამის ღირებულება 88 მილიარდ ევროს შეადგენს. ექსპერტთა თქმით, ეს ნაბიჯი პრეზიდენტ ჟაკ შირაკის პოლიტიკის ნაწილია, რომლის მიხედვითაც საფრანგეთმა ევროკავშირში სამხედრო თვალსაზრისით დომინანტი ქვეყნის ადგილი უნდა დაიკავოს.

■ ■ ■

**ერაყი** გაერო-ს სამხედრო ინსპექტორებმა ერაყში სადამ ჰუსეინის ერთ-ერთი სასახლე შეამოწმეს. ჯერჯერობით, საეჭვო არაფერია აღმოჩენილი. ამავდროულად, ოფიციალურმა ბაღდადმა გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც ერაყის ხელისუფლება სრულ ინფორმაციას თავისი სამხედრო პროგრამების შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭოს შაბათს, 7 დეკემბერს წარუდგენს. ამავე დროს, ოფიციალური ქუვეითის განცხადებით, ამ ქვეყნის ორი კატერი ერაყის სამხედრო ძალებმა დაცხრილეს.

■ ■ ■

**კენია**. ალ-ქაიდასთან დაკავშირებულმა ერთ-ერთმა ვებ-საიტმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ეს ტერორისტული ორგანიზაცია თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას კენიაში მომხდარ ტერაქტზე. სი-ენ-ენი იუწყება, რომ შეერთებულ შტატებს ეს ინფორმაცია სარწმუნოდ მიაჩნია, თუმცა, კენიელმა გამომძიებლებმა დამნაშავეთა ყოველგვარი კვალი დაკარგეს.

■ ■ ■

**სომხეთი**. მომავალ წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა ათმა პიროვნებამ წამოაყენა, მათ შორის, ახლანდელმა პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმაც. ოპოზიციამ ერთიანი კანდიდატის დასახლება ვერ შეძლო. კოჩარიანის საარჩევნო შტაბს თავდაცვის მინისტრი, სერჟ სარქისიანი უხელმძღვანელებს. ახლანდელ პრეზიდენტს მხარს უჭერენ ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტიები, მათ შორის -მმართველი რესპუბლიკური პარტია და დაშნაკები.

# ევროკავშირი თურქეთის მიმართ პოზიციას იცვლის?

შოთა უტიაშვილი

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერი, ყოფილი ისლამისტი რეჯებ ერდოქანი მაინც დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს, თუნდაც ამისათვის ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლა გახდეს საჭირო. გუშინ, ამის თაობაზე არაორაზროვანი მინიშნებები გაკეთდა.

იმისათვის, რომ ერდოქანი პრემიერი გახდეს, საჭიროა, რომ ,ჯერ ერთი, იგი პარლამენტში აირჩიონ და მეორე, შეიცვალოს კონსტიტუციის 76-ე მუხლი, რომელიც იმ ადამიანებს, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ ერთ წელზე მეტი პატიმრობა, უკრძალავს პარლამენტის წევრობას (საინტერესოა, რომ კონსტიტუცია დეპუტატობის უფლებას არ აძლევს იმათაც, ვისაც არ მოუხდია სამხედრო-სავალდებულო სამსახური). ერდოქანი რელიგიური შუღლის გაღვივების ბრალდებით სამიოდე წლის წინ იჯდა ციხეში.

ერდოქანის პარტიას პარლამენტში ხმების თითქმის ორი მესამედი აქვს. თანაც, ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტია აცხადებს, რომ აღნიშნული მუხლის შეცვლას მხარს დაუჭერს. ამით ერთი პრობლემა მოგვარდება.

რაც შეეხება მეორე პრობლემას, გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წვრილმანი დარღვევების გამო ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში 3 ნოემბრის არჩევნების შედეგები გააუქმა და ხელახალი კენჭისყრა დანიშნა. ერდოქანი აცხადებს, რომ მასში მონაწილეობის საკითხს "თავის პარტიასთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვეტს", თუმცა, რეალურად ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ხელახალი კენჭისყრა სწორედ მისთვის ინიშნება.

თუმცა, ამაზე გაცილებით უფრო საინტერესო ამბები ხდება საგარეო პოლიტიკურ ფრონტზე. ევროკავშირის წარმომადგენლებმა, რომლებიც აქამდე თურქეთის ევროპულ პრეტენზიებს არც ისე სერიოზულად აღიქვამდნენ, ბოლო დროს ტონი რამდენადმე შეიცვალეს.

თურქეთს მოულოდნელი მოკავშირე გამოუჩნდა გერმანიის კანცლერ შრიოდერის სახით, რომელმაც ახლახან განაცხადა, რომ 12 დეკემბერს თურქეთმა დადებითი მესიჯი უნდა მიიღოს. "ახლა საჭიროა დადგინდეს თარიღი, არა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების, არამედ მასთან მოლაპარაკებების დაწყების," – თქვა მან. შრიოდერის ეს განცხადება ამ საკითხში გერმანიის პოზიციის ცვლილებას მოწმობს. თურქეთის გაწევრიანებას მხარს უჭერენ სამხრეთ ევროპის ქვეყნებიც, მათ შორის საბერძნეთი. თავისი მტკიცე მხარდაჭერის შესახებ განაცხადა პორტუგალიამაც.

თუმცა, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, დანიის პრემიერი რასმუსენი აცხადებს, რომ კონკრეტული თარიღის განსაზღვრა ჯერ ადრეა.

სწორედ ეს თარიღია განხეთქილების ვაშლი ანკარა-ბრიუსელის ურთიერთობაში. ევროკავშირის მიერ ზუსტი ვადის დასახელებას თურქები, 15 წელია, ამაოდ ელიან.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ 12 დეკემბერს, ევროკავშირის კოპენჰაგენის სამიტზე როდესაც საბოლოოდ გამოცხადდება რვა აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნის გაწევრიანების თარიღი, თურქეთი მთლად ხელცარიელი მაინც არ დარჩება.

ამჟამად განიხილება ორი კომპრომისული ვარიანტი. ერთი მათგანის თანახმად, ევროკავშირი გამოაცხადებს იმ თარიღს, როდესაც ის განსაზღვრავს მოლაპარაკებების დაწყების თარიღს. ეს ჩახლართული დიპლომატიური სვლა იმას ნიშნავს, რომ ბრიუსელი ანკარას ოფიციალურად შეჰპირდება, რომ მოლაპარაკებების დაწყების თარიღს მოგვიანებით აუცილებლად დაასახელებს. სავარაუდოდ, ეს 2004 წელი იქნება.

მეორე ვარიანტის თანახმად, ევროკავშირი დაასახელებს პირობით თარიღს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი დაასახელებს მოლაპარაკების დაწყების სავარაუდო თარიღს, თუმცა, მოლაპარაკება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს, თუ მანამდე თურქეთი სერიოზულ რეფორმებს გაატარებს.

ამგვარი რეფორმების გატარების სურვილს გამარჯვებული პარტია დიდი ხანია გამოთქვამს. იუსტიციის ახალმა მინისტრმა განაცხადა, რომ სერიოზული ცვლილებების შეტანას აპირებს სისხლის სამართლის კოდექსში, ცვლილებები შევა სამართალწარმოებაში, გაუქმდება "სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები". მოგვიანებით, საქმე აუცილებლად მივა ადამიანის უფლებათა საკითხებში რეფორმების გატარებამდე, მაგალითად, რელიგიური აკრძალვებისა და შეზღუდვების (ჩადრის ტარების უფლება და სხვ.) მოხსნამდე, სარწმუნოებრივი შეხედულებებისათვის პიროვნილი ან პოლიტიკური დისკრიმინაციის აღკვეთამდე და სხვა (ევროკავშირი ასევე მოითხოვს პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედროების როლის შემცირებას)

რატომ შეიცვალა ევროკავშირის პოზიცია ასე სერიოზულად? ის, რომ თურქეთმა გარკვეული რეფორმები გაატარა და მომავალში კიდევ გაატარებს, რასაკვირველია მნიშვნელოვანია, მაგრამ -არასაკმარისი. თურქეთის გაწევრიანების მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ეს ქვეყანა კულტურული და დემოგრაფიული მოსაზრებებით არის მიუღებელი, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიზაციის საკითხები კი მეორეხარისხოვანია.

ევროპელი ექსპერტები ამბობენ, რომ ბრიუსელის პოზიციის შეცვლა ორი მიზეზით აიხსნება. პირველი ისაა, რომ ევროკავშირს სურს, თურქეთი კვიპროსის პრობლემის მოგვარებაზე დაიყოლიოს.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ევროკავშირს სჭირდება თურქეთის თანხმობა საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნასა და ნატო-ს ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის.

თუმცა, ბევრი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ გადამწყვეტი მაინც ამერიკის ფაქტორია. ვაშინგტონი მიიჩნევს, რომ თურქეთისათვის პასუხის შემდგომი გაჭიანურება დაუშვებელია. აშშ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, პოლ ვოლფოვიცმა ლონდონში განაცხადა, რომ თურქეთის შეერთება ევროკავშირს უფრო ძლიერსა და უსაფრთხოს გახდის. საწინააღმდეგო ვარიანტი კი "უბრალოდ წარმოუდგენელია". მისი თქმით, უახლოესი ორი კვირა გადამწყვეტი იქნება თურქეთ-დასავლეთის ურთიერთობების მომავლისათვის.

ვოლფოვიცი და მისი კოლეგა სახელმწიფო დეპარტამენტიდან მარკ გროსმანი ამჟამად ანკარაში იმყოფებიან და როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ერაყის კამპანიაში მონაწილეობაზე თურქეთის დაყოლიებას ცდილობენ. ვაშინგტონი საჰაერო სივრცის, პორტებისა და სამხედრო ბაზების გამოყენების უფლებას ითხოვს. გარდა ამისა, აშშ-ს საჭიროების შემთხვევაში თურქეთისაგან ომში ჩართვის პირობის მიღებაც სურს.

"ფეტვს მივუტან კრუხსა, კრუხი მომცემს წიწილსა" ლოგიკით, თურქეთის დასაყოლიებლად, აშშ ძლიერ ზეწოლას ახდენს ევროპელებზე, რათა მათ ამ ქვეყნის მიმართ უფრო სტუმართმოყვარული პოზიცია დაიკავონ.

ბოლოს კი რა გამოვა ყოველივე ამისაგან, გაფართოებული, უფრო ძლიერი და ამერიკასთან უფრო მტკიცედ დაკავშირებული ევროპა, თუ დიდი აჯაფსანდალი, ჯერჯერობით დარწმუნებით ვერავინ იტყვის.

# ზაკაევი თავისუფალია

*დანიის იუსტიციის სამინისტრომ ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერი ახმად ზაკაევი გაათავისუფლა. ზაკაევმა ციხე უკვე დატოვა და არავინ იცის, სად იმყოფება იგი.*



*ახმედ ზაკაევი*

დანიის იუსტიციის სამინისტრომ უარი თქვა რუსეთის ოფიციალურ მოთხოვნაზე – გადაეცა ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერი და პრეზიდენტ მასხადოვის პირადი წარმომადგენელი ახმად ზაკაევი, რომელიც ტერორიზმის ბრალდებით იძებნება. დანიელების გადაწყვეტილება საბოლოოა და ველარ გასაჩივრდება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბოლო წუთამდე არ სჯეროდა, რომ დანიელები ზაკაევს გამოუშვებდნენ, ამიტომაც არავითარი რეაგირება არ მოუხდენია წინასწარ მიღებულ ცნობაზე ზაკაევის გათავისუფლების შესახებ. დანიის იუსტიციის სამინისტროს მიერ მოსკოვში გაგზავნილ შეტყობინებაში ნათქვამი იყო, რომ რუსების მიერ დანიური მხარისათვის გადაცემული მტკიცებულებები არასაკმარისი აღმოჩნდა ზაკაევის ექსტრადირებისათვის. დანიის ოფიციალური პირების განცხადებით, "ზაკაევის წინააღმდეგ მოწმეთა ჩვენებების დიდი ნაწილი მეტისმეტად არაზუსტი იყო. არაზუსტია დანაშაულებისა და მათი ჩადენის დროის აღწერაც". ამ მიზეზით ზაკაევი დათქმულ დროზე ადრე (იგი 30 ოქტომბერს დააკავეს და საპატიმროში 5 დეკემბრამდე უნდა დარჩენილიყო) გაათავისუფლეს ციხის კომფორტული საკნიდან, რომელშიც საშხაპეც ჰქონდა და ტელევიზორიც.

რუსეთი ზაკაევს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლის დარღვევაში ადანაშაულებს – შეიარაღებულ აჯანყებაში, სამართალდამცველებზე თავდასხმასა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში. მის მიმართ წაყენებული ბრალდებებიდან ყველაზე გახმაურებულია 1996 წელს გროზნოს მართლმადიდებლური ტაძრის წინამძღვრის, მამა ფილიპის მოტაცება, რომელმაც ტყვეობაში ნახევარ წელიწადზე მეტი გაატარა. თავად მღვდელი დარწმუნებით ვერ აცხადებს, რომ მის გამტაცებელთა შორის ზაკაევიც იყო, მაგრამ მის ყოყმანს რუსი სამართალდამცველების რწმენა არ შეურყევია.

ჯერჯერობით უცნობია, სად წავა ზაკაევი. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც მის მიღებას დათანხმდება, რუსეთთან ურთიერთობების სერიოზული გაფუჭების რისკზე წავა. შესაძლოა, ზაკაევმა დანიაში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი საქმე ბრიუსელში გადაიგზავნება, რადგან ქვეყანა, რომელმაც ზაკაევს ევროპაში შესვლის ვიზა მისცა, სწორედ ბელგია იყო. ბელგიის მთავრობამ უკვე მიანიშნა დანიის ხელისუფლებას, რომ ზაკაევის ბელგიაში ჩასვლას ბრიუსელში არ მიესალმებიან.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს. თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენისათვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

# აკაკი ჩხაიძეს, ამჯერად, „არასამთავრობო" დამცველები გამოუჩნდნენ



*ჩხაიძის სავარძელს მცველები ჰყავს*

*საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, აკაკი ჩხაიძეს, ახალი დამცველები გამოუჩნდნენ. გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: ლია პაპაშვილი, ლერი გელენავა, ზაზა სიხარულიძე და ადვოკატი ოთარ ბერიშვილი ჟურნალისტთა სახლში სწორედ მისი "ცილისმწამებლურად შელახული ღირსების" დასაცავად შეიკრიბნენ. პრეზიდენტი კარგად ვერ იცავს და ამათი დახმარება სჭირდებაო, - ქირქილებდნენ დამსწრე ჟურნალისტები.*

ნანა ქადაგიშვილი

პრესკონფერენციის ორგანიზატორები კი ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ რკინიგზის დეპარტამენტის შეფს (და არა მხოლოდ მას), "ბოღმით სავსე" აკაკი გოგიჩაიშვილისგან დაცვა სჭირდება. "გოგიჩაიშვილის უსირცხვილოდ ცილისმწამებლური, აღვირახსნილი გადაცემები დროულად უნდა შეწყდეს და ამაზე საზოგადოებამაც უნდა იზრუნოს. "60 წუთმა" საქართველო ფსიქოლოგიურად დაატერორა. მისი ყველა გადაცემა ყალბი და ნაჩქარევია. ჩვენ ამისი დამადასტურებელი მასალები გვაქვს და პროკურატურას გადავცემთ. თუმცა, გოგიჩაიშვილისა პროკურატურასაც ეშინია. მის უკან ისეთი ძალა დგას, პროკურატურასა და სასამართლოზე ზეწოლასაც ახერხებს. წივწივაძის ცილისწამების გამო, სასამართლომ "60 წუთი" 5 ათასი ლარით დააჯარიმა და გოგიჩაიშვილმა ამხელა თანხა მაშინვე გადაიხადა. თუ პატიოსანი კაცია, ამდენი ფული საიდან აქვს," – უკვირთ არასამთავრობოებს, ჩხაიძის ქონების წარმომავლობა სალაპარაკო თემად არ მიაჩნიათ და გოგიჩაიშვილის მიუხვედრელობა აღაშფოთებთ: "ბატონი აკაკი შესანიშნავი ადამიანია და არც ისეთი მდიდარი, გოგიჩაიშვილს რომ ჰგონია. თუმცა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ფული, მან ხომ თბილისს მშვენიერი სტადიონი აჩუქა. გოგიჩაიშვილს ის უკვირს, რომ ზოდელავას ჩხაიძისთვის მიწა მიუცია. რა მოხდა მერე, დაიქცა ქვეყანა?"

პაპაშვილის, გელენავასა და ბერიშვილის აზრით, "60 წუთი" მხოლოდ პატიოსან და შესანიშნავ ადამიანებს ერჩის: "წივწივაძე შესანიშნავი ადამიანია, ყურაშვილი - მთელ შინაგან საქმეთა სამინისტროში უპატიოსნესი, გაბრიჩიძე – პატიოსანი, გოგიჩაიშვილი კი – მექრთამე, ცილისმწამებელი და ქართული საზოგადოების გამრყვნელი."

"არასამთავრობო" დამცველები გულდაწყვეტილი იხსენებენ სისხლის სამართლის ძველ კოდექსს, რომელშიც, ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის, სამწლიანი სასჯელი იყო გათვალისწინებული, მხოლოდ პრესკონფერენციას არ სჯერდებიან და "60 წუთის" წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებენ.

# ამერიკანისტიკის ცენტრის ოფისი თსუ-ში

გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიხსნა ამერიკის შემსწავლელი ცენტრის ოფისი.

ბოლო წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებში დიდი ადგილი ეთმობა დასავლეთის და, განსაკუთრებით, ამერიკანისტიკის შესწავლას. გუშინ ამერისტიკის ცენტრის ოფისის პრეზენტაციაზე უნივერსიტეტის რექტორმა, როინ მეტრეველმა აღნიშნა, რომ ცენტრი თსუ-სა და აშშ-ს საელჩოს ძალისხმევით შეიქმნა. მან ხაზი გაუსვა აშშ-ს საელჩოს ატაშეს შერონ ჰადსონ დინის მოღვაწეობას ქართულ საგანმანათლებლო საქმეში და კონკრეტულად, მის წვლილს ცენტრის შექმნაში.

ცენტრში თავმოყრილია მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა ამერიკის შესახებ, არის ინტერნეტიც. ბიბლიოთეკითა და ინტერნეტით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს. გუშინვე შედგა ქართულ-ამერიკული წიგნის პრეზენტაციაც, რომელშიც შესულია ქართულ-ამერიკული ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების მასალები.

# მიმართეთ „თბილწყალკანალს"

*თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, სასმელ წყალზე 2002 წლის 1 იანვრამდე დაგროვებული დავალიანება მოსახლეობას ჩამოეწერება.*

„თბილწყალკანალის" ინფორმაციით, ვალების ჩამოსაწერად თბილისელებმა რაიონის წყალგასაღების სამსახურებს შემდეგ მისამართებზე უნდა მიმართონ: ნაძალადევის უბანი, ხუდადოვის ქ.№3. ტელ: 95-28-47; 96-14-58; დიდუბის უბანი, მარჯანიშვილის ქ.№53. ტელ: 96-90-29; ჩუღურეთის უბანი, მარჯანიშვილის ქ.№53. ტელ: 95-31-08; ისნის უბანი, გუმბრის ქ.№1. ტელ: 94-13-77; 74-01-57; კრწანისის უბანი, გორგასლის ქ.№8. ტელ: 72-26-81; მთაწმინდის რაიონი, ბარნოვის I ჩიხი, №10. ტელ: 92-14-38; ვაკის უბანი, ნუცუბიძის პლატო, მე-II მ/რ-ნი, I კვარტალი, 3ა კორპ. ტელ: 31-48-85; სამგორის უბანი, ესენინის ქ.№10. ტელ: 76-83-32; საბურთალოს უბანი, ნუცუბიძის ქ.№14. ტელ: 39-42-10; გლდანის უბანი, ხევძმარის ქ.№1. ტელ: 68-49-85. **მედია-ნიუსი.**

## მოკლედ

**ქუთაისი.** გუშინ ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს ქარიშხლით დაშავებული ხუთი ადამიანი, მათ შორის სამი რეანიმაციაში, თავის ქალას დაზიანებით მოხვდა. მაღალი კორპუსებიდან ლითონისა და მინის ნამსხვრევები ცვივა, რის გამოც ქუჩებში სიარული სახიფათოა. ხანძრის თავიდან აცილების მიზნით, ქალაქს ელექტროენერგია არ მიეწოდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ფოთი.** ძლიერი ქარის გამო, რომელიც ორშაბათს ღამით ფოთს თავს დაატყდა, ქალაქი წყლისა და შუქის გარეშე დარჩა. მწყობრიდანაა გამოსული ელექტროგადამცემი ხაზები და წყალმომარაგების სისტემა. გუშინ ფოთის სკოლებში სწავლა შეწყდა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ხობი.** ქარიშხლის გამო სერიოზული ზიანი მიადგა ხობის რაიონს. რაიონული საავადმყოფოს, სოფლის მეურნეობის შენობებსა და საცხოვრებელ სახლებს სახურავები აეხადა. დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები, მოგლეჯილია ხეები. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**გორი.** გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს. რამდენიმე დღეა, ამ სკოლის პედაგოგები ექვსი თვის გაუცემელ ხელფასს ითხოვენ. რაიონის განათლების განყოფილების გამგე ლერი პაპუაშვილი მასწავლებლებს ჰპირდება, რომ კუთვნილ თანხას ორიოდე დღეში მიიღებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**სამტრედია.** ცოფით დაავადების შემთხვევების გახშირების გამო, სამტრედიის რაიონი პანიკაშია. რამდენიმე დღის წინათ, ცოფიანი კატის მიერ დაკბენილი მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ, რაიონის ანტირაბიულ კაბინეტებს უამრავი ადამიანი მიაწყდა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მესამე დღეა, "ეი-ი-ეს თელასის" პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი და პროფკავშირების პრეზიდიუმის წევრი აკაკი გვალია ვადიანი ხელშეკრულებების გაუქმებისა და ხელფასების მომატების მოთხოვნით შიმშილობენ. ხუთშაბათისთვის ისინი "ეი-ი-ეს თელასის" წინ ხუთსაათიანი აქციის მოწყობით იმუქრებიან. **ინტერ-პრესი.**

# ჯანდაცვის სამინისტრო თბილისის საკრებულოს პოპულიზმში ადანაშაულებს

*ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც თბილისის საკრებულო ჯანდაცვის ობიექტების ოპტიმიზაციას აჩერებს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯერ არ უნახავთ. იქ მიიჩნევენ, რომ ასეთი დოკუმენტი არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ქალაქის საკრებულოს კანონი არ აძლევს უფლებას, მინისტრისა და, მით უმეტეს, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ბრძანებულებები გააუქმოს.*

მაკა ჭაიანი

რანგით ზემდგომთა გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გალაშქრება ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს მხოლოდ სასამართლოს საშუალებით შეუძლიათ. საკრებულოს მიერ ამ შესაძლებლობის გამოყენებას, ისევე როგორც "ქალაქის პარლამენტში" ოპტიმიზაციის თაობაზე ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს, სამინისტროში პოპულიზმს არქმევენ. "ეს ავნებს საქმეს და დააზარალებს მოსახლეობას", - ასეთია ამ უწყების პოზიცია.

**"ჯანდაცვის ობიექტების ოპტიმიზაციის პროექტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ექსპერტებთან ერთად მზადდებოდა და მეცნიერულად არის დასაბუთებული. ფაქტია - რეფორმა აუცილებელია, ამ მოსაზრებას ალტერნატივა არა აქვს. ძირეული ცვლილებების - ჭარბი მატერიალური და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის გარეშე, რეფორმის განხორციელება წარმოუდგენელია. დარგში არის სიძნელეები, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ჩვენ გვაქვს მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ეს პროცესი ისე წარვმართოთ, რომ არავინ დაზარალდეს. სამწუხაროდ, დაუსაბუთებელი კრიტიკისა და პოპულისტური განცხადებების გარდა, ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით არაფერი მოგვისმენია. სამინისტრო მზად არის, თბილისის საკრებულოში მოაწყოს პროექტის პრეზენტაცია, რომ სწორად იქნას გაგებული ის, რის განხორციელებასაც ვაპირებთ. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი კონსტრუქციული შენიშვნის მისაღებად. მთავარია, რეფორმა არ შეჩერდეს, სტრატეგიულ გეგმას არ გადავუხვიოთ,"** - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე.

სამედიცინო დაწესებულებათა ოპტიმიზაცია ათ წელიწადზეა გათვლილი და ქვეყანაში არსებული 287 საავადმყოფოდან 90 საავადმყოფოს, 10 ათასი საწოლის დატოვებას გულისხმობს. აქედან თბილისზე 13 სტაციონარი და 3940 საწოლი მოდის. დედაქალაქში დღეს 68 საავადმყოფო და 8000 საწოლია. მათგან, გეგმის მიხედვით, დარჩება ინფექციური, ონკოლოგიური, ფსიქიატრიული საავადმყოფოები და ტუბდისპანსერი. ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო ინფექციური საავადმყოფოს ბაზაზე განყოფილებად გარდაიქმნება, დროთა განმავლობაში კი, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო ყოფილი "რესპუბლიკურის" ერთ-ერთ სართულს დაიჭერს. რაც შეეხება ექიმთა კონტინგენტს. დღეს საქართველოში 19 ათასი ექიმია. ოპტიმიზაცია მათ რაოდენობას 12 ათასამდე შეამცირებს.



*ამირან გამყრელიძე*

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დარწმუნებულნი არიან, რომ, როგორ ეკონომიკურ განვითარებასაც უნდა მიაღწიოს საქართველომ, სტაციონარების, საწოლებისა და ექიმების ეს რაოდენობა მის მოთხოვნებს სავსებით დააკმაყოფილებს. **"გათვლები დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით არ გაკეთებულა. როგორც უნდა გაძლიერდეს ქვეყანა, ამაზე მეტი კადრი და საწოლი დარგს არ დასჭირდება. დღეს, მთელ ევროპაში, საწოლების ფონდის კლება აღინიშნება. რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით მეტი შესაძლებლობა აქვს, მედიცინაში მაღალი ტექნოლოგიები დანერგოს. მაღალი ტექნოლოგიები სტაციონარებში პაციენტთა დაყოვნების ვადებს ამცირებს. შესაბამისად, მცირდება საწოლთა რაოდენობაც. ერთი სიტყვით, იმაზე საუბარი, რომ, როცა ფული გვექნება, იძულებული ვიქნებით, დღეს დახურული საავადმყოფოები გავხსნათ, პოპულიზმია და მეტი არაფერი,"** - ამბობს ამირან გამყრელიძე.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ოპტიმიზაცია მიზნად არ ისახავს სამსახურებიდან ვინმეს "გარეკვას". **"ამას ტყუილად გვაბრალებენ,** - განმარტავს იგი, - **სამინისტრო არა მარტო 1500-დან 2000 ლარამდე ფულად კომპენსაციას ითვალისწინებს ოპტიმიზაციის ფარგლებში დათხოვნილი თითოეული თანამშრომლისთვის, არამედ მათი სოციალური დაცვის მეორე და მესამე რიგის მექანიზმებსაც ამუშავებს."** მეორე და მესამე რიგის მექანიზმებში მინისტრი სამედიცინო კადრების სოციალურ მუშაკებად გადამზადებასა და სამედიცინო ობიექტების პრივატიზებაში მათ სრულფასოვან მონაწილეობას გულისხმობს. **"ტუბდისპანსერიდან დათხოვნილმა 200-მდე, ინფექციური საავადმყოფოსა და შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გაერთიანების შედეგად შემცირებულმა 150-მა ადამიანმა უკვე მიიღო ფულადი კომპენსაცია. დღეს ეს სტაციონარები მომსახურების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ექიმთა ხელფასი იქ 2-2,5-ჯერ გაიზარდა და, შესაბამისად, იმატა პაციენტთა მიმართვიანობამაც. სწორედ ასეთი შედეგები უნდა მოიტანოს ოპტიმიზაციამ. ამდენად, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი ლოზუნგების დონეზე არ უნდა წყდებოდეს,"** - ასეთია მინისტრის აზრი.

# „ჰოპლა„ ნათქვამია, ელოდეთ ნახტომს!

*თბილისის საკრებულომ ჯანდაცვის სფეროში ექიმთა კეთილგანწყობის მოპოვება და პაციენტთა გულის მოგება განიზრახა. ამისთვის გადაიდგა ორი წინასწარი ნაბიჯი. საკრებულომ გადაწყვიტა, ერთი წლით შეაჩეროს ჯანდაცვაში მიმდინარე ოპტიმიზაციის პროცესი და "03" აბსოლუტურად უფასო გახადოს.*

ზაზა ფარუაშვილი

ოპტიმიზაციის შეჩერების დეკლარირებით საკრებულომ ფრიად გაახარა ექიმების ერთი ნაწილი, რომლებსაც ხელფასებისა და სავსე პალატების იმედი კვლავ გაუჩინა. საკრებულოში არაერთი სამადლობელი ზარი გაისმა. ამ საკითხისადმი პაციენტთა დამოკიდებულება, ჯერჯერობით, უცნობია. მისთვის არაპროგნოზირებადი შედეგის გამოცნობა ძნელია. სახელისუფლო სტრუქტურები კი ურთიერთსაპირისპიროს ამტკიცებენ. საკრებულო ერთს ამბობს, ჯანდაცვის სამინისტრო – მეორეს.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების უფასოდ გამოცხადება, პირველ რიგში, პაციენტებს უნდა უხაროდეთ, მაგრამ სურვილიდან რეალობამდე საჭიროა არაერთი ბარიერის გადალახვა და დეფიციტური მილიონების მოძიება. მანამდე სიხარული ძალიან ნაადრევია.

საკრებულომ ოპტიმიზაციის შეჩერება კი მოინდომა, მაგრამ ეს პროცესი საქართველოს პრეზიდენტისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებით იმართება, რომლის გაუქმება ქალაქის საკრებულოს არ შეუძლია. ასეთი პრეროგატივა მხოლოდ სასამართლოს აქვს. საკრებულოში ამაზეც დაუწყიათ ფიქრი, მაგრამ ჯერ ვერ ჩამოყალიბებულან.

ჯანდაცვის ეკონომიკის სპეციალისტი და თსსუ-ს ინგლისურენოვანი კათედრის გამგე, საკრებულოს წევრი "ნაციონალური მოძრაობიდან" ლევან მეტრეველი ამ გადაწყვეტილების ინიციატორი და საკითხის ყველაზე უკეთ წარმომჩენია. მისი თქმით, სასამართლოს ვარიანტი დასახვეწია და ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს.

*ლევან მეტრეველი*: **"ექიმებმა თავად დაიწყეს მოქმედება. ბავშვთა "რესპუბლიკურის" კოლექტივმა უკვე იჩივლა დაწესებულებაში მიმდინარე ოპტიმიზაციის პროცესის შეჩერების მოთხოვნით. საჩივრის შეტანის დღიდან, კანონით და კონსტიტუციით, მათთან პროცესი უნდა შეჩერდეს."**

ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო ჯერ არ გამართულა და, შესაბამისად, შედეგიც უცნობია. გამორიცხული კი არაფერია.

საკრებულო ოპტიმიზაციის წინააღმდეგი არ არის. უბრალოდ, იქ მიაჩნიათ, რომ ოპტიმიზაციის პროცესი არასწორად იყო გაანგარიშებული და დაგეგმილი, რის გამოც, მათი აზრით, ძალიან ბევრი სამედიცინო დაწესებულება და მედპერსონალი მცირდება.

*ლევან მეტრეველი*: **"დაწესებულებები ორი კრიტერიუმით შეაფასეს – დატვირთვა და რეაბილიტაციის ღირებულება. საქართველოში დატვირთვა არ ასახავს საჭიროებას, იმიტომ, რომ პაციენტი საავადმყოფოში უფულობის გამო ვერ წვება. დაავადებები უფრო მეტია, ვიდრე კომუნისტების დროს იყო.**



*ლევან მეტრეველი*

**რეაბილიტაციის თანხებიც ძალიან გაბერილია. მე გავეცანი საერთაშორისო ფირმის "კაიზერ პერმანენტეს" დასკვნებს, რომელშიც წერია, რომ თბილისში 1 კვ/მ ფართის რემონტი 180-200 დოლარი ღირს. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ტყუილია. დარწმუნებული ვარ, ქართველმა პარტნიორებმა "კაიზერს" მცდარი ინფორმაცია მიაწოდეს. შედეგად, მრავალი კლინიკის რეაბილიტაცია ძალიან ძვირი და შეუძლებელი გახდა."**

კომუნისტების დროს საქართველოს ჯანდაცვის ბიუჯეტი 500 მილიონი მანეთი იყო. ეს თანხა ამდენივე და უფრო მეტ მილიონ დოლარს შეადგენდა, რითაც არსებული უზარმაზარი სამედიცინო სტრუქტურის მოვლა, ასე თუ ისე, ხერხდებოდა. ბოლო წლების ჯანდაცვის ბიუჯეტი 25 მილიონს არ ასცდენია, რითაც, აღდგენაზე რომ არაფერი ვთქვათ, ნგრევის შეჩერებაც კი შეუძლებელია. ამიტომ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მიაღწიონ ამორტიზებულმა შენობებმა და მომლოდინე ექიმებმა იმ დრომდე, როცა საქართველოს ჯანდაცვის ბიუჯეტი კვლავ ასეულმილიონობით დოლარი იქნება.

აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, არასამთავრობოებითა და მასმედიით გაძლიერებული საკრებულოს კომისია ისევ ცნობილ დასკვნამდე მივიდეს – დაჩქარდეს ოპტიმიზაციის პროცესი.

უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოცხადებას რაც შეეხება, ყოველი ჩვენგანისთვის, მართლაც, ბედნიერება იქნებოდა. სპეციალისტთა ვარაუდით, ამ საქმეს 10-15 მილიონი დოლარი მაინც ესაჭიროება, რისი შესაძლებლობაც ქალაქის ბიუჯეტს არა აქვს. თუმცა, საკითხის განხილვისთვის ჯერ ქალაქის მთავრობა უნდა დამტკიცდეს, მერე ბიუჯეტი დროულად შემოვიდეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს სასწრაფოსთვის საჭირო მილიონების ძებნა.საკრებულომ კი, ჯერ გადაწყვეტილებას მივიღებ, მერე ანგარიშს დავიწყებო. ასე რომ, საკრებულოში, ჯერჯერობით, მხოლოდ "ჰოპლა" დაიძახეს.

# ინვალიდებს გაზრდილი ბიუჯეტის შესახებ ახარეს

*3 დეკემბერს მეათედ აღინიშნა ინვალიდთა საერთაშორისო დღე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მომავალი წელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წლად გამოცხადდა. გუშინ უნარშეზღუდული ადამიანებისთვის ჩვენმა ხელისუფლებამაც მოიცალა - მათ დილით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პირველი პირები შეხვდნენ, საღამოს კი პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც გამონახა დრო.*

ეთერ მამულაშვილი

შეხვედრის პირველივე წუთებზე ჯანდაცვის მინისტრმა, ამირან გამყრელიძემ, ინვალიდებს გაზრდილი ბიუჯეტის შესახებ ახარა. ფინანსთა სამინისტროსთან სპეციალური შეთანხმების შემდეგ, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში უნარშეზღუდულ პირთა პროგრამების დაფინანსებისთვის 6 200 000 ლარია გათვალისწინებული, რაც, შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით, ორჯერ მეტია.

პროგრამები, რომელთა დაფინანსებას ჯანდაცვისა და ფინანსთა სამინისტროები ინვალიდებს ჰპირდებიან, მართლაც, სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ ადამიანების რამდენიმე ძირითადი პრობლემის მოსაგვარებლად. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც ინვალიდები დიდ იმედებს ამყარებენ, უფასო სამედიცინო მომსახურების გაზრდაა.

მინისტრის მოადგილე ვასიკო ჭეიშვილი: **"ამ ადამიანებს სჭირდებათ სპეციფიკური სამედიცინო მომსახურება, რასაც მომავალ წელს ყველა აუცილებლად მიიღებს. ამ მომსახურებით თითოეული ინვალიდი რომ უზრუნველვყოთ, საჭიროა, ქვეყანაში მოწესრიგდეს მათი პასპორტიზაცია, რაც დღემდე არ არსებობდა".**

უნარშეზღუდულ პირთა პასპორტიზაცია, ჭეიშვილის განმარტებით, გულისხმობს: პირველ რიგში უნდა ჩატარდეს უნარშეზღუდულ პირთა სპეციალური ექსპერტიზა. ამის შემდეგ თითოეულ მათგანს მიეცემა ბლანკი, რომელშიც ზუსტად იქნება განსაზღვრული, კონკრეტულად რა მომსახურება სჭირდება პაციენტს. **"ინვალიდთა პასპორტიზაციის შემდეგ გვეცოდინება, ზუსტად რა და რამდენი გვჭირდება",** - დარწმუნებით გვითხრა ვასიკო ჭეიშვილმა.

ინვალიდთა პასპორტიზაცია და ექსპერტიზა ხსენებული ექვსი მილიონის ფარგლებში ჩატარდება.

ჯანდაცვის მინისტრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ პროგრამებს, რომელთა წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ინვალიდები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები გახდებიან. **"ინვალიდთა სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთი პროგრამა მხედველობადაქვეითებულთათვის კომპიუტერთან მუშაობის სპეციალურ სწავლებას ითვალისწინებს. არის კიდევ ერთი პროექტი, რომლის მიხედვითაც ინვალიდი ბავშვები ჩვეულებრივ სკოლებში ისწავლიან",** - გვითხრა ჭეიშვილმა. უნარშეზღუდული ადამიანები გუშინ ამირან გამყრელიძის გამოსვლას სულგანაბულნი უსმენდნენ. მის თითოეულ დაპირებას ისე აღიქვამდნენ, როგორც უკანასკნელ იმედს და მინისტრს წინასწარ მადლობას უხდიდნენ.



*ინვალიდებს ექვს მილიონს შეპირდნენ*

ჯანდაცვის სამინისტრო მზად არის, ყველა პირობა შეასრულოს, თუ ფინანსთა სამინისტრო არ უღალატებს და შეპირებულ ექვს მილიონს ბოლო თეთრამდე ჩაუთვლის.

# არასამთავრობო ორგანიზაციები სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის ემზადებიან

ინგა ალავიძე



ნანა კაკაბაძე, გელა ნიკოლეიშვილი და გიგა ბოკერია.

ხუთშაბათს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" სარჩელს განიხილავს. ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ სამი დღის წინ გაასაჩივრა გენერალური პროკურატურის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება 3 ჩეჩენი პატიმრის რუსეთში ექსტრადიციის შესახებ.

**"ჩეჩენი პატიმრების რუსეთისთვის გადაცემა მათი წამებისა და სიკვდილის ტოლფასია, რის გამოც დაუშვებლად მიგვაჩნია ასეთი არაჰუმანური ნაბიჯის გადადგმა,"** – გუშინ ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზე ასე შეაფასეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა - "თავისუფლების ინსტიტუტმა" და "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" - გენერალური პროკურატურის დადგენილება.

ადამიანის უფლებების დამცველები აცხადებენ, რომ გენერალურმა პროკურატურამ არ იზრუნა რუსეთის მიერ მოთხოვნილ ბრალდებულთა ვინაობის დაზუსტებაზე. საქმე ისაა, რომ ორი თვის წინ რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ პირველი მოთხოვნა არარსებულ პიროვნებებზე გამოგზავნა. რუსი კანონდამცველები ამტკიცებდნენ, რომ მოთხოვნაში აღნიშნულმა პირებმა რუსეთში რამდენიმე უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს. მოგვიანებით ჩატარდა დაკავებულ ჩეჩენთა ვინაობის იდენტიფიკაცია და რუსეთმაც ახალი მტკიცებულებები გამოაგზავნა. **"გამოდის, რომ რუსეთს შეუძლია ნებისმიერ დაკავებულზე წარმოადგინოს მტკიცებულება და ასეთივე "ობიექტურობით" ჩაატაროს სასამართლო პროცესი. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ რუსეთის ეს ქმედება არ გააპროტესტა,"** – აცხადებენ არასამთავრობოები და პროკურატურას პოლიტიკური შეკვეთის შესრულებაში ადანაშაულებენ.

"თავისუფლების ინსტიტუტიცა" და "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" იმედს სასამართლოზე ამყარებენ და ჟურნალისტებს სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის განხორციელებისკენ მოუწოდებენ. **"ზეწოლა სასამართლოზე აუცილებლად უნდა მოხდეს, რათა უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება ფორმალური არ იყოს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სასამართლო თავის სიტყვას იტყვის და არ გაიმეორებს პროკურატურის ქმედებას. საუბარია არა კონკრეტულად ჩეჩნებზე, ამ შემთხვევაში ადამიანების ბედი წყდება და საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას ეს არ უნდა დაავიწყდეს,"** – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

# გაიტაცეს "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის მამა

პირველი გვერდიდან

როგორც ჩანს, წინადადება თავდამსხმელებისთვის მისაღები აღმოჩნდა. 78 წლის ვადიხ შარიფოვი თავად მიუჯდა საკუთარი ავტომობილის, "ნივის" საჭეს და დამნაშავეები მათთვის სასურველი მიმართულებით წაიყვანა.

გატაცებულის ასავალ-დასავალი სამართალდამცველებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია. ოლქის პროკურორისთვის ისიც არ არის ცნობილი, გამტაცებლები დაუკავშირდნენ თუ არა ოჯახის წევრებს და სთხოვეს თუ არა გამოსასყიდი თანხა.

**"არ არის გამორიცხული, რომ ოჯახის წევრებს, ვადიხ შარიფოვის უსაფრთხოების გამო, გამტაცებლების ეშინოდეთ და ამიტომ გარკვეული ინფორმაციაც არ მოგვაწოდონ; თუმცა` ჩვენ სხვა წყაროებზეც ვმუშაობთ,"** –აღნიშნა ჩვენთან საუბარში სიმონ მაჭავარიანმა.

სხვათა შორის, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ზუმრუდ გურბადი აზერბაიჯანის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ გამტაცებელთა შესახებ გარკვეული ინფორმაცია მასაც გააჩნია, მაგრამ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, არაფერს ვიტყვიო. ქვემო ქართლის პროკურორის განცხადებით, პარლამენტარს დამნაშავეთა შესახებ ინფორმაცია არც ქართველი სამართალდამცველებისთვის მიუწოდებია. რისთვის ან ვისთვის ინახავს დეპუტეტი მნიშვნელოვან ცნობებს, უცნობია.

გამოძიება მუშაობს. ჯერჯერობით, გამტაცებელთა შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არ არსებობს. როგორც დაზარალებულები იხსენებენ, თავდამსხმელები მათ რუსულად ელაპარაკებოდნენ, ერთმანეთში კი ქართულად საუბრობდნენ. სოფელ კუმისში ნაპოვნია შარიფოვის "ნივაც", მაგრამ დამნაშავეთა თითის ანაბეჭდების აღება სამართალდამცველებმა ვერ მოახერხეს, რადგან მათ ხელთათმანები ეკეთათ.

სხვათა შორის, ვადიხ შარიფოვის გატაცება პირველი შემთხვევა არ ყოფილა. იგი, ფულის გამოძალვის მიზნით, 1993 წელსაც გაიტაცეს. მაშინ დამნაშავეებს არ გაუმართლათ. შარიფოვის გამტაცებლები - ვიბლიანი, ცინდელიანი და აფრასიძე -პატიმრობიდან შარშან შეწყალებით გაათავისუფლეს. სიმონ მაჭავარიანის თქმით, უკვე გადამოწმებულია სამივე ყოფილი გამტაცებელი, მაგრამ ამჯერად მათი ბრალეულობა არ იკვეთება.

## რუსეთის მილიონები ჩეჩნეთში დაიკარგა

**ФСБ**-მ და რუსეთის კონტროლის პალატამ ჩეჩნეთში რევიზია ჩაატარეს, აღმოჩნდა, რომ 700 მილიონ დოლარზე მეტი უკანონოდ დაიხარჯა.

**ФСБ**-ს დირექტორის ნიკოლაი პატრუშევის ინფორმაციით, "გამოვლენილია სერიოზული დარღვევები ფედერალური ბიუჯეტიდან ჩეჩნეთში გადარიცხული სოლიდური თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით". პატრუშევის განცხადებით, უშიშროების სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, ჩრდილოეთ კავკასიის უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს გადაუკეტონ დაფინანსების წყაროები. პატრუშევმა არ დააკონკრეტა, ბიუჯეტიდან დაკარგული თანხები ბოევიკთა ანგარიშზე მოხვდა თუ არა. თუმცა, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუსეთის ბიუჯეტის მილიონების ამბავს გამოძიება გაარკვევს.

## დუბროვკის ტერაქტით დაზარალებულები ხელისუფლებას უჩივიან

მოსკოვის სასამართლომ გუშინ დაიწყო "ნორდ-ოსტის" გათავისუფლებისას დაზარალებული 8 ადამიანის სარჩელის განხილვა. დაზარალებულები ხელისუფლებას უჩივიან და მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად მთავრობისგან 7 მილიონ 500 ათას დოლარს ითხოვენ.

8 მომჩივანიდან 3 ტყვედყოფილია, დანარჩენები კი დაღუპულ მძევალთა ოჯახის წევრები არიან. შვიდმა მოსარჩელემ მიყენებული მორალური ზიანი მილიონ დოლარად შეაფასა, ხოლო მოსკოველი სერგეი სიდორენკო გადატანილი ნერვიული სტრესისთვის 500 ათას დოლარს ითხოვს.

დაზარალებულთა ადვოკატის განცხადებით, "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის" კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, ტერორისტული აქტის შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ფედერაციის იმ სუბიექტს, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ტერაქტი. "ამ სიტუაციაში მოპასუხე სუბიექტი არის მოსკოვის ხელისუფლება," – აცხადებს დაზარალებულთა ადვოკატი.

## უნგრელი ექთანი პაციენტთა მასიური მკვლელობისთვის გაასამართლეს

"შავი ანგელოზის" სახელით ცნობილი სასამართლო პროცესი, რომელზეც მძიმე ავადმყოფებისა და ხანდაზმული პაციენტების მასიურ მკვლელობაში ბრალდებულ ექთანს ასამართლებდნენ, დასრულდა. 25 წლის ტიმეუ ფაულდიმ ჩადენილი მკვლელობები აღიარა; თუმცა, განაცხადა, რომ პაციენტებს წამლის სასიკვდილო დოზას უკეთებდა, რათა ისინი მტანჯველი ტკივილისგან გაეთავისუფლებინა. განსასჯელმა თავდაპირველად განაცხადა, რომ 2000-2001 წლებში მან 40 მძიმე ავადმყოფს მოუსწრაფა სიცოცხლე. სასამართლოს მსვლელობისას ფაულდიმ ჩვენება შეცვალა და თქვა, რომ მხოლოდ 8 ადამიანს გაუკეთა მორფის სასიკვდილო დოზა. არადა, ევტანაზიის ნებისმიერი მეთოდის გამოყენება – უკიდურესად მძიმე ავადყოფისთვის უნგრეთში აკრძალულია. უნგრელი ექთანი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 9 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

## უკრაინის პრეზიდენტის წინააღმდეგ აღძრული საქმეები პროკურატურას გადაეცა

დიდი მსჯელობის შემდეგ მოსამართლე იური ვასილენკოს მიერ უკრაინის პრეზიდენტის წინააღმდეგ აღძრული ორი საქმე უკრაინის გენერალურ პროკურატურას გადაეცა. პროკურატურა ვალდებულია, რომ ორი დღის ვადაში დაიწყოს საქმის გამოძიება და დაკითხოს პრეზიდენტი კუჩმა. საუბარია, უკრაინის პრეზიდენტის უკანონო მოქმედებაზე, მან ხელი არ მოაწერა ორ კანონპროექტს. ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გენერალური პროკურატურა, რომელიც კუჩმას ემორჩილება, გამოძიებას ობიექტურად ვერ ჩაატარებს.

# ცრუ განგაში ავჭალის ქალთა კოლონიაში

ხათუნა ჯანგირაშვილი

ორი დღის წინ, ყოფილ "წითელ ზონაში", ამჟამინდელ ქალთა კოლონიაში დაიკარგა ორი პატიმარი ქალი. სალამოს პროცედურას - პატიმართა დათვლას ანა დიაკვნიშვილი და ელისო მიმინოშვილი არ დასწრებიან. ავჭალის ქალთა კოლონიაში მაშინვე განგაში ატყდა და ორი მსჯავრდებული ქალის ძებნაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც ჩაერთო.

გუშინწინ, მთელი დღის განმავლობაში, ავჭალის ქალთა კოლონიაში დაკითხვას უტარებდნენ დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმარ ქალებს. თუმცა, თავდაპირველად ძნელი გახდა ორი პატიმარი ქალის გაუჩინარების დეტალებისა და მათი ადგილ-სამყოფელის დადგენა. ფაქტი ერთი იყო – დაკარგულები არც ციხის კედელზე გადამხტარან და არც აკრძალულ ზონას – ციხის პერიმეტრს გაკარებიან. გაქცევის ვერსია გამოირიცხა და გაჩნდა ეჭვი, რომ მსჯავრდებულები კი არ გაიქცნენ, გააპარეს. დიდი ხნის განმავლობაში იმის დადგენაც ვერ მოხერხდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო კოლონიიდან ქალთა გამპარებელი. ერთი სიტყვით, გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ავჭალის ქალთა კოლონიაში გამოცხადებული იყო ძებნა ანა დიაკვნიშვილსა და ელისო მიმინოშვილზე და მათი გაქცევა-გაპარების სხვადასხვა ვერსიაც ვრცელდებოდა. მოგვიანებით კი იმის გარკვევა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო კოლონიიდან პატიმარ ქალთა გამპარებელი, საჭირო აღარ გახდა, რადგან გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარებულების ადგილ-სამყოფელს მიაგნეს. ყაჩაღობისა და ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით რამდენიმე წლის წინ გასამართლებული ანა დიაკვნიშვილი და ელისო მიმინოშვილი იქვე, კოლონიის ტერიტორიაზე, საწარმო ზონაში მიმალულები იპოვეს.

როგორც გავარკვიეთ, ყოფილ "წითელ ზონაში" ელექტროენერგიის ხშირი გამორთვების გამო გაყინული პატიმარი ქალები ხშირად საკუთარი სურვილით გადიან საწარმო ზონაში და შეშას ჩეხავენ. ანა დიაკვნიშვილი და ელისო მიმინოშვილი ორი დღის წინ შეშის საჩეხად ყოფილან გასულები. მათი გაქცევის შესახებ განგაში კოლონიაში კი მაშინ გამოცხადდა, როცა ისინი უკან აღარ დაბრუნდნენ და პატიმართა სათვალავს დააკლდნენ.

მოკლედ, პატიმარი ქალები ციხიდან არც გაქცეულან და არც გაუპარებიათ. **"გაქცევა არც გვიფიქრია; უბრალოდ, აქედან გადახედვა გვინდოდა",** – განაცხადეს საწარმო ზონაში გადამალულმა ქალბატონებმა. სინამდვილეში, როგორც ირკვევა, ანა დიაკვნიშვილმა და ელისო მიმინოშვილმა კოლონიის სხვა პატიმრებთან საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარ კონფლიქტს გაარიდეს თავი. კონფლიქტის კონკრეტულ მიზეზს, ციხეში გამეფებული დაუწერელი კანონების გამო, კოლონიის მობინადრე ქალები არ ამჟღავნებენ.

გაქცევის მცდელობა თავისთავად გამოირიცხა, რადგან, ჩვენი ინფორმაციით, ანა დიაკვნიშვილსა და ელისო მიმინოშვილს საპატიმრო ვადა სულ ცოტა ხანში ეწურებათ. უფრო მეტიც, ელისო მიმინოშვილმა შეწყალების საკითხთა კომისი უკვე გაიარა და რამდენიმე დღეში შეწყალების აქტით უნდა დაეტოვებინა საპატიმრო.

მოკვლევა ავჭალის ქალთა კოლონიაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ჯერ არ დამთავრებულა; თუმცა, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამ საქმეზე მოკვლევას გაქცევის კვალიფიკაცია არ მისცემია, ამიტომ ანა დიაკვნიშვილისა და ელისო მიმინოშვილის გათავისუფლება ისევ შეწყალების საკითხთა კომისიის პრეროგატივაა.

პრესინგი

# სათამაშოს ქურდს პოლიცია აგენტობაზე დათანხმებას აიძულებს

*ლიანა ფირცხალაიშვილი ნუცუბიძის პლატოზე, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს 25 წლის შვილობილთან, გურამ ფირცხალაიშვილთან ერთად. მარტოხელა ქალმა ბავშვი შვიდი წლის ასაკში იშვილა, მოგვიანებით კი მისთვის შვილობილის გასაიდუმლოებული წარსული და ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა ცნობილი. ამონაწერი ფსიქიატრიული საავადმყოფოს დასკვნიდან (სტილი დაცულია) "მამა მხატვარი – ხასიათით "თავისებური". დედა მსუბუქი ყოფაქცევის, ჭარბად ეტანება ალკოჰოლურ სასმელს. დედამ ბავშვი 4 წლის ასაკში დაქირავებულ სახლში მიატოვა. ერთი წლის შემდეგ იგი ლისის ტბაზე მკვდარი იპოვს. ბიჭი ძაღლთან ერთად ხეტიალობდა ქუჩაში. მას ბინის პატრონები ხელზე მოსამსახურედ იყენებენ. შვიდი წლიდან დედობილთან იზრდება. ვერ ეგუება ოჯახურ წესრიგს. სკოლაში დაგვიანებით შეიყვანეს. სწავლა უჭირს. სულ 14-15 ასო იცის. ერთი წელი მკურნალობდა რეაბილიტაციის ცენტრში. ქცევის მოშლის გამო 1984 წლიდან ფსიქონეიროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე იქნა აყვანილი". ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს დიაგნოზი – გონებრივი ჩამორჩენილობა ფსიქოპათიური აქცენტით. მეტყველება გაძნელებული, გამოხატული დებილობა. ყოველივე ამის გამო, გურამ ფირცხალაიშვილი მეორე ჯგუფის ინვალიდად ცნეს. თუმცა, მისი დაავადებების ნუსხა ამით არ სრულდება. ჯანმრთელობის ცნობაში აღნიშნულია - ფირცხალაიშვილს აქვს თანდაყოლილ გულის მანკი, სქოლიოზი, წინა გულშუა ძგიდის დეფექტი და ა.შ.*

თამარ კაციტაძე

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, დედობილი და ბიჭი წლების განმავლობაში მშვიდად ცხოვრობდნენ, ვიდრე მათ ცხოვრებაში პოლიციელები არ გამოჩნდნენ. ფირცხალაიშვილების ოჯახის სამართალდამცველებთან ურთიერთობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც პოლიციამ ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში დააკავა არასრულწლოვანი გურამ ფირცხალაიშვილი და მისი ორი ამხანაგი. კანონდამცველებმა არასრულწლოვან დამნაშავეს ნივთმტკიცება, მოპარული რეზინის სათამაშო ხვლიკი, ხელში დაუჭირეს.

მაშინ ფირცხელაიშვილის გასამართლება ვერ მოხერხდა. ექიმთა დასკვნით, იგი შეურაცხადი იყო და არ შეეძლო გაეცნობიერებია საკუთარი ქმედების შედეგი. ამიტომ, მას შინაპატიმრობა და იძულებით მკურნალობა დაუნიშნეს.

**"ამის შემდეგ პოლიცია ჩემს შვილს მოსვენებას აღარ აძლევდა. ემუქრებოდნენ - ჩვენი აგენტი იყავი, თორემ გაგამწარებთო. ბოლო დროს კი პოლიციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, ლადო გაგნიძემ, პირდაპირ უთხრა – თუ ინფორმაციებს არ მოგვაწვდი, ფსიქიატრიულში გაგიშვებო",** - გვითხრა ლიანა ფირცხალაიშვილმა. მისი თქმით, მიმდინარე წლის 26 ივლისს შს სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომელი ლადო გაგნიძე ფირცხალაიშვილების ბინაში მისულა და დედისთვის უთქვამს – ხვალ დილის 10 საათზე შენი შვილი განყოფილებაში ჩამოვიდესო. მაგრამ მეორე დღეს ლადო გაგნიძე, სამი პოლიციელის თანხლებით, ფირცხალაიშვილების ოჯახს თავად ეწვია და ბინის გაჩხრეკა მოინდომა.

**"მე პროფესიით არქიტექტორი ვარ. ამიტომ მაშინვე დავაფიქსირე, რომ პოლიციელებმა შავი ქაღალდის გრაგნილი შემოიტანეს. თავდაპირველად გამიკვირდა, მაგრამ ყურადღება არ გავამახვილე, მეშინოდა ნარკოტიკი ან რამე სხვა ნივთი არ დაედოთ. მერე ორი თანამშრომელი გარეთ გავიდა და ორი უცნობი ქალი ამოიყვანა – ნანა გოგიჩაიშვილი და ნელი წიკლაური. გვითხრეს, ნეიტრალური მოწმეები არიანო. თავიდან ვერ მივხვდი, მეზობლებს რატომ არ დაუძახეს, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე. ცოტა ხანში პოლიციამ მთხოვა, კარადის ჩხრეკაში მივხმარებოდი. ყურადღება სხვა მიმართულებით რომ გადამატანინეს, მოულოდნელად ერთმა პოლიციელმა ლეიბი ასწია და თქვა – თოფიო. საწოლის კიდეზე მართლაც დავინახეთ გადაჭრილი სანადირო თოფი. მე და ჩემმა შვილმა ყვირილი დავიწყეთ – იარაღი ჩვენი არ არის, თქვენ დაგვიდეთო, მაგრამ... პოლიციელებმა სასწრაფოდ რაღაცეები ისე დაწერეს, რომ ხელი არავის მოუწერია და წავიდნენ",** - იხსენებს ლიანა ფირცხალაიშვილი.

ვინაიდან დედობილს იმდენი საშუალება არ ჰქონდა, რომ შვილის დაპატიმრებისთანავე კერძო ადვოკატი აეყვანა, დახმარებისთვის სახალხო დამცველის ოფისს მიმართა. ომბუდსმენის აპარატში გაჭირვებულ დედას, თურმე, განცხადება დააწერინეს, მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში ყურადღება არავის მიუქცევია. "დევდარიანთან რომ შეხვიდე, საფეხურები უნდა გაიაროო", – უთქვამთ ადამიანის უფლებათა დამცველებს.

ამასობაში წინასწარი პატიმრობის შეფარდების დღე მოვიდა. **"მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ზუსტად იცოდა გურამის დაავადებათა ნუსხა, წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას მოითხოვა, რომ სასამართლოს შეურაცხადობის ცნობა მხედველობაში არ მიეღო და მისთვის პატიმრობა შეეფარდებინა (ამის მოთხოვნა, თავისთავად, უკანონობაა). იძულებული გავხდი პროკურატურაში მივსულიყავი. იქ შემეშინდათ, ასეთი ავადმყოფი პატიმარი ციხეში რომ არ მომკვდარიყო და იგი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლეს",** – გვითხრა ლიანა ფირცხალაიშვილმა.

დედის თქმით, სახლში დაბრუნებულმა შვილმა, რომელსაც მაისური სისხლით ჰქონდა დასვრილი, მოჰყვა, როგორ სცემდა ოთხი პოლიციელი და აიძულებდა, ხელი მოეწერა სხვადასხვა დოკუმენტზე. დედობილის ინფორმაციით, გურამ ფირცხალაიშვილს სხეულზე ძალადობის სხვა ნიშნებიც ეტყობოდა. ამიტომ მან პოლიციას სთხოვა შვილის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე გატარების ნებართვა, მაგრამ - უშედეგოდ...

**"იმავე თხოვნით სახალხო დამცველის აპარატსაც მივმართე. რამდენიმე დღე იქაც ბიუროკრატიულ წრეზე მატარებდნენ. მერე იძულებული გავხდი მეყვირა. ასეთი გზით მივაღწიე ნანა დევდარიანამდე. დევდარიანს რომ არ შევხვედროდი, ყურადღებას არავინ მომაქცევდა, ამიტომ მას ვერ დავემდურები. მაგრამ მისი აპარატი რომ პოლიციასთან არის შეკრული, აშკარად დავრწმუნდი. კვირიდან კვირამდე ხან ერთი მოადგილე მეუბნებოდა – დაუჯერებელ ამბავს ჰყვებიო და სახლში მიშვებდა, ხანაც - მეორე",** – ამბობს ფირცხალაიშვილი.

ერთი სიტყვით, ვიდრე ბრალდებულის დედამ, ომბუდსმენის დახმარებით, ექსპერტიზაზე გასვლის უფლება აიღო, 14 დღეც გავიდა. ექსპერტმა დააფიქსირა, რომ გურამ ფირცხალაიშვილს ორივე ფეხზე დაზიანება აღენიშნებოდა, მაგრამ მათი ზუსტი დრო ვერ განსაზღვრა.

მოკლედ, ჰქონდა თუ არა პოლიციელთა მხრიდან პატიმრის ცემა-წამებას ადგილი, ვერ გაირკვა და მომხდარს შეფასებაც არავინ მისცა.

**"მოსამართლემ მითხრა, პოლიციას პრეზიდენტი აფარებს ხელს და მე როგორ დავუპირისპირდებიო,"** – ამბობს მართლმსაჯულებაზე გამწარებული დედა და დასძენს - **"მოსამართლე დურგლიშვილი სარგებლობდა ჩემი შვილის გონებრივი სისუსტით და მის ჩვენებას იგნონირებას უკეთებდა. მე ვითხოვდი, რომ დავეპირისპირებინე პროცესზე მოყვანილ ერთადერთ მოწმესთან - წიკლაურთან, მაგრამ გაურკვეველი მიზეზის გამო, ჩემი თხოვნაც არ დააკმაყოფილეს".**

როგორც ლიანა ფირცხალაიშვილი ამტკიცებს, პოლიციამ ჩხრეკვისას თავისი მოწმეები მიიყვანა და რაზეც უნდოდათ, ხელი იმაზე მოაწერინეს.

**"მოსამართლეს ვთხოვდი, დაედგინა მოწმეების ვინაობა, რაზეც უარი მითხრა. ამიტომ იძულებული გავხდი, თვითონ დამედგინა მათი საცხოვრებელი ადგილი და ვინაობა. გოგიჩაიშვილი ოქმში დასახელებულ მისამართზე აღარ ცხოვრობდა. დიასახლისს გაუგდია. როგორც მეზობლებმა მითხრეს, იგი პოლიციასთან არის შეკრული და სხვადასხვა დავალებას ასრულებს. წიკლაური კი ამ საქმეში სწორედ მას ჩაუთრევია, ფულს გადაგიხდიანო. ამ ხერხით პოლიცია უამრავ ადამიანს ღუპავს. ვინმე რომ დამეხმაროს, ამ ქალებს ფარდას ავხდიდი, მაგრამ პოლიციის ყველას ეშინია",** – ამბობს დაზარალებულის დედა.

მიუხედავად იმისა, რომ იარაღის უკანონო შეძენა–შენახვისთვის ბრალდებული ფირცხალაიშვილი ამტკიცებდა, იარაღი ჩემი არ არისო (დედა-შვილის შემოსავალი 48 ლარიანი პენსიაა), განსასჯელს ერთი წლით და ორი თვით პატიმრობა მაინც მიუსაჯეს. თუმცა, ახალი სასჯელი გაუქვითეს ძველით - შინაპატიმრობით.

ზემოთ მოყვანილ ბრალდებებზე კომენტარისთვის ვაკე-საბურთალოს პოლიციის მესამე განყოფილების თანამშრომელს ლადო გაგნიძესაც დავუკავშირდით, მაგრამ მან გურამ და ლიანა ფირცხალაიშვილებთან ნაცნობობა საერთოდ უარყო.

ამჟამად ლიანა ფირცხალაიშვილი მოსამართლის გადაწყვეტილების გაუქმებისთვის იბრძვის. **"სასამართლოში რომ მივედი, მითხრეს - განაჩენი შენს შვილს გამოვუცხადეთო. ასლი კი მანამ არ მომცეს, ვიდრე საკასაციო ვადა არ გავიდა. ორჯერ გავასაჩივრე, მაგრამ ორივეჯერ უარი მითხრეს. სამწუხაროდ, საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ვერ ვახერხებთ. არა და, ჩემი შვილისთვის ნასამართლეობის მოხსნა იმოტომ მინდა, რომ ნასამართლეობის მქონე ხალხს პოლიცია მოსვენებას არ აძლევს. მეშინია, კიდევ რაღაც შარში არ გახვიონ და საერთოდ არ დაღუპონ".**

## მოკლედ

**თბილისი.** პანკისის ხეობის სოფლებიდან უკვე ერთი კვირაა, მძიმე ტექნიკა გამოიყვანეს.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, ამ ეტაპზე მძიმე ტექნიკის საჭიროება ხეობაში აღარ არსებობს, მძიმე ტექნიკა ახმეტაში, შინაგანი ჯარების შტაბში განლაგდა. მას შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, 20-25 წუთში დაბრუნდეს პანკისში. არ არის გამორიცხული დაუფინანსებლობის გამო, ხეობაში ბლოკ-საგუშაგოებიც შემცირდეს. ეს კი, ალბათ, უარყოფითად იმოქმედებს რეგიონის კრიმინოგენურ სიტუაციაზე. შს სამინისტრო ფინანსთა სამინისტროსგან ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებს ითხოვს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "17 წლის მიხეილ ცირეკიშვილის მკვლელობაში ბრალდებულმა, ფირმა „ელიზის" გენერალური დირექტორის, თამაზ ელიზბარაშვილის ვაჟიშვილმა, გურამ ელიზბარაშვილმა, ნაწილობრივ აღიარა დანაშაული," — აცხადებენ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურში. გურამ ელიზბარაშვილი სამართალდამცავებმა 30 ნოემბერს, დედაქალაქში დააკავეს. მას პოლიცია 2001 წლის 19 მაისს ჩადენილი მკვლელობისთვის ეძებდა.

პროკურატურაში ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების დეტალებს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ახმაურებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს პრესსამსახური იტყობინება, რომ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა დააკავეს მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი, 19 წლის დავით კვერცხიშვილი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულმკერდის არეში დაჭრა ვლადიმერ ურდულაშვილი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს შპს „ენერგიის" დირექტორი ბესიკ ჭელიძე, რომელმაც 1998 წელს გააფორმა ხელშეკრულება საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდსა და დუშეთის რაიონის სოფელ გუდამაყრის სკოლასთან შექმნილი სარემონტო სამუშაოების ხელშემწყობი მიკროპროექტის კომიტეტთან 40. 000 ლარის სარემონტო სამუშაოებზე. ჭელიძემ შესრულებული სამუშაოების ხელოვნურად გაზრდის შედეგად მიითვისა 4.700 ლარი. ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. **მედია-ნიუსი.**

# უშიშროების სამინისტრო კასტრირებული აღმოჩნდა

პირველი გვერდიდან

**შეგიძლიათ აღიარება, რომ ამ საქმეებში სამართალდამცველებმა წააგეთ?**

- კი. პირდაპირ უნდა ითქვას. ჯერჯერობით, წაგებული გვაქვს. გამტაცებლების დაკავების შემდეგ მოგებულად ჩავითვლებით. .

**- თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ შოუს გატაცებაზე სამი ჯგუფი მუშაობდა, არსებობს ინფორმაცია, რომ გამტაცებელთა უკან სერიოზული ძალები დგანან, ძალები რომლებსაც საკმაო ძალაუფლება გააჩნიათ, გამტაცებელთა დაკავებაც მათი დახმარების გამო ვერ შეძელით?**

- შემსრულებელთა ჯგუფი სოციალურად იმ ფენას არ განეკუთვნებოდა, რომელსაც შოუმდე მიუწვდებოდა ხელი, ამდენად მესიჯები მათ სერიოზული პოლიტიკური ჯგუფებისგან მიიღეს. მათ ინფორმაცია მიიღეს ხალხისგან, რომლებსაც გარკვეული მიზნები ამოძრავებდათ.

რაც შეეხება დაკავებას, ამასაც გარკვეული მიზეზები აქვს, პირველ რიგში, ვერ შევძელით წმინდა ოპერატიულ-ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ეს სერიოზული ჯგუფია, პროფესიონალები არიან, დახელოვნდნენ გატაცებაში, ტექნიკაც კი ჩვენზე მეტად დახვეწილი და უკეთ ათვისებული აქვთ.

**- გამტაცებლებთან პიტერ შოუს ცოლის კავშირმა საეჭვოდ გაიჟღერა...**


ვალერი ხაბურძანია

- იყო ბევრი ვერსია და, მათ შორის, ცოლთან დაკავშირებული ვერსიაც. თავიდან, როცა ქალბატონი დაიკითხა საეჭვო სიტუაცია შეიქმნა. ამ ვერსიის შემოწმების მიზნით, სასამართლოს ნებართვით საეჭვო პირთა ტელეფონების კონტროლი მოვახდინეთ. მოგვიანებით, უკვე ოქტომბრის თვეში, პირადად მე გამიჩნდა ეჭვი, რომ გამტაცებლები ხორენაზე გამოვიდოდნენ. თუმცა, სერიოზული მტკიცებულება გამტაცებელთა ჯგუფთან პიტერ შოუს ცოლის დანაშაულებრივი კავშირის თაობაზე არ გამოიკვეთა.

**- დაგვეთანხმებით, რომ პიტერ შოუს ინგლისში მოულოდნელი წასვლის გამო საქმის გამოძიება ფაქტობრივად, გაჩერდა.**

- იმ დღეს, როცა შოუ გავათავისუფლეთ, მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა. ღამის პირველ საათზე მას დიდხანს ველოდეთ ბრიტანეთის საელჩოში. გვითხრეს, დაისვენებს და შეგხვდებათო. ბოლოს უარი განგვიცხადეს, ხვალ ინგლისში მიფრინავსო, ასეთი პასუხი გაგვცეს. დილის 8 საათზე აეროპორტში ვიყავით და თითქმის ტრაპზე დავკითხეთ. რამდენიმე კითხვის დასმა მოვასწარით. ჩვენება პრეს-ცენტრის ვიდეოკამერაზე ჩავიწერეთ. ავიაკომპანიის წარმომადგენელს პირადად მე ვთხოვე, რომ რეისი ნახევარი საათით გადაეწიათ. დაზარალებულად გამოცხადების ოქმზე ხელი, ფაქტობრივად, თვითმფრინავში მოვაწერინეთ. იმის გამო, რომ არ მოგვეცა მისი დაკითხვის საშუალება, სკანდალს ვერ ავტეხავდით.

**- გამოდის, რომ თავად შოუც დაინტერესებულია, რომ საქმე არ გაიხსნას, მით უმეტეს, რომ მის ფინანსურ მაქინაციებზე ხმამაღლა საუბრობენ.**

- როგორ გითხრათ, საგამოძიებო ჯგუფი ინგლისში უნდა ჩავიდეს და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი. სხვათა შორის, მე თავიდანვე ვთქვი, რომ ამ კაცს საქართველოში პრობლემები აქვს-თქო, დავაპირეთ კიდეც მისი ფინანსური საქმიანობის შემოწმება და გაგვაჩერეს...

**- საქართველოში უმძიმესი კრიმინალური სიტუაციაა, როგორ შეაფასებდა უშიშროების მინისტრი ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას?**

- სიტუაცია მართლაც ძალიან რთულია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ თუ ეკონომიკურ პრობლემებს მივხედავთ, რაღაც-რაღაცეები გამოსწორდება. ახლა ფაქტობრივად, დამოკიდებული ვართ სატრანსპორტო დერეფანზე, რომელიც ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაციის გამო, შესაძლოა, მალე ჩიხად იქცეს. აი, ასეთი სიტუაციაა ქვეყანაში.

**- მილსადენის გარშემო ატეხილ სკანდალზე რას იტყვით? ახალქალაქის მარშრუტის შეცვლა მართლაც უსაფრთხოების გარანტიების უქონლობის გამო მოხდა?**

- უსაფრთხოების თემა ამერიკელმა ექსპერტებმა აწონ-დაწონეს და საბოლოოდ მათ მიიღეს გადაწყვეტილება. ძალიან მიკვირს ეს აჟიოტაჟი. გია ჭანტურია ამ საკითხზე მუდმივად პრეზენტაციებს აწყობდა, თავად პარლამენტმა დაამტკიცა დადგენილება 10-კილომეტრიანი ზონის შესახებ. გამიკვირდა სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელთა დამოკიდებულებაც, ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ასე მოხდებოდა და ახლა რატომ ატყდა ასეთი ამბავი, ძალიან მიკვირს.

**- ანუ, ახალქალაქი დაუცველი ზონის იმიჯის გამო ჩამოიწერა?**

- სამცხე-ჯავახეთზე ჩემგან რაიმეს ხმამაღლა გაცხადება ალბათ, არ შეიძლება, რადგან შესაძლებელია, ამ განცხადებას იმაზე უარესი ამბავი მოჰყვეს ვიდრე იმ ზონაში მილის გავლა-არგავლაა. ამ რეგიონში არსებული რისკი არ არის მხოლოდ ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებული პრობლემა.

**- თქვენი განცხადებით, ქვეყანაში უმძიმესი კრიმინოგენული სიტუაციაა, არსებობს იმის გარანტია, რომ ბორჯომის მარშრუტის უსაფრთხოება დაცული იქნება?**

- არ ვიცი, რა გარანტიებზეა საუბარი. 11 სექტემბერს სამსახურში პრესტიჟული ავტომანქანებით მისული ადამიანები რამდენიმე წუთში ტერორიზმის მსხვერპლნი გახდნენ. ტერორიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის თემამ სიტუაცია მთელ მსოფლიოში შეცვალა. ამიტომაც უსაფრთხოების გარანტიებზე საუბარი მიჭირს. უშიშროების სამინისტროს კრიტიკა ძალიან ადვილია. მაგრამ, როდესაც სოცუზრუნველყოფის სამინისტროდ ხარ ქცეული და ძირითადად ხელფასის გაცემაზე ფიქრობ - ასეთი უშიშროების სისტემა სრულყოფილად ვერ იმუშავებს. პროფესიონალებად რომ თვლიან თავს, იმ ადამიანებმა თავის დროზე კონტრდაზვერვას არანაირი ყურადღება არ მიაქციეს, რის გამოც, უშიშროების სამინისტრო, ფაქტობრივად, კასტრირებული აღმოჩნდა. არის სხვა უამრავი პრობლემაც, მაგრამ გვაქვს სერიოზული წინსვლებიც. მოვა დრო და ვიტყვით, რა გაგვიკეთებია. ამერიკაც კმაყოფილი დარჩება და რუსეთიც.

# ბორჯომის მარშრუტი აბსოლუტურად უალტერნატივოა

## უსაფრთხოების გაზრდაში უზარმაზარი როლი შეასრულა საზოგადოებრივმა აზრმა

ინტერვიუ პრეზიდენტის პრესმდივანთან კახა იმნაძესთან

ეკა კვესიტაძე

**- ნავთობსადენის შესახებ ბოლო დღეებში ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, რაც ბორჯომის პრობლემით იყო გამოწვეული. რატომ მოხდა ისე, რომ ხელისუფლებამ წინასწარ არ მიიღო ადექვატური ზომები - ან ეს მარშრუტი შეეცვალა ან მისი უალტერნატივობის შემთხვევაში მოსახლეობისთვის სიტუაცია განემარტა, რომ ასეთი უნდობლობა არ გაჩენილიყო.**

- სამწუხაროდ ამ ყველაფერს ძალიან ემოციური ფონი შეექმნა, რისი მიზეზიც, გარკვეულწილად, ქართული ხასიათიცაა. ამის გამო გაჩნდა ასეთი მოსაზრება - ან ნავთობსადენი ან ბორჯომი.

საკითხის ასე დასმა აბსოლუტურად გაუმართლებელი და, მე ვიტყოდი, დამღუპველიცაა. აქ არის საუბარი მხოლოდ იმაზე, რომ ბორჯომის ხეობას არავითარი საფრთხე არ უნდა შეექმნას და პარალელურად, არავითარი საფრთხე არ უნდა შეექმნას არც ნავთობსადენსაც.

ბაქო-ჯეიჰანის პროექტის განსახორციელებლად, ბუნებრივია, თავიდანვე განიხილებოდა რამდენიმე მარშრუტი. მათ შორის, ახალქალაქის ვარინატიც, რომელზედაც დღეს აქტიურად საუბრობენ.

ეს მარშრუტი, რა თქმა უნდა, მოკლეც არის და შესაბამისად, მომგებიანიც. მაგრამ არსებობს გარკვეული საფრთხეები, რომელიც ამ მარშრუტის განხორციელების შემთხვევაში ნავთობსადენს ემუქრება. ეს საფრთხე, ბუნებრივია, არ მოდის ადგილობრივი მოსახლეობისგან, რომლის დიდ ნაწილს სომხები შეადგენენ. მაგრამ ახალქალაქის ტერიტორიაზე არის რუსეთის სამხედრო ბაზა, რაც რისკებს შესამჩნევად ზრდის. და რაც მთავარია, ეს რისკები არ განეკუთვნება კონტროლირებადი რისკების


კახა იმნაძე

ჯგუფს, რომლის პროგნოზირება და, შესაბამისად, მისი თავიდან აცილება შეგვიძლია.

გარდა ამისა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადაწყვეტილება, პირველ რიგში, "ბი-პი"-მ მიიღო. ჩვენ ვართ ტერიტორიის მფლობელი ქვეყანა და ჩვენი ინტერესები გვაქვს, მაგრამ ნავთობსადენს კონსორციუმი განაგებს და მასაც თავისი ლეგიტიმური ინტერესები გააჩნია. უნდა გავითვალისწინოთ ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთობა. ამ დაძაბულ ურთიერთობებს კი შეეძლო, ნავთობსადენისთვის სერიოზული საფრთხე შეექმნა.

**- მაგრამ ახალქალაქის მარშრუტზე უარის თქმა კარგად აჩვენებს საქართველოს ხელისუფლების უსუსურობას, რომელსაც არ შეუძლია უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავის საკუთარ ტერიტორიაზე. ასეთ სიტუაციაში კი "ბი-პი", ბუნებრივია, რისკზე არ წავიდოდა, მითუმეტეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის უსაფრთხოების დაცვა ქართული მხარის ვალდებულებაა.**

- მარშრუტების განხილვის პროცესი ძალიან შრომატევადი იყო, მასში მონაწილეობდა "ბი-პი", საქართველოს მხარე და სხვა ინვესტორები. მოხდა რისკ-ფაქტორებისა და პოლიტიკური სიტუაციის შესწავლა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

საუბარია სამმილიარდიან პროექტზე და ბავშვმაც კი იცის, რომ ამ პროექტის გულისთვის ერთმანეთს დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესები უპირისპირდება. ასე რომ, ამ შემთხვევაში ერთ ან ორ ქალაქში ხელისუფლების გავლენის ხარისხი საკითხს არ წყვეტს და უსაფრთხოების თემა უფრო კომპლექსურად განიხილება. სწორედ ამიტომ, დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ ჩაითვალა, რომ ნავთობსადენს ახალქალაქზე გაევლო.

**- რაც შეეხება ყარაყაის მარშრუტს? მიუხედავად იმისა, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ "ბი-პი"-ს მოსთხოვა, ეს მარშრუტი დამატებით კიდევ შეესწავლა და წარმოედგინა, უკვე ცალსახად ნათელია, რომ ის საბოლოოდ უარყოფილია.**

- ყარაყაის მარშრუტი ეკოლოგიურ პრობლემებს არ წყვეტს, რადგან ეს მარშრუტიც ახლოს არის ბორჯომის მდინარეებთან. ანუ უსაფრთხოების დაცვის ზუსტად იგივე ზომებია გასატარებელი, რაც ბორჯომის მარშრუტის შემთხვევაში. მაგრამ თავი და თავი არის ის, რომ ტრასის გასაყვანად იქ უამრავი მთა უნდა გადაიჭრას და ეს უნდა მოხდეს მხოლოდ აფეთქების გზით, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს. მთის აფეთქებები კი გაცილებით მეტ და გამოუსწორებელ ეკოლოგიურ პრობლემებს შექმნის.

ასე რომ, ბორჯომის მარშრუტი აბსოლუტურად უალტერნატივოა.

**- რამდენად დიდი იყო იმის ალბათობა, რომ, თუ ბორჯომის მარშრუტი არ დამტკიცდებოდა ან პროცესი დროში გაიწელებოდა, ნავთობსადენის მშენებლობა საბოლოოდ ჩაიშლებოდა?**

- ეს რისკი იყო და ეს არ იყო ბიპის "კაპრიზი". აქ საუბარი არის იმაზე, რომ პროექტის დროში გაწელვა ავტომატურად იწვევს ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფინანსების გადავადებას. გარდა ამისა, არც ერთი ინვესტორი არ დათანხმდება იმას, რომ მისი კაპიტალი გაიყინოს. ანუ საკითხის გადადება ამ პროექტის არა გაწელვას, არამედ, უბრალოდ, შეჩერებას ნიშნავდა.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ არა ვართ "მსოფლიოს ჭიპი" და მთელი სამყარო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ასე რომ, ამ მატარებელს შეიძლება უკვე ჩაევლო. ეს გლობალური მნიშვნელობის პროექტია და ჩვენ ან ფეხი უნდა ავუწყოთ ამ რიტმს, ან გამოვეთიშოთ მას და ჩვენი რიტმით ვიმუშაოთ.

90-იანი წლების დასაწყისში ძალიან ბევრს ეგონა, რომ საქართველოს მარტო ჩაი და ბორჯომი აცხოვრებდა, მაგრამ ქვეყანა დღემდე ვერ გამოდის უმძიმესი ენერგეტიკული კრიზისიდან. ჩვენ დღემდე დამოკიდებული ვართ მეზობელ სახელმწიფოებზე. ენერგეტიკული დამოუკიდებლობა კი სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯია.

დღეს ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ ნავთობსადენზე და გვავიწყდება, ეს ნავთობსადენი არის აუცილებელი პირობა იმისა, რომ მას ერთ წელიწადში უკვე გაზსადენი მოჰყვეს. გაზსადენი კი საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას ნიშნავს. რასაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობაც მოჰყვება.

მაგრამ ენერგოპროექტების დაკარგვით, ჩვენ ვკარგავთ არამარტო ენერგეტიკული დამოუკიდებლობის შანსს, არამედ სტრატეგიულ პარტნიორებსაც - თურქეთის, აზერბაიჯანის და, რაც მთავარია, ამერიკის შეერთებულ შტატების სახით. ბუნებრივია, საქართველოს მიმართ შესამჩნევად შენელდება ის ინტერესი, რომელსაც ახლა დასავლეთი იჩენს, რაც ჩვენს გეოპოლიტიკურ სიტუაციაში შეიძლება დამღუპველი იყოს იმ პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, რომელიც დღეს ყველა ანალიტიკოსს ბრწყინვალედ ესმის.

რა თქმა უნდა, როცა მე ამას ვამბობ, არანაირად არ ვაკნინებ ბორჯომის მნიშვნელობას საქართველოსთვის. მე ერთ-ერთი მონაწილე ვარ იმ მოლაპარაკებებისა, რომელიც ბოლო დღეებში მიმდინარეობდა. მეც, როგორც უბრალო მოქალაქეს, ბუნებრივია, მქონდა შეკითხვები ამ მარშრუტთან დაკავშირებით, რაც პირველ რიგში, ბორჯომის ხეობის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას ეხებოდა

"ბი-პი"-ს ექსპერტებმა საკმაოდ პოპულარული ენით ამიხსნეს ის უნიკალური დაცვის მექანიზმები, რომელსაც კომპანია იყენებს, რათა ბორჯომის ხეობის დაბინძურების თეორიული შანსიც კი გამოირიცხოს.

"ბრიტიშ პეტროლიუმი" ძალიან მალე, ალბათ, გააკეთებს განმარტებას იმ დაცვის უპრეცედენტო ზომებზე, რომელიც მიღებული იქნება ამ მონაკვეთზე, რათა მოსახლეობა დარწმუნდეს, რომ ბორჯომს არანაირი საშიშროება არ ემუქრება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი - როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ნულოვან რისკზე, ეს ცოტა გაურკვევლობას იწვევს. რადგან იურისპრუდენციაში არ არსებობს ცნება ნულოვანი რისკი. თუ არსებობს რისკი, ის რაღაც ციფრით უნდა იყოს გამოხატული. ანუ როცა საუბარია ნულთან მიახლოებულ რისკზე, ეს ფაქტობრივად სწორედ ნულოვან რისკს ნიშნავს.

ისე, ერთი რამ დამაფიქრებელია. როცა ჩვენ ვსაუბრობთ ბორჯომის ეკოლოგიაზე, რატომღაც დაგვავიწყდა ის, რომ ამ ხეობაში ხე-ტყე წლების მანძილზე უმოწყალოდ იჩეხება. ამან გამოიწვია ის, რომ ზოგიერთ ადგილას მეწყრული ზონა უკვე გაჩნდა. ხე-ტყის განადგურება კი, არანაკლებ, თუ მეტს არა, საფრთხეს უქმნის ბორჯომის წყლებს. სხვათაშორის, "ბი-პი" იღებს ვალდებულებას, რომ ამ ტრასის გაყვანის შემდეგ თითო მოჩეხილ ხეზე დამატებით სამი ხე დაირგვება. ანუ გაჩეხილი ტყეების რეაბილიტაცია მოხდება.

ამას ემატება ის, რომ განვითარდება ინფრასტრუქტურა, რაც ასე აუცილებელია ტურიზმისთვის, ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაჩნდება სამუშაო ადგილები და, რაც მთავარია, არავითარი საფრთხე არ შეექმნება ბორჯომის უნიკალურ წყლებს.

**- ის, რომ "ბი-პი"-მ უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღო, რამდენად არის საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგი. შეძლებდა თუ არა ხელისუფლება ამ შედეგის მიღწევას დამოუკიდებლად?**

- უსაფრთხოების ზომების კიდევ უფრო გაზრდაში, ბუნებრივია, უზარმაზარი როლი შეასრულა საზოგადოებრივმა აზრმა და ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, ისე არ უნდა გავაკეთოთ, რომ ნაბან წყალს ბავშვი გავატანოთ. ჩვენი მოთხოვნები რეალისტური უნდა იყოს.

# ყველაფერი ნავთობსადენის ბრალია

## გუბერნატორი მამალაძე ადამიანის გატაცებასაც მილსადენს უკავშირებს

მაია მოსიაშვილი

**"რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეს მილსადენი უნდა ავაშენოთ!"** - ასეთი ლაიტმოტივი ჰქონდა ქვემო ქართლის გუბერნატორის გუშინდელ შეხვედრას რეგიონის აზერბაიჯანული სოფლებისა და რაიონების წარმომადგენლებთან.

**"თუ ჩვენ ამ რეგიონში გვყავს ინტელიგენცია, აღსაკალები, ის ადამიანები, რომლებსაც ხალხი უსმენს, უნდა გავაგებინოთ ყველას, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს პროექტი ქვეყნისთვის. შედეგებზე პასუხისმგებლობას ყველა ერთად გადავინაწილებთ, ამას ვერავინ გაექცევა,** - განაცხადა ლევან მამალაძემ და ძალიან საინტერესო წინადადებაც შესთავაზა აზერბაიჯანელებს, - **თქვენ დიდი ძალა გაქვთ, მაგრამ ამ ძალის გამოყენება არაკოორდინირებულად შეუძლებელი იქნება. კარგი იქნება, თუ საქართველოში არსებული აზერბაიჯანული საზოგადოებები და გავლენიანი პიროვნებები გაერთიანდებიან, რათა უფრო მეტი ყურადღება მიიქციონ ხელისუფლების მხრიდან."**

რას უნდა ნიშნავდეს ეს? რატომ იწყებს გუბერნატორი საქართველოში აზერბაიჯანელების გაერთიანება-კოორდინირებაზე საუბარს?

**"იმიტომ, რომ დავუპირისპირდეთ მილსადენების მშენებლობის მოწინააღმდეგეებს,"** - ამბობს მამალაძე.

**"ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, რეგიონში კრიმინალური სიტუაციის დაძაბვა მაფიქრებინებს, რომ საქართველოს გარეთ და შიგნით არიან ძალები, რომლებიც სპეციალურად ამწვავებენ სიტუაციას, რადგან ეს პრობლემებს შეუქმნის ნავთობსადენს,** - ასეთი კომენტარი გააკეთა მამალაძემ დმანისის რაიონის სოფელ პანტიანიდან 77 წლის სადი შარიფოვის გატაცების ფაქტზე, - **რატომ გაიტაცეს მაინცდამაინც შარიფოვი და არა ისმაილოვი? იმიტომ, რომ შარიფოვის შვილი რუსული "ლუკოილის" ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ყველაფერი შემთხვევითობა ხომ არ შეიძლება იყოს? მიმაჩნია, რომ ეს გამიზნულად კეთდება დაძაბულობის შესაქმნელად, რათა შემდეგ შეექმნას პრობლემა ნავთობსადენის გაყვანას."**

გუბერნატორი კრიმინალური სიტუაციის გამძაფრებას უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებსა და აგენტურას უკავშირებს და არა ადგილობრივი პოლიციის ცუდ მუშაობას. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დმანისის რაიონში 5-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფების არსებობის შესახებ უკვე ორ თვეზე მეტია, ინფორმაცია აქვს პოლიციასაც და პროკურატურასაც. ეს კარგად უწყის გუბერნატორმაც, მაგრამ აქცენტს მაინც წმინდა კრიმინალზე კი არა, პოლიტიკურ მიზეზებზე აკეთებს:

**"ამ (მილსადენების) პროექტის განხორციელება არც რუსეთს აწყობს, არც ანტიგლობალისტებს და ისინი სხვადასხვა ინტერპრეტაციებს აძლევენ მიმდინარე პროცესებს. მშენებლობის დაწყების წინ აჟიოტაჟის ატეხვა, შეკვეთაა და მეტი არაფერი. რეგიონში კრიმინალური სიტუაციის დაძაბვაც ამას უკავშირდება. ჩვენთან არსებულ კრიმინალურ ჯგუფებს აძლევენ შეკვეთებს და აქ იკვეთება არა ფინანსური, არამედ პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც ამ ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს უკავშირდება. საქართველოს მხრიდან შემკვეთი შეიძლება იყოს ის ხალხი, რომლებიც გუშინ ტაშს უკრავდნენ ამ პროექტს და დღეს დამღუპველად გამოჰყავთ."**

**ფონდი ევრაზია "თანამშრომლობის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში"**

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტების განვითარების ინიციატივის ფარგლებში ევრაზიის ფონდის "თანამშრომლობის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში" აცხადებს კონკურსს, რომლის მიზანია საზოგადოებრივ-პოლიტიკური კვლევებისა და საკანონმდებლო რეკომენდაციების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროპულ კონვენციებსა და ნორმებთან ინტეგრირებისთვის. კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ოფიციალურად რეგისტრირებულ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ შედარებითი კვლევა/ანალიზისა და საზოგადოებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბების სფეროში. განაცხადები მიიღება როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული ორგანიზაციებისგან.

განაცხადის მომზადებისთვის აუცილებელი საბუთების პაკეტისა და კონსულტაციების მიღება შესაძლებელია ევრაზიის ფონდის "თანამშრომლობის პროგრამის" თბილისის ოფისში. ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას ვიწვევთ განაცხადების მოსამზადებელ სემინარზე დასასწრებად, რომელიც ჩატარდება 2002 წლის 17 დეკემბერს 15:00 საათზე ევრაზიის ფონდის თბილისის ოფისში.

კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად განაცხადები წარმოდგენილი უნდა იქნას "თანამშრომლობის პროგრამის" თბილისის ოფისში არაუგვიანეს 2003 წლის 27 იანვრის 17:00 საათისა მისამართზე:

**კავსაძის 3, თბილისი, საქართველო**
**ტელ/ფაქსი: (99532) 22-32-64, 25-39-42, 25-39-43**
დაგვიანებული ან არასრული განაცხადები არ განიხილება.
კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები გამოცხადდება **2003 წლის 12 თებერვალს**.

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# არ ვარ განწყობილი, ყველას მტერივით ვუყურო

*ისე, როგორც ყველაფერი ამ ქვეყანაში, მხატვრობაც ღია ცის ქვეშაა. ისე, როგორც ყველას, არც მხატვრებს აქვთ არც მატერიალური, არც მორალური თანადგომის რაიმე იმედი. ამ პროფესიის ადამიანებს დღეს ყველგან შეხვდებით - ტაქსის მძღოლებიც არიან, მეპურეებიც, ღამის დარაჯებიც... ისინი კიდევ უფრო მუქად ხედავენ ყველაფერს მას შემდეგ, რაც ფუნჯი და საღებავი არ აუღიათ ხელში. ამ ფონზე მხატვართა კავშირის 1713 წევრმა (სხვათა შორის, 713 მხატვარი სწორედ ამ კრიტიკულ წლებში შეერთებიათ) მაინც მიიღო მონაწილეობა თავმჯდომარის არჩევნებში.... მხატვართა კავშირის 70-წლიანი ისტორიის მანძილზე ოჩიაური-ჯანბერიძის წყვილი ერთმანეთს ორჯერ შეხვდა: 1996 წელს ნოდარ ჯანბერიძემ გოგი ოჩიაურთან თავჯდომარეობა წააგო. მომდევნო არჩევნები 2002 წელს შედგა. გია ჯანბერიძემ გოგი ოჩიაურს ორი ხმით მოუგო და მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გახდა. "მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ხმა მომცა და არ მომცა. თქვენ პატივი ეცით და უერთგულეთ თქვენს უფროსს. ეს ერთგულება ჩემს მიმართაც ვერ გექნებოდათ," - იყო გამარჯვებულის სიტყვები.*

*როგორც ჩანს, გია ჯანბერიძე საშინელი ოპტიმისტია. მაშინ, როცა შემოქმედებითი კავშირების საჭიროებაზეა საუბარი, როცა მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირებმა სახელი დავებით უფრო გაითქვეს, ვიდრე შემოქმედებით - მას ექსპერიმენტებიც არ სჭირდება, ისეა დარწმუნებული საკუთარ ძალებში. ბევრისთვის გაუგებარია - რატომ, ბევრისთვის კი ცხადზე უცხადესი...*

მაია ჭალაბანიძე

**გია ჯანბერიძე: 45 წლის; არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, "თანამედროვე ხელოვნების გალერეის" დირექტორი. 29 ნოემბრიდან, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; დაიბადა თბილისში; დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა; სპი-ს არქიტექტურის ფაკულტეტი, ასპირანტურა; 1985 წელს მივლინებული იყო სამეცნიერო სამუშაოზე რომის უნივეტსიტეტში; სხვადასხვა დროს მუშაობდა "თბილქალაქპროექტში", სამხატვრო ფონდში, პედაგოგად სპი-ში, 1991 წელს დააარსა "თბილისის ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტი", იყო მისი რექტორი, 1995 წელს დააარსა "თანამედროვე ხელოვნების გალერეა"; ძირითადი ნამუშევრები: მესტიის მუზეუმის პროექტი; "ბერიკაობა" ბარათაშვილის ქუჩაზე; გამოთვლითი ცენტრის შენობა გაგარინის მოედანზე; ბიჭვინთის შემოქმედებითი სახლის ვიტრაჟები, რელიეფი, და ა.შ. ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი ბელჯირატეში. აქვს სამეცნიერო შრომები და საავტორო გამოცემები არქიტექტურასა და თანამედროვე სახვით ხელოვნებაში, მათ შორის, ბოლო წლებში გამოცემული ალბომებია - "XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნება" - მონაცემთა კომპიუტერული ბაზა (ვიდეო-კატალოგი ინგლისურ ენაზე), ალბომები - "ქართული ფერწერა - XX საუკუნის ოსტატები" ოთხი ტომად, გიოტინგენი; კატალოგი - თანამედროვე ქართული მხატვრობა," ანკარა, კომპაქტდისკი - "ქართული მხატვრობა", ანკარა.**

**არის საქართველოში ერთ-ერთი პირველი გალერისტი. მოწყობილი აქვს 162 გამოფენა, მათ შორის, ვიტორიო გრეგოტის პერსონალური, "თანამედროვე იტალიური დიზაინის"; ორგანიზებული აქვს ქართველ მხატვართა გამოფენები იტალიაში (რომი, პალერმო, ბელჯირატე); შვეიცარიაში...**

**საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1981 წლიდან. ფლობს ინგლისურ და იტალიურ ენებს, ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი. არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი და ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს.**

**- ოპონენტები ამბობენ, რომ მხატვართა კავშირის თავმჯდომარის არჩევნები პატიოსნად არ მიმდინარეობდა...**

- ეს არჩევნები დღევანდელ საქართველოში მიმდინარე მოვლენების ფონზეც და უმისოდაც, იდეალური არჩევნები იყო. იდგა გამჭვირვალე ყუთი და 12 კაციანი კომისია თვალს არ აცილებდა ამ ყუთს იმის მიუხედავად, რომ არაერთხელ ჩაქრა შუქი. ხმის დათვლის პროცესს თვალს ადევნებდა ექვსი ჩემი მომხრე და ექვსიც ბატონი გოგი ოჩიაურისა. ისე, ხელოვან ხალხში "ჩემი მომხრე, შენი მომხრე" - პირობითია. არავინ იცის, ვინ როგორ მოიქცევა სინამდვილეში... ხმის დათვლის პროცესს სამი ვიდეოკამერა იღებდა. ზოგიერთი მხატვარი ობიექტური მიზეზებით, არჩევნებზე ვერ მოვიდა, მაგრამ მანდატზე ბეჭდით დამოწმებული ხმა გამოაგზავნა. კომისიამ ეს ხმები არ ჩათვალა და ესეც მე მომაკლდა. თანაც, ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი არჩევნები ორგანიზატორთა უპირატესობაა. ფაქტობრივად, მისი წესებით თამაშობ. ისიც უნდა ითქვას, რომ იქ პრეტენზიები არ გამოთქმულა... სწორედ ეს მიზეზები მაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ არჩევნები ცივილურ და ნორმალურ ვითარებაში ჩატარდა.

**- დღეს, როცა შემოქმედებითი კავშირების საჭიროების საკითხი დგას, როცა ხელოვნება არ არის შემოსავლიანი თემა და არც ბიუჯეტშია საკმარისი თანხები, რატომ გადაწყვიტეთ მხატვართა კავშირის თავმჯდომარეობა?**

- რომ გითხრათ, დიდი სურვილი მქონდა, - არ ვიცი... რომ გითხრათ, რომ არ მინდოდა - არც ეს იქნება მართალი.

1985 წელს, როცა იტალიაში ერთწლიან სტაჟირებაზე ვიყავი, იქ ძალზე კარგი კონტაქტები ავაწყე, ბევრი მეგობარი გავიჩინე და ხელოვნების ელიტას გავეცანი. იქ თანამედროვე არქიტექტურის ისეთ ოსტატებთან მქონდა ურთიერთობა, როგორებიც არიან ვიტორიო რეგოტი, ვიდო კანო... მათთან სახლში დავდიოდი, ვმეგობრობდი. მათ ნამდვილი იტალია მაჩვენეს და, ფაქტობრივად, იქ დავავადდი მხატვრობითა და საგალერეო საქმიანობით. განსაკუთრებით კი, პოლიგრაფიული გამოცემებით... იქ მივხვდი ერთ რამეს: მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტორის კარიერა ძალზე კარგად დავიწყე და ყველა დიდ ქართველ არქიტექტორთა სახელოსნო გავიარე - მივხვდი, რომ ჩვენ, უბრალოდ, გამოვტოვეთ რამდენიმე თანამედროვე მიმართულება არქიტექტურაში და თან ისე, რომ დღესაც არ შეგვივსია ვაკუუმი... არქიტექტურულ განათლებაში, სამწუხაროდ, უზარმაზარი ჩამორჩენა გვაქვს... ჩვენ ძალზე ნიჭიერი არქიტექტორები გვყავს, მაგრამ არეულობის წლებში არც ლიტერატურა შემოდიოდა, არც მოგზაურობა შეიძლებოდა და ამან საგრძნობლად დაგვწია უკან.

მინდა მხატვართა კავშირმა, გარკვეულად, მხატვართა სოციალური დაცვის ფუნქცია შეასრულოს. გამონახოს მატერიალური სტიმულირების რაიმე ფორმა... მინდა სადაზღვევო სისტემა შემოვიღოთ; სტაჟირებაზე გავუშვათ ახალგაზრდა მხატვრები... მოკლედ, გეგმები არის.

**- თქვენ ახლა მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ხართ და უფრო ახლოს შეეხებით იმას, რაც ქალაქში ხდება. ვგულისხმობ მშენებლობებს, ქალაქის სახეს და ა.შ. რა ფორმით აპირებთ ამ ცუდი ტენდენციების შეჩერებას?**

- მხატვრის როლი თანამედროვე ქალაქის მშენებლობაში უნდა გაიზარდოს. ეს აუცილებელია. ოთარ ლითანიშვილის მერობისას შემოღებული ვიტრაჟებით ქალაქმა იერსახე, გარკვეულად, შეიცვალა. ეს, სხვათა შორის, მაშინ ახალი სიტყვა იყო. დღეს პირველი სართულები კერძო მესაკუთრის გემოვნებით ეწყობა და ამას არანაირი ერთიანი ესთეტიური სახე არ გააჩნია. ჩვენ გვინდა არქიტექტურული სამსახური, რომელიც კეთილსინდისიერად მიუდგება თავის საქმეს. მერიას აუცილებლად დაველაპარაკებით იმის შესახებ, რომ მხატვართა კავშირი რაღაც ფორმით მაინც ჩაერიოს ქალაქის გაფორმებაში.

ქალაქის ცენტრალური მოედანი რას დაამსგავსეს? ის შადრევანი ამხელა არ უნდა ყოფილიყო. შადრევანის სიმაღლე აშკარად ვერ იჭერს სივრცეს. ანდა, მის ქვეშ ჩატენებული თეატრი... როგორც ვიცი, არსებობდა შესანიშნავი პროექტი, სადაც ისტორია, ქალაქის პლასტები არ დაიკარგებოდა და თეატრიც გამოჩნდებოდა. თუ საკუთარ თავს პატივს არ ვცემთ, ის მაინც უნდა გვესმოდეს, რომ უცხოელისთვის მოვლილი ისტორიული ადგილი ერის კულტურაზე მეტყველებს.

**- რა სტილია დღეს თბილისში?**

- არც კი ვიცი, რა დავარქვა... ალბათ, ეკლექტიზმის ზეობა... თუ ახალი მშენებლობები კიდევ იტანენ ახალ დეტალებს, ძველ ქალაქს განსაკუთრებით სათუთი მოპყრობა უნდა. იმდენი არქიტექტურული დარღვევებია, რომ, ნამდვილად უხერხულია. თუ ქალაქი გიყვარს, არაფრით არ შეიძლება მას ისე მოექცე, როგორც დღეს ექცევიან. არ მინდა ვინმეს დავაბრალო რომ, არ ესმის რას სჩადის, არ მინდა გავლანძღო ის არქიტექტურული საბჭოები, რომლებიც ამ პროექტებს ამტკიცებენ, რადგან მათ პროფესიონალიზმში ეჭვს ვერ შევიტან. მაშ რა ხდება, რაღა რჩება? კორუფციაზე საუბარს მე გავურბივარ და არ მინდა მაგ თემას შევეხო.

**ᲒᲝᲒᲘ ᲝᲩᲘᲐᲣᲠᲘ (მხატვართა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე): ის მხატვარი არ არის, მაგრამ, როგორც ამბობენ, მას კარგი მხარდაჭერა და შესაძლებლობები აქვს. თუ კეთილად გამოიყენებს ამ შესაძლებლობებს, კარგია. ამას დრო გვიჩვენებს. ეჭვები ცოტა ნაადრევია. ჩვენ რაც შეგვეძლო ვაკეთებდით. ახალი საკრებულოც გვპირდებოდა დახმარებას. ვნახოთ, რას გააკეთებს ახალი გუნდი. ისე, იმასაც გეტყვით, რომ ამ საკითხში დღეს გულწრფელი ვერ ვიქნები.**

**- თქვენს პროგრამულ სიტყვაში თქვით, რომ მხატვრებს აქტიურად ჩართავთ ქალაქის იერ-სახის შექმნის საქმეში და ამით მათ სოციალურ პირობებს გაუუმჯობესებთ. როგორ მოახერხებთ ამას?**

- შეკვეთების მოპოვება შეიძლება. მთავარია, რომ მხატვართა კავშირის კუთვნილი კომბინატები და საწარმოები ავამუშაოთ. სულ ერთი დღეა, რაც სამსახურში გავედი და ამ საწარმოების რაღაც ნაწილი მოვინახულე. სურათი ძალზე შემაშფოთებელია - ასეთი მდგომარეობა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შეიძლება, გერმანიის ქალაქებში იყო. ასეთი დაქცეული და გაპარტახებული მეურნეობა ჩემთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. ვიცოდი, რომ დანგრეული იყო ყველაფერი და არც ფული იყო... თან ხმები დაყარეს: აი, მოვლენ ყაჩაღები და გაყიდიან ყველაფერს... ვინ უნდა იყიდოს ეს ყველაფერი, ძალიან მაინტერესებს.

**- მიწის შესყიდვის მსურველები თბილისში გამოჩნდებიან.**

- მიწა სახელმწიფოსია. მხატვართა კავშირს პრივატიზებულიც არ აქვს. წესდებაში კი გარკვევით წერია, რომ მთელი ქონება, რაც კი მხატვართა კავშირს გააჩნია, არის მხატვართა კავშირისა და მხატვრების ქონება. გამგეობის გარეშე, წევრების გარეშე, ჩემი ნებაც რომ იყოს, ვერავინ ვერაფერს გაყიდის. თანაც მე ამ ტენდენციის პრინციპულად წინააღმდეგი ვარ. მიმაჩნია, რომ ყველაფერი უნდა აღდგეს და ფონდი შეიქმნას. ფონდის არსებობისას მხატვრები დაცულები იყვნენ და სამუშაო ჰქონდათ. თუკი ქალაქში, ნებისმიერი ვიტრინის გაფორმებისას პროექტი სამხატვრო კომისიას გაივლის, ქალაქის ესთეტიური სახე ერთიანი კონცეფციით შეიქმნება.

**- რაიმე ბერკეტი თუ გააჩნია მხატვართა კავშირს საამისოდ. რეკლამები, ვიტრინები და სხვა, ხომ ქალაქის სამსახურების ფუნქციაა.**

- სულ რაღაც ორი დღეა შევუდექი მუშაობას და ყველა შეკითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ. არის საკითხები, რომელიც კოლეგებმა პრესიდან არ უნდა შეიტყონ. ჯერ მათთან შეთანხმება, კონსულტაციებია საჭირო. ბევრი ჩანაფიქრი მაქვს, მაგრამ მოვლენების წინ გასწრება არ მინდა.

**- რა ქონება გადაიბარეთ?**

- პირველი, რაც გავაკეთე, მდგომარეობის გაცნობას შევუდექი. ინვენტარიზაციის საბუთები მოვითხოვე. სხვათა შორის, ყველა თანამშრომელი ადგილზე დამხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ვთხოვე, არ დამლოდებოდნენ, ყველა ბოლომდე იქ იყო. ეს ჩემთვის სიურპრიზი გახლდათ. ეს კარგ ნიშნად მივიღე.

**- დღეს ისეთი დროა, ყოველი ახალი ხელმძღვანელის მოსვლას თან გარკვეული შიში ახლავს... იქნებ მათ იმის დაკარგვის ეშინიათ, რაც აქვთ?**

- ჩემი მოწოდება არ არის ვინმეს გაშვება. კიდევაც გამოვაცხადე, რომ სტრუქტურული ცვლილებებისგან ჯერ-ჯერობით, თავს ვიკავებ. ამას თანდათანობით განვახორციელებ.

**- რა ძალებით შეუდგებით საქმეს? ვინ არის თქვენს გუნდში?**

- ესენი ცნობილი, პროფესიონალი მხატვრები არიან. ყველას არ ჩამოვთვლი, მაგრამ, გარწმუნებთ, ესენი შემოქმედი ხალხია.

**- თქვენი მხატვართა კავშირში მისვლით - რა დაინგრევა და რა გვექნება კარგი?**

- მე მგონი, ის პროგრამა, რომელიც ყრილობას წარვუდგინე, ყველას მოეწონა. მეუბნებიან, თუნდაც 50 პროცენტით რომ განახორციელო რასაც დაგვპირდი, გმირი იქნებიო. ამ ყველაფერს სხვაგვარად ვუყურებ. ეს რეალური პროგრამაა და ექსპერიმენტების ჩატარებას არ ვაპირებ. საფუძველს უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში ვყრიდი და ახლა კიდევ [illegible]

სხვათა შორის, ჩემი უცხოელი მეგობრების დახმარებით, საქართველოში ხელოვნების აღორძინებისთვის ვმუშაობდი და ხელშეკრულებებიც კი მქონდა დადებული, მაგრამ როგორც კი პირველი ტყვია გავარდა, მათ ფაქსები გამომიგზავნეს და მითხრეს, რომ სანამ სიტუაცია არ დაწყნარდება, საქმეზე საუბარი აღარ გვექნებაო. ჩემთვის ეს დიდი დარტყმა იყო.

**- მიგაჩნიათ, რომ საგამოფენო საქმიანობა შემოსავალს მოიტანს?**

- მხატვრებს სტიმული სჭირდებათ. ვგულისხმობ მორალურ და მატერიალურ მხარესაც. რასაკვირველია, ფინანსებს მოპოვება უნდა. პრიორიტეტს ფონდის შექმნას ვანიჭებ, რომელსაც ექნება ძლიერი ბიუჯეტი. ადრე ფონდი არსებობდა. წინა ხელმძღვანელობამ ეს ფონდი დაშალა და შპს გააკეთა. ვისთვის იყო ეს შპს, ვის ემსახურებოდა, რა გააკეთა, ან ვის ჩააბარა ანგარიში - ეს გასარკვევია. დაიკარგა პავლოვის 17, მხატვართა სალონი რუსთაველზე, შვიდი წლის მანძილზე ვერ მოხერხდა მხატვრის სახლის ტერიტორიის დაბრუნება.

**- როგორც ვიცი, პროცესი დაკონსერვებულია და არავის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა.**

- მხატვრებისთვის ეს ყველაზე მტკივნეული თემაა. ეს ურთულესი განსახორციელებელია, მაგრამ მზად ვარ, ამ საკითხზე პრეზიდენტსაც შევხვდე და ჩემი მოსაზრებები გავაცნო. მან მხატვრებს საჩუქარი ერთხელ უკვე გაუკეთა, როცა ეს სახლი გადასცა. იგი ტრადიციულად კეთილგანწყობილია მხატვრების მიმართ და მჯერა, რომ მომისმენს და დაგვეხმარება.

ყველაფერი შესასწავლია. ჩემი ინფორმაციით, სანამ თუნდაც ნახევარი სართულის ნანგრევი არსებობს, ეს დანგრეულ, მაგრამ მაინც მხატვართა სახლის ტერიტორიად ითვლება. მაგრამ, მხატვართა კავშირის შეცდომის გამო, ეს ტერიტორია ნანგრევებისგან გაასუფთავეს. როგორც კი ეს ფაქტი მოხდა, მხატვართა სახლი და მხატვართა კავშირი აღარ არსებობს. მიწა კი ქალაქისაა. ახლა მიდის დავა მორალურ, სამართლებრივ მემკვიდრეობაზე. მხატვრები ამ ბრძოლაში უკან არ დაიხევენ. ჩვენ მოვიწვევთ კვალიფიციურ იურისტებს იმის გასარკვევად, თუ რა შანსი გვაქვს. ყური მოვკარი, რომ ეს ადგილი "თბილისი სიტის" კაპიკებში შეუძენია. მზად ვარ, მათაც შევხვდე და დაველაპარაკო. მზად ვარ ყოველგვარი კონტაქტებისთვის. შეუძლებელსაც გავაკეთებ, რათა ეს ტერიტორია დავიბრუნოთ.

დაბრუნებასთან ერთად შენებაც საჭიროა, ინვესტიციებიც, პარტნიორობაც... არ ვარ განწყობილი, რომ ყველას მტრებივით ვუყურო.

ეს ისეთი ადგილია, სადაც ყველაფრის გაკეთება შეიძლება. აქ იქნება თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიც, მხატვართა კავშირის ოფისებიც, კულტურული ცენტრიც და ა.შ. ეს შეიძლება გაცილებით დიდი ამოცანაა. ქალაქი უნდა ვითარდებოდეს. თუმცა, რა თქმა უნდა, განაშენიანების სტრუქტურა უნდა იქნეს დაცული, ხედვის კუთხეები და სხვა არქიტექტურული ნიუანსები.

**- თქვენს სიტყვაში ქველმოქმედების კანონმდებლობაზეც ისაუბრეთ, რომელიც არ არსებობს. გყავთ მეგობრები ამ საკითხის ლობირებისთვის?**

- მე ბედნიერი ვარ იმით, რომ მყავს ბევრი მეგობარი და მათ შორის, პარლამენტშიც. სხვათა შორის, ხშირად მეკითხებიან - ვინ დგას თქვენს უკან...

**- ამას მეც შეგეკითხებით. თქვენს უკან გია ჟორჟოლიანის ინტერესებს ასახელებენ...**

- მართლაც ვმეგობრობთ. ვამაყობ ჩემი სამეგობროთი და განა ეს დასაძრახია?! რაც შეეხება, მხატვართა კავშირს... უნდა დამიჯეროთ, რომ ჩვენი საუბრის თემები მრავალფეროვანია, მაგრამ რაზეც მართლა არ გვისაუბრია, ეს არის მხატვართა კავშირი...

**- რისი იმედი გაქვთ ამ ტოტალური უფულობის ჟამს?**

- მხატვართა კავშირს ფაქსიც კი არ აქვს. ერთადერთი კომპიუტერი დგას და ისიც პირველი თაობის... პრობლემების არ მეშინია. საბედნიეროდ, საზღვარგარეთ ბევრი ისეთი მეგობარი მყავს, ვინც ქართული ხელოვნებითა და კულტურითაა დაინტერესებული. ეს კონტაქტები დღესაც არსებობს. სწორედ ამიტომ მიმაჩნია მნიშვნელოვნად მხატვართა ფონდის დაარსება.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ რაც ამ შვიდ წელიწადში არ გაკეთებულა, ერთ კვირაში მოვაგვარებ, ცდება. ალბათ, წელიწადნახევარში შესამჩნევი შედეგები გამოჩნდება.

**- მოგეხსენებათ, თბილისი კერძო გალერეები მომრავლდა. ვინ აგებს პასუხს ექსპოზიციების მხატვრულ დონეზე. არის ეს მართლაც მაღალი ხელოვნება თუ მხოლოდ ბაზრის მოთხოვნილება? თუ გაუწევს მხატვართა კავშირი კოორდინაციას კერძო გალერეებს?**

- თბილისში ერთმანეთზე უკეთესი 24 კერძო გალერეაა და მათ არასდროს უგრძვნიათ რაიმე დახმარება კავშირიდან. მხატვართა კავშირის ბიულეტენს რომ გადახედე, შვიდი წლის მანძილზე 16 გამოფენა და საზღვარგარეთაც რამდენიმე ღონისძიება აქვს მოწყობილი. მაშინ, როცა გამოფენების 90 პროცენტი კერძო გალერეებზე მოდის. ვერ ვიტყვი, რომ კერძო გალერეების დონე ეროვნული გალერეის დონეს ჩამოუვარდება. ეროვნულ გალერეას, რომელიც დღეს პირველი გალერეაა, განსაკუთრებულ როლს ვანიჭებ. კერძო გალერეებისგან განსხვავებით, მათ გეგმა აქვთ. ის რესპუბლიკის მასშტაბით ყველა მხატვარს ემსახურება - კარგსაც და ცუდსაც... რამდენჯერ ეტყვი მხატვარს უარს. ოდესღაც ხომ უნდა გამოიფინოს? პრინციპში, ეგეც გარკვეული პოზიციაა. ალბათ, ცუდიც უნდა გამოიფინოს, რომ ფონი გამოჩნდეს.

**- თუ გაქვთ განსაკუთრებულად საყვარელი მიმართულება მხატვრობაში და როგორ მოქმედებს ეს "სისუსტე" გალერისტ გია ჯანბერიძეზე?**

- ასეთი რამ არ შეიძლება. არ მიყვარს ბანალური შეკითხვა - ვინ არის თქვენი საყვარელი მხატვარი, ან მწერალი... ეს შეიძლება ბავშვობაში დაგემართოს. როგორ შეიძლება, მთელი ცხოვრება ერთი გიყვარდეს. (აქ მხატვარსა და მწერალს ვგულისხმობ და არა ქალს). ჩვენს გალერეაში ერთდროულად იფინებოდა აბსტრაქციაც, რეალიზმიც, ავანგარდიც, პოპარტიც და ერთმანეთთან ესენი არ ჩხუბობენ. აქ მიწოდებაზეა საუბარი - როგორ წარადგენ ნახატს. ექსპოზიციის კულტურა ნამდვილად იტალიაში შევისწავლე. ეს საოცარი რაღაც არის - ექსპოზიციით შეიძლება მხატვარი "გააკეთო" და "გააფუჭო" კიდეც. ჩემს გალერეაში ექსპოზიციას მხოლოდ მე ვაკეთებ.

**- როგორი იყო თქვენი დღე პირველი?**

- რაღაც სოცარი განცდა მქონდა. არჩევნებზე ძალზე დადებითი ემოცია მივიღე, როცა ჩემდამი ინტერესი დავინახე. მათ ჩემი ირწმუნეს. ეს კი უკვე გარანტიაა, რომ ყველაფერი ამუშავდება და ეს ძალზე ბევრს მავალებს.



გია ჯანბერიძე









# „მე ვარ საქართველოდან"

## რატომ არ ჩამოვიდა ბენსონი თბილისში?

ვერა ნეფარიძე

უცნაური ადამიანია თემურ ყვითელაშვილი. მისთვის დიდი და პატარა, მნიშვნელოვანი და უბრალო კონცერტი არ არსებობს - პასუხისმგებლობა ყოველთვის ერთნაირად დიდია; არაპუნქტუალურ ხალხთან ურთიერთობას ერიდება. სამაგიეროდ, არ ავიწყდება და შეუძლია საათობით ისაუბროს მათზე, ვინც ოდესმე მაინც დახმარებია მუშაობაში. საშინლად კატეგორიულია და, შეიძლება ითქვას, რომ არასდროს თმობს საკუთარ პრინციპებს. "ერთხელ ჟურნალისტმა 50 წამით დააგვიანა. შეხვედრა დავთქვით. მე გიჟივით გავვარდი და არ დამხვდა. ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდოდა ძალიან ის საქმე გამოსულიყო, მე კი ძალიან მსურდა, მაგრამ რას ვიზამდი, წამოვედი და როდესაც დამირეკა, ვუთხარი, რომ აღარ დაველოდე", - თემურ ყვითელაშვილმა თავადაც იცის, რომ ასეთი პრინციპებით ცხოვრება გაცილებით რთულია, მაგრამ სხვაგვარად მაინც არ შეუძლია.


თემურ ყვითელაშვილი ჰენდრიქსის საფლავზე


ჯორჯ ბენსონი და თემურ ყვითელაშვილი

უამრავი სირთულის მიუხედავად, თბილისელმა გიტარისტმა რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. თუმცა, ცხოვრებაში იყო შემთხვევები, რომლებსაც მუსიკოსი მხოლოდ განგების წყალობად აღიქვამს. "ალან ჰოლდსვორთი ჩემთვის კერპი იყო – 1994-ში წლის საუკეთესო გიტარისტის ჯილდო მან გადმომცა; ახლახან კიდევ სრულიად დაუჯერებელ სიტუაციაში შევხვდი ჯორჯ ბენსონს, დაუჯერებელია, აბა რა არის?!".

კიდევ ერთი ნიუანსი, რაც ასე დამახასიათებელია გიტარისტისთვის - თერთმეტი წლის ასაკიდან მოყოლებული, როდესაც თვითონ დაიწყო გიტარის შესწავლა (თუ არ ჩავთვლით იმ რამდენიმე აკორდს, რომელიც ძმამ აჩვენა), დასახმარებლად არასდროს არავისთვის მიუმართავს. "მოსკოვში გადატანილი მაქვს შიმშილი, მაგრამ ერთი კაცის ტელეფონის ნომერიც არ ამიკრიფავს. ჩემი პრობლემა ჩემად უნდა დარჩეს, არ მინდა ვინმეს მოვახვიო თავს", - ამბობს მუსიკოსი. ბავშვობაშიც თვითონ, სხვების დაუხმარებლად შეისწავლა თანამედროვე მუსიკის უამრავი მიმდინარეობა. იქიდან მოყოლებული, გიტარისტს დღემდე შემორჩა სხვადასხვა მუსიკალური ჟანრისადმი სიყვარული. თემურ ყვითელაშვილი პირველი გიტარისტი იყო საქართველოში, რომელმაც არანჟირება გაუკეთა კლასიკას და გიტარაზე ააჟღერა. 1994 წელს ჰოლივუდში გამართულ გიტარისტების საერთაშორისო კონკურსზე (ფიუჟენის სტილში) "წლის საუკეთესო გიტარისტად" დაასახელეს. თავად მუსიკოსისთვის ყველაზე მოულოდნელი ის აღმოჩნდა, რომ ეს ჯილდო მისმა სათაყვანებელმა ალან ჰოლდსვორთმა გადასცა. შემდეგი იყო 1995 წელს ამერიკელ მაიკლ ანჯელოსთან ერთობლივი საკონცერტო გამოსვლა. მომდევნო წელს ყვითელაშვილი საქართველოს საუკეთესო ინსტრუმენტალისტადაც დაასახელეს და პრეზიდენტმა შევარდნაძემაც დააჯილდოვა "ღირსების ორდენით". იგი პირველი ქართველი გიტარისტია, რომელსაც ოთხი სოლო ალბომი აქვს გამოშვებული და ორი სოლო-კონცერტი გამართული. არის უამრავი საგიტარო და ინსტრუმენტული ფესტივალის ლაურეატი. მთავარი ისაა, რომ ამ ტიტულებსა და გამარჯვებებს მუსიკოსი უბრალოდ ხვდება და სურს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, რიგით მოქალაქედ დარჩეს. "მინდა, რომ ქალაქში ჩვეულებრივად ვიარო. ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები ვართ. სცენიდან რომ ჩამოვდივარ, მე ვარ ერთი რიგითი თემური, ჩვეულებრივი თბილისელი კაცი, რომელიც იგივე პრობლემებით ცხოვრობს, როგორც თქვენ და როგორც ყველა თბილისელი. რა საჭიროა ზედმეტი - სხვანაირად მგზავრობა, სიარული... და საერთოდ, ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში ცოტა უზნეობადაც გამოიყურება ეს ყველაფერი. კმაყოფილი ვარ, ის ელემენტარული მქონდეს, რაც მთელი ცხოვრება არ მქონია".

ამ ელემენტარული პირობების უქონლობის გამო, თემურ ყვითელაშვილმა აქტიურად დაიწყო მოსკოვში სიარული. ორი წელიწადია, იქ ცხოვრობს და საშინლად სწყინს, როდესაც მასზე ამბობენ, საქართველოდან წავიდაო. მოსკოვი ერთადერთი მიზეზით აირჩია – უბრალოდ, იქიდან უფრო იოლია მისთვის მოგზაურობა, რაც მუსიკოსს მუშაობის აუცილებელ პირობად მიაჩნია. "მუსიკოსმა დღეს ერთგან უნდა გამართოს კონცერტი, შემდეგ სხვაგან და ა.შ. ძალიან ხშირად ჩამოვდივარ თბილისში, მაგრამ არ ვყვირი. რომ დავურეკო ჟურნალისტებს, ჩამოვედი-მეთქი – ნიშნავს, რომ ყურადღებას ვითხოვ. ეს არის ამპარტავანი, საზიზღარი ადამიანის ტონი. ასეთები ცარიელი ამბიციებით იკვებებიან, ჩაცმაზე და მანქანებზე ფიქრობენ. იმ ფულით, რაც საქმეში უნდა დახარჯონ, იცვამენ და პირობებს იქმნიან. კონცერტს რაც შეეხება, თბილისში შეიძლება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გამართო, მეტჯერ – გამორიცხულია. არავის საქმეში არ ვერევი, უბრალოდ, ამ საკითხისადმი მე ასეთი მიდგომა მაქვს. არტისტმა უნდა იმოძრაოს, უნდა გამართოს კონცერტები სხვადასხვა ადგილებში. სულ ვამბობ, ჩემი ახალი ალბომი წინას უნდა სჯობდეს. რა თქმა უნდა, ხელწერა უნდა იგრძნობოდეს. სხვა შემთხვევაში რიგითი ალბომი იქნება, რასაც მე არ დავუშვებ".

ასეთი დამოკიდებულების გამო, თემურ ყვითელაშვილს 1991 წლიდან დღემდე მხოლოდ ოთხი სოლო ალბომი აქვს ჩაწერილი. მისთვის არ არსებობს რეცეპტი ან გეგმა, რამდენი ალბომი შეიძლება გამოუშვას წელიწადში. ბოლო ალბომს, რომელსაც "მე ვარ საქართველოდან" ჰქვია, წინამორბედ ჩანაწერებს ჟანრობრივი მრავალფეროვნებით ჰგავს. ნამუშევარი ჩაწერილია სტუდიაში Музыка моей души. ყვითელაშვილი საგასტროლო ტურნეებს და ალბომების ჩაწერასაც ერთჯერადი მენეჯმენტით ახერხებს. მუსიკოსს ჯერ არ ჰყავს ერთი კონკრეტული პროდიუსერი. "ამ ეტაპზე ერთჯერადი პროექტების პროდიუსერები მყავს. ჯერ ვერ ვნახე ერთი ისეთი ერთგული ადამიანი, რომელიც პროდიუსერობას გამიწევს", - ამბობს მუსიკოსი და ისეთი მადლიერებით საუბრობს ბოლო ალბომის პროდიუსერზე - დავით ტატულაშვილსა და ჰოლდინგურ კომპანია "ბაფორსზე", იფიქრებ, რომ თემას ველარაფრით შეაცვლევინებ, მაგრამ არის კიდევ რაღაც, რაზეც მუსიკოსს სიამოვნებით გადააქვს ყურადღება...

შარშანწინ თემურ ყვითელაშვილსა და ბუბა კიკაბიძეს ერთობლივი ტურნე ჰქონდათ აშშ-ში. სწორედ ამ დროს მოხვდა იგი უამრავი პროფესიონალი მუსიკოსისა და მელომანის სათაყვანებელი ჯიმი ჰენდრიქსის საფლავთან. ეს შთაბეჭდილება მუსიკოსს მტკივნეულად ახსოვს, - "ნახევარ საათს ვეძებდით საფლავს, - ესეც ბევრ რამეზე მეტყველებს. ისეთი ანტისანიტარია იყო, ამ ხალხის არ მესმის. უამრავი ადამიანი ჰენდრიქსით ჯერაც ფულს აკეთებს, იყიდება ჩანაწერები. რამდენ მუსიკოსზე აქვს ჰენდრიქსს ზეგავლენა. ათასობით მათგანის კერპია. ყველას რომ მცირედი გაეღო და საფლავისთვის მიეხედა... ლუდის ბოთლებითაა იქაურობა მოფენილი. ბრიუს ლის საფლავი რომ ვნახე, სულ სხვანაირი მდგომარეობა იყო".

მეორე სათაყვანებელ გიტარისტს თემურ ყვითელაშვილი პირადად, როგორც თავად ამბობს, სასწაულებრივად შეხვდა. ჯორჯ ბენსონის კონცერტზე მოსახვედრად ჯერ თბილისში ჩამოფრინდა. შემთხვევით დარჩენილი ჩართული ტელეფონით თვითმფრინავში შეატყობინეს, - კონცერტი ჩაიშალაო. მეორე დღესვე მოსკოვში ჩაფრინდა, სადაც ჟურნალისტის აკრედიტაციით პრეს-კონფერენციაზე მოხვდა. ყვითელაშვილმა კონცერტზე დასწრებაც მოახერხა, მაგრამ მუსიკოსთან შეხვედრა უპერსპექტივო ოცნებას ჰგავდა. "სასწაული მოხდა. მოსკოვში, დარბაზში ვიღაცამ მიცნო და მითხრა: თქვენ საბჭოთა ბენსონად მიგვაჩნდითო და მომცა აკრედიტაცია, რომლითაც კულისებში მოვხვდი. მოხდა ისე, რომ ბენსონმა ყველა ჩემს წინ მდგომს ავტოგრაფი მისცა, უცბად დაცვამ გამოგვიცხადა, - გთხოვთ წაბრძანდეთო. ენით ვერ აღგიწერთ ჩემს გასაცოდავებულ მდგომარეობას. ჯერ ისედაც, ყველა ქალაქში დროის გამო ავცდი ბენსონს, ახლა ერთი ნაბიჯი მაშორებდა და შეხვედრას ვერ ვახერხებდი. ამ დროს თავად ბენსონმა დაცვას ხელით ანიშნა ჩემზე, - გამოუშვითო. მე, რა თქმა უნდა, ყველაფერი ვუთხარი, რაც მის შესახებ ვიცოდი. გაოგნდა და მეორე დღეს დამითქვა შეხვედრა. ასე მხოლოდ ზღაპრებში ხდება", - სიამოვნებით იხსენებს გიტარისტი. თბილისელმა მუსიკოსმა სათაყვანებელ გიტარისტს საკუთარი ალბომიც გადასცა და სთხოვა, შთაბეჭდილება წერილით ეცნობებინა. თბილისის ჩაშლილი კონცერტის მიზეზებზე თავად ბენსონმა, თითქმის, არაფერი იცოდა. "ალბათ, ჩამოვა თბილისის ჯაზ-ფესტივალზე ივლისში", - ამბობს ბენსონთან მორიგი შეხვედრის პერსპექტივით აღფრთოვანებული გიტარისტი.

თემურ ყვითელაშვილი თბილისში ხუთ დეკემბრამდე დარჩება. უახლოეს დღეებში მოსკოვში მისი ალბომის პრომოუშენი უნდა დაიწყოს. იანვრის დასაწყისში კი დისკის პრეზენტაციაზე მუსიკოსი თბილისელებსაც მიიწვევს.

# კონფერენცია უკრაინელი ფილოსოფოსის ხსოვნას მიეძღვნა


ლევან ხერხეულიძის ფოტო

მიროსლავ პოპოვიჩი კონფერენციაზე

"თუ შენი თავი შეიცანი, ღმერთსაც შეიცნობ, ღმერთი შენშია..."
*გრიგორი სკავაროდა*

თამარ მურვანიძე

ბოლო ორი თვის განმავლობაში უკრაინაში გრიგორი სკავაროდას 280 წლის იუბილე აღინიშნება. ჩვენი ეროვნული კულტურა სკავაროდას ფილოსოფიისგან განუყოფელია, - განაცხადა უკრაინის ელჩმა საქართველოში, ბატონმა სტეპან ვოლკოვეცკიმ. გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დაბაზში გამართული კონფერენცია დიდი უკრაინელი პოეტის, ფილოსოფოსისა და მოაზროვნის, გრიგორი სკავაროდას ხსოვნას მიეძღვნა.

"უკრაინელი და ქართველი ხალხის ურთიერთობას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, ეს კონფერენციაც ამის დასტურია", - ამ სიტყვებით მიმართა დარბაზს ბატონმა ელჩმა. კონფერენციაზე ქართველ მომხსენებლებთან ერთად აუდიტორიის წინაშე სიტყვით წარსდგა უკრაინის ფილოსოფიის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი მიროსლავ პოპოვიჩი, რომელიც უკრაინის დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად 2 დეკემბერს სამდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა თბილისში.

თუ ბედნიერება არსებობს, ის უნდა იყოს აქ და ახლა, წერდა სკავაროდა; ეს თეზისი დღეს ძალიან აქტუალური ჩანს ჩვენი ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ უკეთესი მომავლის იმედით იცხოვრონ, - აღნიშნა გამოსვლის დასასრულს ბატონმა პოპოვიჩმა.

# პროფესიონალები ანდერგრაუნდში

## "ვერნისაჟი" ხუთი წლისაა

*ზემელზე, "ანდროპოვის ყურების" ქვეშ ჩასვლა, განსაკუთრებით საღამო ჟამს, ბევრი ვერაფერი სიამოვნებაა - ნახევრად ბნელა, "ხინკალცენტრის" მიდამოში უცნაური ჩრდილები დაბოდიალობენ... მიუხედავად ამისა, აქ მდებარე გალერეა "ვერნისაჟი", უკვე რამდენიმე წელია, თბილისელი საზოგადოების საყვარელ ადგილად იქცა, და ამის მოწმენი გუშინ კიდევ ერთხელ გავხდით.*

ანა კორძაია-სამადაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზის კედლებს თანამედროვე ქართველი მხატვრების უდავოდ საინტერესო ნამუშევრები ამშვენებდა, გალერეა "ვერნისაჟში" გუშინდელი სტუმრების მიბრძანების მიზანი მხოლოდ ნახატების დათვალიერება არ ყოფილა. შეკრებილი საზოგადოება - მხატვრები, გალერისტები, ხელოვნებათმცოდნეები და, უბრალოდ, კეთილის მსურველები - საზეიმოდ გამოწყობილ ქალბატონებს, ზაირა ბერელიძესა და ნათელა ნიკონოვას მათთვის და თავისთვისაც სასიხარულო თარიღს, გალერეის დაბადების დღეს ულოცავდა, ღვინოს წრუპავდა, ოქროსფერ ქიშმიშს გეახლებოდათ და, საერთოდ, ჩინებულად გრძნობდა თავს.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თემურ ჭორჭაძე და მარინა ივანიშვილი "ვერნისაჟში"

სტუმრების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა: მხატვრები - მერაბ აბრამიშვილი და ზაზა ბერძენიშვილი, გალერისტები - მაია ნოზაძე და არჩილ დარჩია, და სხვანი და სხვანი - ყველა, ვინც "ვერნისაჟის" დაარსების დღიდანვე მისი გულშემატკივარი და ხშირი სტუმარია.

თბილისში გალერეები საკმაოდ სიცოცხლისუნარიანნი არიან. ბოროტი ენები კი გაიძახიან, ხელოვნება ხალხს ნაკლებად აინტერესებს, თბილისელები ვერნისაჟებზე ერთმანეთის სანახავად დადიან, სხვა დროს დარბაზები ცარიელიაო, მაგრამ არა მგონია, გალერისტებს "ტუსოვკა" არჩენდეთ. როგორც ჩანს, ხელოვნება მაინც გვიყვარს. ამის დასტური ისიცაა, რომ "ვერნისაჟი", უკვე ხუთი წელია, არსებობს და - საკმაოდ წარმატებულადაც.

მისალოცი სიტყვა მხატვარმა გია ბუღაძემ წარმოთქვა - სადღესასწაულო ექსპოზიციას, სხვა მრავალი მხატვრის ნამუშევრებთან ერთად, მისი ტილოებიც ამშვენებდა. ბ-ნმა გიამ "დამხმარედ" გია მირზაშვილს მოუხმო, რომელსაც, ღვთის წინაშე, არაფერი უთქვამს, ალბათ იმიტომ, რომ გია ბუღაძემ საკმაოდ ამომწურავად დაახასიათა გალერეა და მისი დიასახლისები, და სხვას აღარავის არაფერი ეთქმოდა. მან ხაზგასმით აღნიშნა "ვერნისაჟის" ისტორიული და შემეცნებითი ხასიათის გამოფენები, ის ფაქტი, რომ მთელი არსებობის მანძილზე აქ უაზრო ან უაზროდ არაფერი გამოფენილა, რომ ყოველი გამოფენა კონცეპტუალურად კარგად გააზრებული იყო (როდესაც ბ-ნი გია გალერეის ღირსებების შესახებ ჰყვებოდა, დარბაზიდან კომენტარი გაისმა, - დღემდე ვერავინ გათვალაო).

ბოლოს გია ბუღაძემ "ვერნისაჟს" მიწისქვეშეთიდან ამოსვლა უსურვა, - აქაურობას ნუ დატოვებთ, მაგრამ სადმე დღის შუქზეც გამობრწყინდითო (დარბაზიდან კვლავ კომენტარი გაისმა, მისამართი მიუთითეს, რუსთაველის რომელიღაც ნომერი). მხატვარმა თავის სიტყვა მოკრძალებული იმედით დაასრულა, რომ, ალბათ, გალერეისთვის, სულ მცირე, ოცი წლისთავის მილოცვასაც შეძლებს. იმედია, ამ მოვლენას ჩვენც გავაშუქებთ - რატომაც არა?!

**P.S.** მრავალ მილოცვასა და კეთილ სურვილთან ერთად "ვერნისაჟმა" გუშინ ერთი უჩვეულო საჩუქარიც მიიღო: მობრძანდა შავი კატა, ფუმფულა, მოვლილი, ძალიან დელიკატური და ალერსიანი. არავის დაუპატიჟია, თვითონ მოვიდა და ყოველ სტუმარს ისე ეგებებოდა, თითქოს მთელი ორომტრიალი მისი მოვლინებით ყოფილიყო გამოწვეული. შესანიშნავი ფისოა. იმედია, ფეხბედნიერიც აღმოჩნდება.

## *კალენდარი*

### 4 დეკემბერი



ვარდი, როგორც სიყვარულისა და სილამაზის სიმბოლო, მისთვის სიკვდილის სიმბოლოდაც იქცა. ლეიკემიით დაავადებული რილკე საკუთარ ბაღში ვარდებს კრეფდა, თითში ეკალი შეერჭო, რაც 51 წლის პოეტის სიკვდილის მიზეზად იქცა. ირონიული, პარადოქსული – როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ, მაგრამ ფაქტია – რილკეს ხელით დაწერილი ეპიტაფიაც სწორედ ვარდს ეძღვნებოდა. მასში რკინიგზის ჩინოვნიკმა მამამ პოეტური ვერაფერი დაინახა და სამხედრო აკადემიაში სასწავლებლად გააგზავნა. მანამდე კი, დაღუპული ქალიშვილის გამო მგლოვიარე დედა ხუთი წლის რილკეს გოგოს ტანსაცმელს აცმევდა და სოფიოს ეძახდა... ასეთმა უცნაურმა ბავშვობამ პოეტის მომავალს სამუდამოდ დაატყო თავისი კვალი. მისი დებიუტი 1894 წელს შედგა. პირველ ნაწარმოებებს აშკარად ეტყობოდა ჰაინრიხ ჰაინეს გავლენა. შემდეგ იმოგზაურა რუსეთში, შეხვდა ტოლსტოის და ეს მისი პოეზიისთვის ახალი ეტაპის დასაწყისი აღმოჩნდა. ეწვია იტალიას, შვედეთს, საფრანგეთსაც, პარალელურად სულ წერდა და წერდა. მოგვიანებით კი თქვა: "ლექსი არ არის მხოლოდ ემოცია, ლექსი შთაბეჭდილებაცაა. თითოეული ახალი ლექსის დასაწერად, ნანახი უნდა გქონდეს ბევრი ქალაქი… უნდა იცნობდე ბევრ ადამიანს. უნდა ხედავდე ყვავილის თითოეულ მოძრაობას, როდესაც ის დილაობით იღვიძებს"…

დღეს **რაინერ მარია რილკეს** 127 წელი უსრულდება. ის 1875 წლის 4 დეკემბერს დაიბადა.

# როგორ იბრძოდა კაფკა მუშათა უფლებების დასაცავად

ქალაქ მარბახის შილერის ნაციონალური მუზეუმი 1903 წელს გაიხსნა. ისევე, როგორც ლიტერატურული არქივი, ის გერმანიის შილერის საზოგადოების საკუთრებაა. თავიდან მას მხოლოდ შილერის მუზეუმის და არქივის ფუნქცია ჰქონდა, მხოლოდ 50-იან წლებში იტვირთა მთელი გერმანული ლიტერატურის – კლასიკოსებიდან თანამედროვეებამდე – კვლევის ფუნქცია. მაშინვე დაარსდა გერმანიის საჯარო ლიტერატურული არქივიც. იქ დაცული მასალით სარგებლობა ყოველ მკვლევარს შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევებში მარბახის სტიპენდიებიც კი გაიცემა.

მარბახის ინსტიტუტს რთული და საინტერესო მისია აკისრია: ახალი გერმანული ლიტერატურის შეგროვება და კატალოგიზირება. მაგრამ ყველაზე საინტერესო ალბათ მაინც ისაა, რომ სამუშაოს ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ კვლევის შედეგებს ფართო საზოგადოება ეცნობა: ეწყობა გამოფენები, გამოიცემა კატალოგები, ქვეყნდება სამეცნიერო შრომები, და ყველაფერი ეს უკლებლივ ყოველი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

ლიტერატურული არქივი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: ხელნაწერთა განყოფილება, ბიბლიოთეკა და სურათების არქივი. ამ სამივე განყოფილების მრავალწლიანი ერთობლივი მუშაობის შედეგი გახლავთ ის უჩვეულო გამოფენა, რომელიც მარბახის ნაციონალურ მუზეუმში, 23 ნოემბერს, ჰუმბოლდტის დარბაზში გაიხსნა.

დარბაზში წარმოდგენილია ფრანც კაფკას "შემოქმედება" იმხანად, როცა ის პრაღაში, ბოჰემიის სამეფოს "მუშათა უბედური შემთხვევების დაზღვევის უწყებაში" მუშაობდა. გამოფენილია აქტები, რომლებიც მის საწერ მაგიდაში ინახებოდა, ცნობები ჩრდილოეთ ბოჰემიაში, მის "საკონტროლო რაიონში" მდებარე ფაბრიკების, დანადგარების და მუშათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად გატარებული ღონისძიებების შესახებ. აქ შეგვიძლია ვიხილოთ ველოსიპედზე შემომჯდარი კაფკა, კაფკა როგორც "უპოვარი მუშობისადმი" მიძღვნილი ნარკვევის ავტორი და მათი უფლებების დამცველი, ტყავის, ქსოვილებისა და სხვა საწარმოების დამთვალიერებელი. ამ გამოფენისთვის საგანგებო ჟურნალიც გამოიცა, 96 გვერდიანი, უხვად ილუსტრირებული – 6,15 ევროდ მისი შეძენა იქვე შეიძლება.

1950 წელს ფიშერმა ფრანც კაფკას 1910-1923 წლების დღიურები გამოსცა, და ექსპონატების ნაწილს სწორედ ამ წიგნიდან მოყვანილი ციტატები "განმარტავს".

11 დეკემბერს ჰანს ციშლერი და ჰანს-გერდ კოხი კაფკას მოყვარულთა საზოგადოებას თავიანთ ფილმს აჩვენებენ: "სტუმრად კაფკას დისწულთან". ამ სურათის გადასაღებად ისინი 1997 წელს ლონდონში ეწვივნენ კაფკას ნათესავს, მარიანა შტაინერს, და დოკუმენტური ფილმი "კაფკას უკანასკნელი თვითმხილველის" ნაამბობის მიხედვით "ააწყვეს". "როცა ის ლაპარაკობდა, კვლავ ჩამესმა წყაროსავით ანკარა პრაღული გერმანული", იხსენებს ჰანს ციშლერი.

გამოფენა 2003 წლის 16 თებერვლამდე გასტანს.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## შოლტით თევზაობა ხარიუსზე

როლანდ მალანია



"მშრალი" სატყუარით თევზაობის სქემა

რაღაც ჩოჩქოლმა გამაღვიძა. სამზარეულოში მეზობლის ქალები ქაქანებდნენ. ბიძაჩემი ტიტანის უზარმაზარ ქვაბში დასუფთავებულ იხვებს ამარილებდა. უმთავრესად კოკონა და კუდამახვილა იხვი დაგვეხოცა (შემდეგში გავიგე - ხარაზულა იხვი ჩრდილო განედის 60 გრადუსს იქით ვიოლ და უმთავრესად ზომიერ კლიმატში ბუდობს). ქალებს კიდევ ბევრი საქმე ჰქონდათ და გაცლა ვამჯობინე. ზურგჩანთაში ცოტაოდენი საგზალი, სამარქაფო სატყუარები და სხვა წვრილმანი სავინაობო ნივთები ჩავალაგე. სათევზაო ჯოხს მოვკიდე ხელი, ბიძაჩემის რუსული სპანიელი ჯილდა წინ დამისკუპდა და თვალებში შემომციცინა. მცირე კონსულტაციის შემდეგ ბიძაჩემი ძაღლთან მივიდა, რაღაც ანიშნა იქით, იქითო და გამოგვაცილა. სახლის პირველ სართულზე ლამპა კაფეში შევვიძღვა. კაფე ირმის რქებით და მშვენიერად შესრულებული ფიტულებით იყო გაფორმებული. ჯილდა გაცუხცუხდა, მიმტან გოგონას მიესალმა. გარჩემი ყველა ჯილდოს იურიევნათი მიმართავდა (ბიძაჩემს იური ჰქვია) და ეტყობოდა, პატივით სარგებლობდა.

კარგად დავპურდით. - რკინიგზას ძალიან არ დაშორდე და ჯილდა თვითონ დაგატარებს საინტერესო ადგილებსო, - და სადარბაზოში შებრუნდა ბიძაჩემი.

რკინიგზას ურალისაკენ შევუყევით. პარალელურად მდინარე მიგრიალებდა. ალაგ-ალაგ წყნარდებოდა. მშვიდ სარკეზე კარგად ჩანდა ხარიუსის ლამაზი პირუეტები. კიდევ ზევით ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ჯილდამ წაუკუსკუსა და ქვემოთ ჩასვლა მანიშნა. ბილიკზე ჩაირბინა და საცალფეხო ხიდით მდინარე გადაჭრა, ცოტა ზემოთ აუყვა, არყის ხეების ტევრი გავარღვიეთ და მშვენიერ ადგილს მივადექით. მდინარე ორ ვიწრო კლდეში გამოჰქუხდა, შემდგომ ფართოდ იშლებოდა და წყნარ ტბას ჰქმნიდა. ეტყობოდა ხარიუსი ვიწროსთან იყო მიჯარული და ზემოთ ასვლას ლამობდა.

"ნახლისტი" თევზაობის უმაღლესი პილოტაჟია (ცნობილ სლოვაკ ინჟინერ მილან კურნოციკს თევზაობის ამ მეთოდისათვის მშვენიერი გამოკვლევა აქვს მიძღვნილი, რომელიც 1990 წელს 75 000 ტირაჟით გამოიცა ბრატისლავაში რუსულ ენაზე და ყოფილ სსრკ-ში გაიყიდა. წიგნს "Энциклопедия нахлыста" ჰქვია).

აღნიშნულ მეთოდს ჯოხიც, კოჭიც, ძუაც განსაკუთრებული, სპეციალური სჭირდება და თევზაობის ელიტარულ ფორმად ითვლება. ვერ გეტყვით, რომ ჩემი სათევზაო მოწყობილობა სანიმუშო იყო, მაგრამ ცუდიც არ ეთქმოდა. თავიდან ძალიან გავწვალდი. შოლტით თევზაობა რთულია შეუჩვეველი ხელისათვის. ძუას ბოლოში მხოლოდ სამი მშრალი სატყუარა (კოღოს იმიტაცია, რომელიც არ იძირება, ე.წ. "მშრალი") ება, ჩანჩქერამდე ათი-თორმეტი მეტრი იქნებოდა და აშკარად ვერ ვუწვენდი ნატყორცნს. ჯილდამ წაუყეფა, წყალში შევიდა და მშვიდად მომაჩერდა. გამეცინა. "ბალოტნიკები" (ჭაობის ჩექმა) ბოლომდე ავიწიე, წყალში შევედი და ჩანჩქერს ლამის თავზე დავადექი. პირველი ტყორცნა ზუსტი გამოდგა, სარკეზე კარგად ჩანდა სატყუარები, რომლებიც დინებას ნელა მიჰქონდა. ჯილდა ბექზე იწვა და დაძაბული, სატყუარასაკენ იცქირებოდა. უცებ წამოიწია და შეჰყეფა, ინსტინქტურად ჯოხი ჩემკენ მოვზიდე და თევზის ღონიერმა როკვამ ელექტრონივით დამიარა სხეულში. ყველა ხერხი და ღონე იხმარა გასაქცევად, მაგრამ სიფთას რას გავუშვებდი... როგორც იქნა, ნაპირთან მივიყვანე. ჩოგანბადე არ მქონდა, მაგრამ ჯილდამ ზურგიდან მოუარა, ხარიუსი წინა ფეხებში მოიმწყვდია და ზედ დააწვა. მეც მივუსწარი. თევზი მეტალის წნულში ჩავსვი. ასე, 700 გრამი იქნებოდა, ზურგის ფრთა ძალიან მაღალი ჰქონდა, თითქმის კალმახისებრთა დამახასიათებელ გულსზედა მეჭეჭამდე მიდიოდა, ძალიან ლამაზი რამე იყო. დავაკვირდი: ჯილდას ყეფა წამით ასწრებდა თევზის დარტყამს და არც ერთხელ არ შემცდარა. ზოგიერთი ხარიუსი კილოგრამს აჭარბებდა, მათი გამოყვანა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და მალე გამართვეს სიქა.

საათს დავხედე, დიდი დრო გასულიყო. ავახვიე ანკესი, ზურგჩანთა ხეზე ჩამოვკიდე, რადგან მასში ლემინგები (პოლარული თაგვი) ყირაზე გადადიოდნენ და ტყისკენ გავემართე. ჯილდა წინ, 2-3 მეტრში მიმიძღოდა და გამუდმებით ილრინებოდა. თურმე იმ ადგილებში ყარყუმები სახლობდნენ და მათი სუნი აღიზიანებდა. ერთი მეც შევნიშნე, ჩვენს დედოფალას ჰგავს, ზაფხულში რუხია, ზამთარში უზადო თეთრი, ოღონდ კუდის ბოლოზე აქვს შავი ფხაჭი. ტყემდე ცოტა იყო დარჩენილი. კარგა მოზრდილი "ბელიაკი" (პოლარული კურდღელი) წამოგვიხტა, ერთი ოც მეტრში ხის კუნძზე შეხტა, უკანა თათებზე წამოიმართა და თვალებდაჭყეტილი მოგვაშტერდა. ჯილდას არც მიუხედავს მისკენ, რაღაცას დაუფაცურდა და კუდი ვერცხლის წყალივით ააცეკვა. რამდენჯერმე მომხედა, ჩემს პოზიციას ამოწმებდა და უეცრად სპანიელისათვის ფრიად უცნაური თვისება - ნაბული დააფიქსირა. ლამის თავზე დავადექი, ბალახებს ჩავაკვირდი. ვერაფერი შევნიშნე. იდგა ლამაზად ფეხაკეცილი, სიმივით გაჭიმული და მელოდა. არ ვიცოდი, რა ბრძანება გამეცა და ჩვეულებისამებრ - ეცი-თქო - შევძახე! საოცარი ის იყო, რომ ჯილდამ ერთდროულად სამ მხარეს მოახდინა სწრაფი შეტევა და პოლარული გნოლის ოჯახი წამოაგდო. დედა ახლოსვე ჩაფრინდა ბალახში, ბარტყები უკვე ზრდასრულები იყვნენ და საკმაოდ შორს, ტყის პირას გადაფრინდნენ. ჯილდა თავისი ნამოქმედარით კმაყოფილი, გვერდით მომისკუპდა და მერწმუნეთ, მიცინოდა. მუხლებზე დავიჩოქე და გულში ჩავიხუტე ადამიანის უძველესი და ულალატო მეგობარი. მოხიბლული ვიყავი ჯილდას გონიერებით და წინდაწინ ვტკბებოდი მასთან ნადირობით განცდილი მოსალოდნელი სიამოვნებით.

უკან იმავე გზით დავბრუნდით. მზე ჰორიზონტს უახლოვდებოდა.



# გლუვლულიანი სანადირო თოფიდან სროლის თავისებურებანი

თეიმურაზ ლომინაძე



ნადირობისას არაერთხელ მინახავს: მონადირის წინ აფრენილი მწყერი გაშლილ მინდორში სწორხაზოვნად მიფრინავს. მონადირე მოუხეშავი, უხერხული მოძრაობით მიიდებს თოფს მხარზე და იწყება ხანგრძლივი დამიზნება. წამი საუკუნედ იქცევა და როცა, ბოლოს და ბოლოს, თოფი გავარდება, მწყერი კარგა ხნის გასულია სამშვიდობოს.

გასროლა ნადირობის დამაგვირგვინებელი ფაზაა და მისი შედეგი მთლიანად ამ ელემენტის ფლობის ხარისხზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, კარგი მსროლელი ხომ მონადირეთა წრეში დიდად ფასობს და საყოველთაო პატივისცემას იმსახურებს.

რაოდენ საჩოთიროც არ უნდა იყოს ამაზე საუბარი, ფაქტია, რომ მონადირეთა უმრავლესობა არ გამოირჩევა მოძრავ სამიზნეზე სროლის მაღალი კლასით. ისინი ვერც ნასროლის ბალისტიკის ცოდნით მოიწონებენ თავს. ეს მონადირეთა საერთო სენია და ამის შედეგია ხშირი აცდენები. კარგი გასროლისათვის მხოლოდ სროლის ტექნიკის სრულფასოვანი ფლობა არ არის საკმარისი. კარგი მსროლელი, ჩუბინი, "შეზრდილი" უნდა იყოს იარაღთან, თოფს საკუთარი სხეულის ნაწილად აღიქვამდეს და მარტოოდენ თვალით კი არ ხედავდეს, არამედ "გრძნობდეს" კიდეც სამიზნეს.

გამიგონია, როგორ მოძღვრავდა ახალბედას გამოცდილი მონადირე: "ბიჭო, კარგად დაუმიზნე და ისე ესროლეო". სრულიად გაუგებარია, როგორ უნდა დაუმიზნო და ისიც კარგად, წამში 70 მ სიჩქარით გაფრენილ პატარა იხვინჯას ან აცდენილი ნასროლით დამფრთხალ კაკაბს, რომლებიც მეტეორივით გადახაზავენ ცას და ელვის უსწრაფესად გაქრებიან თვალსაწიერიდან. "კარგად" დამიზნება მხოლოდ უძრავ სამიზნეზე, წყალზე მჯდომ იხვზე ან ხეზე შემომჯდარ ქედანზე შეიძლება. მოძრავ სამიზნეზე კი მყისიერი, იმპულსური სროლაა საჭირო, რადგან ფრინველი ხშირად "დაუპატიჟებლად", დიდი სიჩქარითა და ხმაურით ამოფრთხიალდება ბალახიდან ან ხშირი ბუჩქნარიდან და ჰაერში ისეთი თავბრუდამხვევი პირუეტები გამოჰყავს, რომ ადრენალინმომატებული მონადირის წყვილი გასროლა ხშირად ცარიელი სივრცისკენ რჩება მიმართული.

სროლის ყველაზე რაციონალური ტექნიკა, რომელიც მოძრავი სამიზნის დაზიანების თითქმის უტყუარ გარანტიას იძლევა, არის **ერთი მოძრაობით** სროლა. ასეთი სროლისათვის, პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იდეალურად მორგებული თოფია საჭირო, შემდეგ კი მდგომარეობის თვალის უსწრაფესად შეფასების უნარი, ელვისებური რეაქცია, მტკიცე ნერვები და ამ ტექნიკის ავტომატიზმამდე მიყვანილი ფლობა. ცუდი მსროლელისათვის მიუწვდომელ ოცნებად რჩება წამის უმცირეს მონაკვეთში მოულოდნელად გამოჩენილი და თვალთახედვიდან ასევე უმალ გამქრალი ფრინველის ჩამოგდება. როცა გამოცდილი მონადირის სროლას უყურებ, ასე გგონია, ალალბედზე, დაუმიზნებლად ისვრისო, სინამდვილეში კი ყველაფერი: ფრინველის ფრენის ხასიათისა და სიჩქარის აღქმა, თოფის მხარზე მოგდება, დამიზნება და სროლა, ერთი თვალშეუვლები მოძრაობით სრულდება და ძალზე ეფექტური სანახავია.

ხსენებული ტექნიკის ათვისება თოფის მხარზე სწორად მოგდების შესწავლით იწყება. თავდაპირველად მსროლელმა უნდა აღიქვას ფრინველის ფრენის ხასიათი, მიმართულება და სიჩქარე. დანარჩენი წამიერად ხდება. თოფი, რომელიც საწყის პოზიციაში, წელთან ან ოდნავ მაღლა უჭირავს, ფრინველის ფრენის მიმართულებით კორპუსის მიბრუნებასთან ერთად უნდა მოიგდოს მხარზე, ლულებით გაიმეოროს ფრინველის ფრენის ტრაექტორია, გაუსწროს მას საჭირო **წინსწრებით** და კონდახის მხართან შეხებისთანავე, თოფის მოძრაობის შეუჩერებლად გამოკრას თითი სასხლეტს.

თუ ამ მოძრაობას დროში გავშლით და კინოკადრებივით თანმიმდევრობით განვიხილავთ, ასეთ სურათს მივიღებთ: მონადირე თოფით ხელში საწყის პოზიციაში დგას. ფრინველი ამოფრინდება ბალახიდან და იწყებს სივრცეში გარკვეული მიმართულებით გადაადგილებას. ამავე დროს, ფრინველის აფრენისთან ერთად, მონადირის მიერ ხდება ფრენის მიმართულებისა და სიჩქარის აღქმა და პარალელურად იწყება კორპუსისა და თოფის ერთდროული მოძრაობა ამ მიმართულებით. თოფი ხელების მოძრაობით ადის მხარზე, ხოლო კორპუსით მიყვება ფრინველს და იმ მომენტისათვის, როცა იგი კონდახის ბოლოთი მხარს, ხოლო ზურგით ლოყას შეეხება, საჭირო წინსწრება აღებულია და თოფის ლულების გაუჩერებლად - გასროლაც უნდა მოხდეს.

ხელების ფუნქცია ამ დროს მხოლოდ თოფის სწორად დაჭერით და მისი მხარზე მოგდების მიმართულება. ძირითადი მოძრაობა კი მსროლელის კორპუსის ბრუნით სრულდება. თუ წარმოვიდგენთ ასეთ ერთიან სისტემას: მსროლელი - თოფი, რომელშიც ხელები მხოლოდ თოფის დაჭერის ფუნქციას ასრულებენ, მაშინ ადვილად ჩავწვდებით იმ მოძრაობის არსს, რომელსაც ეს სისტემა სროლის დროს ასრულებს.

ამ ერთიანი სისტემის მოძრაობას წარმართავს მსროლელის თვალი. იგი აღიქვამს და მიჰყვება მიზანს, უსწრებს საჭირო დაშორებით და სროლის მომენტში მიმართულია არა სამიზნისაკენ, არამედ იმ წერტილში, სადაც საფანტის კონა სამიზნეს უნდა შეეჯახოს. ამ დაშორების (წინსწრების) ასე ხელდახელ გამოანგარიშება წარმოუდგენელია. მისი სწორი გათვლა უფრო გრძნობაზე დამყარებული ჩვევაა, რაც მხოლოდ ხანგრძლივი და დაკვირვებული პრაქტიკის წყალობით გამომუშავდება.

გამოცდილი მსროლელები აღნიშნავენ, რომ სროლის მომენტში ისინი ხედავენ მხოლოდ სამიზნეს და არა ლულებს. მართლაც, ასეთი ზესწრაფი მოქმედების დროს შეუძლებელია ლულებისა და სამიზნის ერთდროული გაკონტროლება. აი, სად ჩანს თოფის ზედმიწევნით მორგების აუცილებლობა.

ჩვენ მიერ განხილულ სროლის ტექნიკას, რომელიც მსროლელისაგან ელვისებურ რეაქციას, ზუსტ თვლასა და მოძრაობის დახვეწილ კოორდინაციას მოითხოვს, ერთი ასეთი, თითქოს უმნიშვნელო ნიუანსიც ახლავს: მონადირე უნდა გრძნობდეს ფრინველის ჰაერში გადაადგილების სიჩქარეს და სროლაც ამ ტემპზე ააწყოს.

ზემოთ აღწერილის გარდა, სროლის კიდევ რამდენიმე წესი არსებობს. სანადირო ლიტერატურაში ისინი დაწვრილებითაა განხილული. ამ ლიტერატურის მოძიება და გაცნობა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, როგორც შედეგიანობით, ისე სანახაობრივად, **ერთი მოძრაობით** სროლას ვერც ერთი სხვა წესი ვერ შეედრება. ჩვენი ნათქვამის დასადასტურებლად წარსულში გამოჩენილი რუსი მესტენდურის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის, დიდებული მონადირის ოლეგ ლოსევის სიტყვებს მოვიყვან: "ყველა მსროლელი, რომლებიც დამიზნების დროს "ითვლიან" წინსწრების საჭირო სანტიმეტრებს, აუცილებლად აცდენენ მიზანს, რადგან ასეთი "გამოთვლა" სასხლეტზე თითის დაჭერის მომენტში ლულების მოძრაობის სიჩქარის შენელებას იწვევს, შედეგი კი ერთია: საფანტის კონა ყოველთვის უკან გაუვლის სამიზნეს".

ჩვენც უპირატესობას ერთი მოძრაობით სროლას ვანიჭებთ. ვინც ამ ტექნიკას სრულყოფილად ფლობს, მისთვის ხეებს უკან წამიერად გამოჩენილი ვალდშნეპის ჩამოგდება ჩვეულებრივი ამბავია. ეს ტექნიკა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მსროლელს სამიზნის არა მხოლოდ თვალით, არამედ გრძნობით "დანახვასაც" აჩვევს. სწორედ ეს არის ყველასათვის საოცნებო **სროლის მაღალი კლასი.**

რომელ ჩვენგანს შეუძლია დაიტრაბახოს, რომ იგი თავიდანვე ორივე ღია თვალით ესროდა მიზანს? პირადად მე საკმაო დრო და ძალისხმევა დავხარჯე, ვიდრე ორივე ღია თვალით სროლას მივეჩვეოდი. ასეთი წესით სროლა კი დიდ უპირატესობას ანიჭებს მონადირეს, რადგან ამ დროს ორჯერ იზრდება მხედველობის არე და უფრო ნათლად ჩანს სამიზნე.

ნადირობისას აცდენისგან არავინაა დაზღვეული. მეც ბევრი ამიცდენია და მინახავს, როგორ აცდენენ ყველაზე მარტივ სამიზნეს გამოცდილი ოსტატები. ერთი ძველი მონადირისაგან გამიგონია, ნადირობის ეშხი აცდენაშიაო. აცდენაც არის და აცდენაც. როცა გამოცდილი მსროლელი ააცდენს, მას მდგომარეობის გამოსასწორებლად მეორე ლულა აქვს მარაგში. სულ სხვა საქმეა ისეთი მონადირე, ვისთვისაც აცდენა გარკვეულ კანონზომიერებად ქცეულა. ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ერთ მოკლულ ფრინველზე საშუალოდ შვიდი-რვა აცდენილი ნასროლი მოდის. მათ რიცხვში იგულისხმება ფრთის ბოლოში საფანტწაკრული, შორს ჩამოვარდნილი და დაკარგული უამრავი ფრინველიც. ამ სავალალო სტატისტიკას ახალბედა მონადირეთაგან სროლის ელემენტარული წესების უგულებელყოფა განაპირობებს.

აცდენის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი არის ისევ და ისევ სამიზნესა და დამიზნების სავარაუდო წერტილს შორის დაშორების არასწორი გათვლა. ნასროლი საფანტის მიზნამდე მიღწევას გარკვეული დრო სჭირდება. ამ დროში მოძრავი სამიზნეც გარკვეულ მანძილზე გადაადგილდება. ამიტომ საფანტის კონა სამიზნის წინ, იმ სავარაუდო წერტილში უნდა გაიგზავნოს, სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდებიან. ამ დაშორების (წინსწრების) სიდიდე სროლის მანძილსა და მოძრავი სამიზნის სიჩქარეზეა დამოკიდებული.





აცდენის კიდევ ერთი მიზეზი, ახალბედა მონადირეებში საკმაოდ გავრცელებული, სროლის მომენტში თოფის მოძრაობის შეჩერება გახლავთ. მსროლელმა ლულებით უნდა გაუსწროს სამიზნეს და თოფის მოძრაობის გაუჩერებლად გამოკრას სასხლეტს თითი. წინააღმდეგ შემთხვევაში საფანტი სამიზნის უკან გაივლის და აცდენა გარდაუვალია.

ზოგ მონადირეს ჰგონია, რაც უფრო მსხვილ საფანტს გამოიყენებს, მით უფრო მეტი იქნება ფრინველის ჩამოგდების ალბათობა. ერთი მარცვალიც რომ მოხვდეს, ჩამოაგდებსო, - ასე ასაბუთებენ ისინი თავიანთ მოსაზრებას. სინამდვილეში კი სრულიად საწინააღმდეგო რამ ხდება.

ერთსა და იმავე წონის მუხტში მსხვილი საფანტის უფრო ნაკლები რაოდენობის მარცვლები თავსდება, ვიდრე წვრილისა, მაგალითად: 35 გრამი №5 საფანტი 217 მარცვალს შეიცავს, №7 - 364-ს, ხოლო №9 - 490 მარცვალს. აქედან გამომდინარე, ერთნაირ მანძილზე, ვთქვათ 40 მეტრზე წარმოქმნილ საფანტის გაშლის წრეში წვრილი საფანტის უფრო მეტი მარცვლები აღმოჩნდება, ვიდრე მსხვილისა. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ფრინველის საიმედო დაზიანებისათვის მას უნდა მოხვდეს 4-5 შესაბამისი ზომის საფანტი, ხოლო მოხვედრის მომენტში საფანტის მინიმალური სიჩქარე უნდა იყოს 150 მ/წმ. №7 საფანტი, თუ მას საწყისი სიჩქარე 400 მ/წმ ექნება, 150 მ/წმ სიჩქარეს 50 მეტრამდე მანძილზე ინარჩუნებს. ამრიგად, ერთსა და იმავე ფრინველს, მისი საიმედო დაზიანებისათვის საჭირო მინიმალური სიჩქარით, 50 მეტრამდე მანძილზე, №7 საფანტის გაცილებით მეტი მარცვლები მოხვდება, ვიდრე №5-ისა. ცნობილია აგრეთვე, რომ დიდი რაოდენობის საფანტის ერთდროული მოხვედრა იწვევს ნერვულ შოკს და უცაბედ სიკვდილს. ასე რომ, 40-45 მეტრ მანძილზეც კი №7 საფანტის უპირატესობა მსხვილ საფანტთან შედარებით აშკარაა. სექტემბერში, ჯავახეთის ჭაობებში დუპელზე ნადირობისას ხშირად ამფრენია იხვი, მთელი გუნდებიც კი და ე.წ. "სადუპელე" №9 საფანტით ჩამომიყრია ისინი. ამასვე ადასტურებს სპორტული სროლის ოსტატ მონადირეთა პრაქტიკაც.

მსხვილ საფანტს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს, მოცემულ მანძილზე მსხვილი საფანტი უფრო დიდ ფართობზე იშლება, მის მარცვლებს შორის დაშორება იზრდება, ანუ ჩნდება დიდი სიმეჩხრე, რაც თავისთავად აცდენის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს, რადგან წარმოქმნილ სიმეჩხრეში, დიდ მანძილზე სროლის შემთხვევაში, ფრინველი შეიძლება თავისუფლად გაძვრეს.

და ბოლოს, აცდენის კიდევ ერთ მიზეზად გაუმართლებლად შორ მანძილებზე სროლა უნდა ჩაითვალოს. ზოგ მონადირეს არასწორად აქვს განვითარებული დისტანციის გრძნობა, ზოგს მცდარი წარმოდგენა აქვს საფანტის მოქმედების მანძილზე, ზოგიერთს კი ისევ და ისევ მსხვილი საფანტის იმედი აქვს და მინახავს, თუ როგორ ესვრიან ასეთი მონადირეები 80-90 მეტრზე ცადაკრულ იხვებს. ასეთ შემთხვევაში შედეგი მხოლოდ ერთია: აცდენა. ან კიდევ უარესი, მსუბუქად დაჭრილი ფრინველი შორს მიდის, მონადირეს თვალთახედვიდან ეკარგება და საბოლოოდ ძალაგამოცლილი, მტაცებლის ლუკმა ხდება.

დაკვირვებული პრაქტიკის წყალობით მონადირეს ერთი, მეტად საჭირო ჩვევა გამოუმუშავდება: იგი თოფის გავარდნისთანავე გრძნობს, მოხვდება თუ არა ნასროლი მიზანს, ან რომელ მხარეს გაუვლის აცდენილი საფანტი და თავის შემდგომ მოქმედებას ამის მიხედვით წარმართავს. ამ შემთხვევაში გამოცდილი მსროლელები ასეთ რჩევას იძლევიან: პირველი გასროლის შემდეგ, აცდენის შემთხვევაში, არამც და არამც არ შეცვალოთ მხარზე მოგდებული თოფის მდგომარეობა, არ ასწიოთ თავი შედეგის უკეთ დასანახად. ეს ჩვევა პირველი აცდენის შემთხვევაში საშუალებას იძლევა, ხელახალი დამიზნებისათვის, დროისა და მანძილის დაუკარგავად, სწრაფად მოვახდინოთ მიზნის საჭირო კორექტირება და ხელმეორედ ვისროლოთ თოფი.

და კიდევ ერთი - დუბლეტი. წყვილი გასროლით ჩამოგდებული წყვილი მწყერი თუ კაკაბი, აი, მართლა უმაღლესი დონის ოსტატობა, რაც სიამაყისა და აღუწერელი სიამოვნების გრძნობით აღავსებს მონადირეს, განსაკუთრებით ახალბედას. დუბლეტი პირველ ფრინველზე უკვე ცნობილი ხერხით შესრულებული პირველი გასროლით იწყება და თუ იგი შედეგიანი აღმოჩნდება, მხარზე თოფის მდგომარეობის შეუცვლელად, ისე როგორც განმეორებითი სროლის დროს, უნდა გადაიტანოთ ლულები მეორე ფრინველის ფრენის მიმართულებით და ისე მოვიქცეთ, როგორც პირველი გასროლისას.

ცხადია, სროლის ტექნიკის ათვისება ძნელი და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ "ჩიტი ბდღნად ღირს". საბოლოო შედეგი კი ყველასათვის ნათელია: აცდენების უმნიშვნელო რიცხვი, მინიმუმამდე დაყვანილი დაჭრილ-დაკარგული ნადირ-ფრინველის რაოდენობა და კმაყოფილების გრძნობა, რასაც კარგად შესრულებული საქმის შედეგი ანიჭებს ოსტატს.

# ალგიოლის ტბის ბატები

*ბავშვობიდან მოყოლებული, აგერ უკვე ორმოცდაათი წელია, ვნადირობ. ეს საქმე ჩემთვის უბრალო გატაცებაზე მეტია, ცხოვრების წესია, რისთვისაც არასოდეს მიღალატია. არაფერს მოუნიჭებია და ვერც მომანიჭებს ისეთ ბედნიერებას და სულიერ სიმშვიდეს, ნადირობისას რომ მიგრძვნია. ცხოვრებაში ამის გამო ბევრი რამ დავთმე და დღესაც არ ვნანობ, იმდენი დაუვიწყარი წამი მაქვს თოფით ხელში განცდილი. მე და ჩემს მეგობრებს კავკასიის ბევრი კუთხე მოგვივლია. მრავალი საინტერესო ამბავიც გადაგვხდენია. ზოგი რამ მავანს წარმოუდგენლადაც მოეჩვენება. დღევანდელი მდგომარეობა სულ სხვაა. თანამედროვე მონადირისთვის მიუწვდომელია აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის მდიდარი სავარგულები. მე კი გასული წლების გახსენებისას ნოსტალგია მეძალება. ნაწილობრივ ამან და ნაწილობრივ სხვებისთვის მოგონებების გაზიარების სურვილმა გადამაწყვეტინა, ჩემი საკმაოდ მდიდარი სანადირო ბიოგრაფიიდან საინტერესო ეპიზოდები გამეხსენებინა.*

ომარ ნუკრაძე



1982 წლის თებერვალში, ჩემმა მეგობრებმა, გამოცდილმა და საკმაოდ ცნობილმა მონადირეებმა - რეზო ჭკუასელმა, რეზო შეკილაძემ და მე გადავწყვიტეთ, აზერბაიჯანში იმწლევანდელი ბოლო გასვლა იხვზე ნადირობისთვის დაგვეთმო. იმ დროს მეზობელ რესპუბლიკაში სეზონი შედარებით ადრე, 15 თებერვალს იხურებოდა. დღეს ახალგაზრდა მონადირეებს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოთ, მაგრამ საბჭოთა კავშირის დროს ნადირფრინველით სავსე აზერბაიჯანში სანადიროდ გადასვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ხშირადაც დავდიოდით, ძირითადად გარეულ ღორზე და წყალმცურავ ფრინველზე სანადიროდ. ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, წავსულიყავით ალჯიბედის რაიონში, სადაც მილიციის უფროსი რეზო ჭკუასელის ახლო მეგობარი, სახელად ვასიბი გახლდათ.

15 თებერვალს შუაღამისას ჩემი ჟიგულით გავედით თბილისიდან და დილის რვა საათზე უკვე ალჯიბედის მილიციის რაიონული განყოფილების ეზოში ვიმყოფებოდით. ჩვენმა მასპინძელმა დიდი სიხარულით მიგვიღო. ურთიერთმოკითხვის შემდეგ რეზომ გაუმხილა სტუმრობის მიზეზი. მიუხედავად ჩვენი დაჟინებული თხოვნისა, არ დაგვეკარგა ძვირფასი დრო, დაახლოებით ცხრა საათისთვის მაინც აღმოვჩნდით რაიონული ცენტრის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, იმ დღეს ნადირობის იმედი აღარ უნდა გვქონოდა. ვასიბმა სადღაც გადარეკა, თან გვაიმედებდა, რომ სწორედ სუფრაზე გადაწყდებოდა ჩვენი ნადირობის ბედი. ქართველები მნიშვნელოვან საკითხებს სუფრასთან წყვეტთო, გვეუბნებოდა და, მეც თქვენებურად მოვიქცევიო. მაშინ წარმოდგენაც არ გვქონდა, თუ რა სიურპრიზი გველოდა წინ. მცირე ხანში ორი ახალგაზრდა კაცი შემოგვიერთდა. მასპინძელმა გაგვაცნო შემოსწრებულნი. მათგან ერთმა, სახელად საბირმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, რადგან გარეგნობით ძლიერ ჰგავდა ქართველს. გამოირკვა, რომ ბაქოელი იყო და დედა ჰყავდა კიკნაძე, ქართულადაც გამართულად საუბრობდა. იგი აღმოჩნდა ამ რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ალგიოლის ტბის მეურნეობის დირექტორი. ჩვენმა მასპინძელმა საბირს სთხოვა, გამონაკლისის სახით ტბაზე ჩვენთვის ერთი კარგი ნადირობა მოეწყო, რაზეც უყოყმანო დასტური მიიღო. ალგიოლზე და მის შემოგარენში, არხებზე, ბევრჯერ გვინადირია, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარი ეხებოდა მკაცრად დაცული ტბის აღმოსავლეთ მხარეს.

ალგიოლის ტბას დიდი ფართობი უკავია, ალჯიბედსა და მტკვარს შორის კილომეტრების მანძილზეა გადაჭიმული. იგი ხელოვნურადაა დაგუბებული მტკვრიდან და არაქსიდან შემომავალი არხებით. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი და გაუვალი ლაქაშითაა დაფარული. სიღრმეში რამდენიმე კუნძულია, სადაც მრავლად ბინადრობს გარეული ღორი. ტბა მდიდარია მრავალნაირი თევზით. დასავლეთ ნაპირზე განლაგებულია სარეწი, სადაც დიდძალ თევზს იჭერდნენ. რაც მთავარია, ზამთარში ალგიოლზე თავს იყრის სხვადასხვა ჯურის უამრავი წყალმცურავი ფრინველი. ამის გამო ეს მეურნეობა საკავშირო დაქვემდებარებისა იყო და მოსკოვის რომელიღაც კვლევით ინსტიტუტს ეკუთვნოდა. აქ ორნიტოლოგები მასიურ დარგოლვებს აწარმოებდნენ, რისთვისაც ტბის სიღრმეში დაგებული იყო უამრავი ბადე. ამჟამად გვეძლეოდა შესანიშნავი შანსი, გვენადირა მოზამთრე ფრინველის ძირითადი თავმოყრის ადგილზე, ფრინველთა (ჩიტების) ბაზარს რომ ეძახიან.

ნაშუადღევს დავემშვიდობეთ ვასიბს და ახალი ნაცნობების თანხლებით გავუდექით გზას. დაახლოებით ორმოც წუთში ალგიოლსაც მივაღწიეთ აღმოსავლეთის მხრიდან. ზედ ნაპირზე ეგერების საცხოვრებელი ვაგონები იდგა. იქ ჩვენი ნაცნობი ეგერები დაგვხვდნენ, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვი, ტბის შემოგარენში ადრეც გვინადირია. მეურნეობის დირექტორმა ჩვენი თავი მათ ჩააბარა, კარგი ნადირობა გვისურვა და დაგვემშვიდობა. რადგან ზამთრის დღე მოკლეა, ამიტომ წუთიც აღარ დაგვიკარგავს, უცბად გავემზადეთ და ვაზნების დიდი მარაგით ზუსტად სამ საათზე ტბაში შევედით. მზიანი და საკმაოდ სუსხიანი ამინდი იდგა. ჩალიანი მასივები ენაცვლებოდა წყლის სუფთა, მოსარკულ ზედაპირს, რომელიც ალაგ-ალაგ ყინულის თხელი ფენით იყო დაფარული. მაღალყელიანი ჩექმები გვეცვა. წყალი ღრმა არ იყო, ამიტომ სიღრმეში შესვლის საშუალება გვეძლეოდა. რეზო შეკილაძე ნაპირს დაუყვა, რეზო ჭკუასელმა და მე კი ტბის შუაგულისკენ ავიღეთ გეზი. მართალია, წყალი მხოლოდ მუხლამდე გვწვდებოდა, მაგრამ თიხნარ ფსკერზე ფეხი გვეწებებოდა და წინ ნელა მივიწევდით. ჯერ კიდევ ნაპირზე გვესმოდა უჩვეულო გნიასი ტბის შუაგულიდან, ხოლო რაც უფრო სიღრმეში შევდიოდით, მით ვრწმუნდებოდით, რომ რაღაც არაჩვეულებრივ სამყაროში, წყალმცურავი ფრინველების ზღაპრულ სამფლობელოში მოვხვდით. ჰაერში უამრავი სხვადასხვანაირი ბატი, გედი, იხვი და ვინ მოთვლის, რა აღარა, იქით-აქეთ ირეოდა. განსაკუთრებით მაჯადოებდა ბატის, მონადირისთვის სანუკვარი ნადავლის სიმრავლე. ტბაში დაახლოებით კილომეტრით შევიჭერით. ფრინველის ხმა იქაურობას ისე აყრუებდა, ას ნაბიჯზე კაცს ვერაფერს გააგონებდი. რეზომ ადგილი ამოირჩია და ჩასაფრდა. მე გზა განვაგრძე, თან გუნდების გადაადგილებას ვაკვირდებოდი. მინდოდა ზუსტად დამედგინა ფრინველის ინტენსიური მოძრაობის ტრასა, რათა საფარისთვის მოხერხებული ალაგი მიმეგნო. ფეხის ხმაზე ჩალიანიდან ბევრი ბატი და იხვი ფრინდებოდა. შემეძლო საკმაო რაოდენობით დამეხოცა, მაგრამ წინასწარ რომ არ დამეფრთხო, სანამ მონიშნულ ადგილამდე მივაღწევდი, შეგნებულად არ ვესროდი. გზად ვიწრო და გრძელ კუნძულზე გავედი. ორასიოდე მეტრში, კუნძულის ნაპირიდან ოც-ოცდახუთ ნაბიჯზე ხშირი და მაღალი ლაქაშის პატარა კორომს მივადექი. წინ, დიდ ფართობზე, გადაჭიმული იყო ტბის სუფთა ზედაპირი. სწორედ ეს ადგილი შევიგულე შორიდან ხელსაყრელ საფრად, სადამდე მიღწევასაც არანაკლებ საათი მოვანდომე. სახელდახელოდ მოვამტვრიე ლაქაშის ღეროებს ზედა ბოლოები ჩემს გარშემო, რაც თვალსაწიერს მიზღუდავდა და თოფით მანევრირებაში ხელს მიშლიდა. ამორჩეულმა ადგილმა რომ გამიმართლა, ამაში სულ მალე დავრწმუნდი, როდესაც ფრინველმა კვლავინდებურ რიტმში განაახლა ჩემს თავზემოთ მოძრაობა სულ რაღაც 15-20 მეტრის სიმაღლეზე. დღისით მზიან, მოწმენდილ ამინდში ფრინველი ძალიან მაღლა მოძრაობს და მხოლოდ არეულ და ნისლიან ამინდში იწევს დაბლა. თუმცა იმ დღეს ბედი ბოლომდე გვიღიმოდა, რადგან, რატომღაც, ეს წესი დაირღვა. ენით აუწერელია ის შთაბეჭდილება, რასაც განიცდი, როცა შენს ირგვლივ, ასე ახლოს, ამდენი ფრინველი ტრიალებს. ბატისა და იხვის გუნდები ყველა მხრიდან მაფრინდებოდა. ხანგრძლივი სანადირო პრაქტიკის მანძილზე წყალმცურავი ფრინველის ასეთი რაოდენობა სატელევიზიო გადაცემა "ცხოველთა სამყაროში" თუ მინახავს. ნადირობას რომ შევუდექი, დაბინდებამდე ორიოდე საათი იყო დარჩენილი. ხელთ ჩემი განუყრელი და ათასგან გამოცდილი "იჟ-ორმოცდათოთხმეტი" მეპყრა. ბატებიდან ვარჩევდი მხოლოდ რუხს, როგორც ყველაზე მსხვილს, რომლის წონაც ხუთ კილომდე აღწევს. შიგადაშიგ ვესროდი მსხვილ იხვსაც. ჩამოგდებული ფრინველი ხმაურით ამტვრევდა ყინულს ან ინერციით ზედ მისრიალებდა. მოკლედ, ლულები მაგრად გავახურე. სროლით გართულს ბინდი შეუმჩნევლად წამომეპარა. ნაპირზე დაბრუნება დროულად უნდა მომესწრო. თუმცაღა ფრინველი კვლავინდებურად კარგად მოძრაობდა, იძულებული გავხდი, ნადირობისთვის თავი დამენებებინა. შევუდექი ირგვლივ მიმოფანტული ნანადირევის კუნძულზე გამოტანას. წყალი მუხლზემოთ მწვდებოდა, ამიტომ ეს საქმე არ გამჭირვებია. ფრინველი რომ მოვაგროვე, მხოლოდ მაშინ დავითვალე - სულ რაღაც საათნახევარში მომიკლავს ორმოცდაცხრამეტი ბატი და თვრამეტი გარეული იხვი. წარმატებული დუბლეტების რაოდენობას ვითვლიდი და ზუსტად მახსოვს, თოთხმეტამდე ავედი. ერთ ჯერზე ამხელა ტვირთის გამოტანა წარმოუდგენელი იყო. რეზოს შეეძლო მომხმარებოდა, მაგრამ თავისი ნანადირევიც ხომ საკმაოდ ექნებოდა. მოკლედ, კარგა დაღამებული იყო, როცა წინასწარ წამოღებული თოკის მარყუჟების მეშვეობით, წყალზე გაცურებით, რეზომ და მე, ჩვენი საერთო ნანადირევიდან მხოლოდ ოცდაორი ბატი და ოცდახუთამდე იხვი რის ვაივაგლახით გამოვიტანეთ ნაპირზე. იქ უკვე გველოდა ეგერი ეტლიანი მოტოციკლით, თან ელექტროფარნით სიგნალს გვაძლევდა, ორიენტაციას გვიადვილებდა. მეორე რეზოს ბატი არ შეხვედროდა და მხოლოდ იხვი დაეხოცა. კარგად მოშიებულებს აზერბაიჯანელებმა ახალდაკლული ბატკანი დაგვახვედრეს. ეგერებს კარგად მივანიშნე ის კუნძული, სადაც ნანადირევის ნაწილი დარჩა და ახლა მათ განკარგულებაში ვტოვებდით. იმაზე მეტს, რაც ჩვენ გამოვიტანეთ, ჟიგულით მაინც ვერ წამოვიღებდით. ის ღამე ვაგონში გავათიეთ და დილაადრიან წინა დღის შთაბეჭდილებებით აღსავსენი დავადექით სახლის გზას. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა, მაგრამ ამ საოცარ ნადირობას ემოციის გარეშე დღესაც ვერ ვიხსენებ.



## აპორტირება



მოკლული ან დაჭრილი ფრინველის თუ წვრილფეხა ნადირის აპორტირება, პატრონის მიერ გადაგდებული თუ დაკარგული საგნის სწრაფად, ხალისიანად მოტანა მრავალმხრივ მომუშავე ყველა მონადირე ძაღლმა უნდა იცოდეს. ძაღლი, რომელიც დაუყოვნებლივ ბრუნდება დაძახილზე, ბრძანებისამებრ ჯდება და წვება - უკვე მზადაა აპორტირებაში გასაწაფავად.

აპორტირების მიზანი მხოლოდ ნანადირევის მოტანა როდია. ყველანაირ პირობებში, ციცაბო ბილიკი იქნება თუ გაუვალი ჯაგნარი, ძაღლის ვალია, პატრონის ბრძანებისთანავე გაეკიდოს დაჭრილ ნადირსა თუ ფრინველს (კურდღელს, მელას, ხოხობს...), დაეწიოს, დაიჭიროს, მოურბენინოს და ხელში მიაწოდოს. ამგვარი აპორტირების კარგად შესწავლა, მშვენიერი საფუძველია მსხვილ ნადირზე სისხლიან კვალზე მუშაობისა.

ალღოიან და ტემპერამენტიან ძაღლს მარტო აპორტირება მაინც თუ შევასწავლეთ ხარისხიანად და სხვა არაფერიც რომ არ იცოდეს, გამოცდილი მგეშავი მისგან მრავალმხრივად მომუშავე მონადირე ძაღლს დააყენებს სულ მოკლე დროში.

"თუ მწვრთნელმა კარგად ასწავლა ძაღლს მოტანა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან წარმატებით ჩააბარა გამოცდა, ვინაიდან მოტანა - ამ პროფესიის "აქილევსის ქუსლია". ეს სიტყვები ეკუთვნის ძაღლის წვრთნისა და გეშვის ერთ-ერთ უდიდეს პრაქტიკოს ჰეგენდორფს. იგი ასევე წერს, რომ ძაღლი მწვრთნელისადმი ნდობასა და სიახლოვეს ყველაზე ადვილად სწორედ მოტანის არასწორად სწავლებისას ჰკარგავს.

მანამდე, ვიდრე აპორტირების შესწავლის მეთოდებზე გადავიდოდეთ, საჭიროა საფუძვლიანად გავიგოთ ძაღლის "თვალსაზრისი" ამ საკითხზე. მაინც რატომ ხდება ასე ხშირად, რომ "მოსწავლე" და მასწავლებელი ერთმანეთს ვერ ეწყობიან და ვერ რიგდებიან?

პირველ რიგში - მოტანის თაობაზე. 1-5 გირვანქის წონის მოსატანი საგანი (სათრეველა) თანდათან 15 გირვანქამდე უნდა გავზარდოთ (ერთი გირვანქა 450 გრამია - მთ.შენ.). რაც მთავარია, **სათრეველა** საინტერესო და მიმზიდველი უნდა იყოს ძაღლისთვის, რაღაცით ნანადირევს აგონებდეს. აპორტირების დამუშავებისას მე სრულიად უარვყოფ მკაცრ საპარფორსო წვრთნას - მხოლოდ ძალდატანებით ძაღლს ვერ აიძულებ საგნის აღებას და მოტანას, თუ თვითონ არ მოაწადინე, თუ ამ საგნის მიმართ სრულიად გულგრილია.

საჭიროა, ხიდან გამოვთალოთ 30 სმ სიგრძისა და შუაწელში 4 სმ დიამეტრის ცილინდრი, რომელსაც ბოლოები უფრო სქელი ექნება. ცილინდრი შიგნიდან ღრუ უნდა იყოს, მაგრამ თავი და ბოლო ეგმანებოდეს. იგი ნანადირევის ტყავში უნდა გავახვიოთ, მაგალითად, კურდღლის, ბოცვერის, მელიის ტყავში. ანდა ფრინველის ბუმბული შემოვაკრათ - გვრიტის იქნება, ხოხბის თუ გარეული იხვის. გარეული ფრინველისა თუ არა გვაქვს, ქათმის, შინაური იხვის ან მტრედის ბუმბულის და ფრთების გამოყენებაც შეიძლება. ადვილად დავრწმუნდებით, ძაღლი ხალისით იმ სათრეველას სტაცებს პირს, რომელსაც სამი სხვადასხვა ტყავი აქვს შემოხვეული, ვინაიდან სამნაირი სუნი სამჯერ უფრო საინტერესოა. ამ სამი სუნიდან ლეკვს თუნდაც ერთის მიმართ რომ აღმოაჩნდეს თანდაყოლილი მიდრეკილება, მერე და მერე ორ დანარჩენსაც აუღებს ალღოს.

სამნაირი სუნით ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ იმას, რომ ძაღლმა დიდი ხალისით, სიხარულით ჰკიდოს პირი სათრეველას, გარდა ამისა, დაძლიოს ზიზღი ან გულგრილობა ნადირ-ფრინველის ამა თუ იმ სხვაობის მიმართ, დაინტერესდეს.

ტანდაბალი, ნაზი კონსტიტუციის ძაღლისთვის მსუბუქი სათრეველა უნდა დავამზადოთ და ის ტყავები (ან ბამბული) შემოვახვიოთ, რომელთა მიმართაც, ვატყობთ, ძაღლი ინტერესს იჩენს. ჩვენი გამოცდილებით, ასეთ შემთხვევებში ყველაზე უკეთესი გარეული კურდღლის ტყავია.

ძლიერი, ამტანი ძაღლებისთვის სათრეველას წონა უნდა გავზარდოთ - რა თქმა უნდა, თანდათანობით, მოტანის შესწავლის პროცესის პარალელურად. ამიტომ ცილინდრის შიგნით საფანტი ან ფინდიხი (კარტეჩი) ვყაროთ ხოლმე, ოღონდ ისე, რომ სიმძიმე გათანაბრებული იყოს, სათრეველა ცალ მხარეს არ იწონებოდეს და არც საფანტი ჩხრიალებდეს - დარჩენილი სივრცე ბამბით ან ძონძებით შეგვიძლია ამოვტენოთ.

დაუშვებელია სათრეველას ერთბაშად და ზედმეტად დამძიმება. ხუთგირვანქიანი სათრეველა თვით ცხრა თვის ხვადისთვისაც კი მეტისმეტია - მით უმეტეს, თუკი მთელი ოცი წუთის განმავლობაში ამ ტვირთით ველოსიპედის გვერდით უნდა ვარბენინოთ. საერთოდ კი, ასეთი შედეგებიც მიიღწევა, ოღონდ იმ ლეკვთან, რომელსაც ყოველდღიურად, მიზანმიმართულად ვავარჯიშებთ და რომელიც აპორტირების თანდაყოლილი ნიჭით გამოირჩევა.

*ფრანც გრანდერატის მიხედვით*



**იყიდება** ირლანდიური სეტერი, ხვადი, 2 წლ. რუსეთიდან ჩამოყვანილი. დედ-მამა ჩემპიონები. თვითონ საველე გამარჯვებული. საველე დიპლომები: 2 - II ხარისხის. ტელ: 8(99) 19 10 53, 60 23 77.

**იყიდება** ინგლისური სეტერის მოზრდილი ლეკვი, შვიდი თვის, ძუ. ჩინებული საგვარეულოთი. მამა საველე დიპლომებით. ტელ: 31 48 35.

**იყიდება** ინგლისური კოკერ-სპანიელის ლეკვი, 2 თვის, კარგი საგვარეულოთი. ტელ: 877 49 50 73.

**ვიყიდი** ცალსასხლეტიან ИЖ-27 ან ИЖ-39. კარგ მდგომარეობაში. უმჯობესია მეორე წყვილი ლულებითურთ. ტელ: 99 83 00. იკითხეთ ენვერი.

**ნადირობა ღორზე თურქეთში.** თბილისი-სინოპი-თბილისი. ხუთდღიანი ტური. ტ. 77 35 79, 8(99) 15 85 05 დავითი

**ჩანართი მოამზადა შადიმან შამანაძემ**

# ვაი, ამასა სოფელსა

როლანდ მალანია

სამოციანი წლების თბილისში, მახსოვს, ბევრი ჩიოდა კოჯრის ნიავის გადასხვაფერებას, რაც ორთაჭალჰესის საგუბარმა გამოიწვია. მაგრამ ინდუსტრიულ პროგრესს მსხვერპლი სჭირდებოდა და ეს ამბავიც მიჩუმათდა. წუწუნით საქმე ვერ გამოსწორდებოდა, ხოლო ორთაჭალჰესი მეოთხედ თბილისს ანათებდა და დღესაც, ავად თუ კარგად, ამ სიკეთეს ემსახურება.

მოგეხსენებათ, დედაქალაქი ხეობაში მდებარეობს და ბუნებრივი ვენტილაციის სრულად მოშლა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ზაფხულის ხვატში ქალაქს ველარ აგრილებს კოჯრიდან და წყნეთიდან საღამოობით მონაბერი გრილი ნიავი. იგი, ჩვენდა სამწუხაროდ და ჩვენთვის შეუმჩნევლად, დიდ სიმაღლეზე გადაგვივლის ხოლმე.

ეს მაგალითი იმისთვის დამჭირდა, რომ მეჩვენებინა, როგორ შეიძლება შეიცვალოს ეკოლოგიური სურათი ნებისმიერი ტექნოგენური პროექტის განხორციელებისას.

ბევრს ემახსოვრება, რა ზარ-ზეიმით აბარებდნენ პატაკს მშობლიურ კომპარტიას თბილისის გარეუბნებში ახალ-ახალი დასახლებების დაარსების გამო "კაცობრიობის დიადი მომავლის" არქიტექტორები. ასე გაჩნდა III მასივი, თემქა, გლდანის, ვარკეთილის და მუხიანის მასივები და კიდევ ცოტაც რომ დაცლოდათ, მთელ საქართველოს თბილისში გადმოასახლებდნენ. ეს შორს მიმავალი გეგმა იყო. ამჯერად კი იმაზე ვისაუბროთ, თუ რა მოჰყვა ყოველივე ზემოთქმულს.

მოგეხსენებათ, გლდანის, თემქის და მუხიანის დასახლებები მიჯრით, ერთ ზონაშია განთავსებული - თითქოს ყველაფერი რიგზე იყო: ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება; მაგრამ გამწმენდი ნაგებობები, რომლებიც ამ მახინჯი დასახლებების ფეკალური წყლების გაფილტვრას მოემსახურებოდა, პირველყოფილ დონეზე დააპროექტეს. ამ საკითხზე ყურადღების სერიოზულად გამახვილება ზედმეტ ფუფუნებად ჩათვალეს და სიბინძურის უზარმაზარი მდინარე სპეციალური მიწისქვეშა კოლექტორებით მტკვარში მიუშვეს. (ერთ დროს მტკვარზე, ქალაქის ზონაში თევზაობა აღიკვეთა, ვითომ თევზის დაცვის მიზნით. არა ბატონებო! თევზაობა მხოლოდ იმიტომ იკრძალებოდა, რომ აღნიშნულ ზონაში დაჭერილი თევზის საკვებად გამოყენება ჯანმრთელობისათვის სახიფათოა.)



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მტკვარი "ანკარა"*

შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დღეს ჩვენს მწირ ბიუჯეტს შეეძლოს აღნიშნული პრობლემის გადაჭრა, მაგრამ საკითხი მაინც დავსვათ და პერსპექტივისათვის დავისახოთ, რომ ერთ დროს ანკარა და მოლივლივე მტკვრიდან აქროლებული ხაშმი აღარ წამლავდეს შინაურს და გარეულს, ერს და ბერს, მოქალაქეს, დეპუტატს, მინისტრს და რესპუბლიკის პრეზიდენტს.

აქ გვინდოდა დაგვესრულებინა ეს პატარა რეპლიკა, მაგრამ მოგეხსენებათ, ეშმაკი ფხიზლობს - დიღმის ხიდთან კოლექტორის გადასაღებად მისულებს სხვა არანაკლებ შემაშფოთებელი სურათი გადაგვეშალა. რაღაც ოც წუთში ელექტროშოკით შეიარაღებულმა სამმა ნავტიკმა ჩაგვიარა. თოლიების გუნდი მოსდევდა ვანდალების ნავს და დენით დახოცილ თევზებს ჰაერში დააწიალებდა. დავინტერესდით და ბუნების განადგურ... უკაცრავად, გარემოს დაცვის სამინისტროს ეგიდით გაცემული ლიცენზია დაგვაფარეს თავზე და სულ უსაქმურები გვიძახეს.

დავრჩით ასე - ნირწამხდარნი, მოწამლულები და გალანძღულები...

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(93) 202767

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება 160 კვ.მ. 5-ოთახიანი, ამავე ფართის დაშენების ნებართვით, უნივერსიტეტის პირდაპირ, 90 000-ად. 23 14 64

იყიდება 2-ოთახიანი ვაჟა-ფშაველას ძეგლთან. 30 83 45

იყიდება 1-ოთახიანი ვაჟა-ფშაველას IV კვარტალში. 30 83 45

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

## მიწის ნაკვეთი

იყიდება 1500 კვ.მ. ნაკვეთი მცხეთის რაიონში, სოფ. მუხათგვერდში. ფასი შეთანხმებით. 65 87 29 გიორგი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## კომერციული ფართი

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე 27 000-ად. 77 19 40, 92 24 64 ტარიელი

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814, 8(24) 1798 95

იყიდება განვადებით "07" 1200-ად, წინასწარ 600-ის გადახდით და "ტავრია" 600-ად, წინასწარ 300-ის გადახდით. 63 29 26

იყიდება ავტომანქანა "ერაზი" ან იცვლება ავტომანქანა "ჟიგულზე". 64 79 07

იყიდება "ჰონდა-აკორდი" ავარიულ მდგომარეობაში. ტელ: 899 169181.

## სწავლება

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

## სხვადასხვა

იყიდება უცხოური წარმოების 1-ტონიანი პლასტმასის ავზი. 8(93) 34 86 78

იყიდება საქსოვი მანქანა "ტოიოტა". 38 06 59

გთავაზობთ სატელეფონო, სამისამართო, საინფორმაციო კომპიუტერული პროგრამების ინსტალაციას თქვენს კომპიუტერზე. 8(77) 74 95 29 მერაბი

ჰომეოპათი-ნევროპათოლოგი მკურნალობს ნევროზს, შიშს, შაკიკს. თევდორე მღვდლის 11. საგზაო პოლიკლინიკა, 23-ე კაბინეტი. 13.00-15.00. 39 47 28

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55, 8(93) 39 82 84

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა.

## ისრაელის მთავრობის სტიპენდიები 2003-2004 სასწავლო წლისათვის

ისრაელის მთავრობა აცხადებს სტიპენდიებს საქართველოს მოქალაქეებისათვის ისრაელის უნივერსიტეტებში სასწავლებლად 2003-2004 აკადემიური წლებისათვის.

**სწავლების სფეროები:**
სწავლების სფეროებში შეზღუდვა არ არის, თუმცა უპირატესობა მიენიჭება სოციალურ და ჰუმანიტარულ სფეროებს.

**სტიპენდიის სახეობები:**
ერთი აკადემიური წელი;
საზაფხულო კურსი;
ძულპანი" - ივრითის საზაფხულო კურსი;

საბუთების მიღების საბოლოო ვადაა 2002 წლის 10 დეკემბერი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:
**ისრაელის საელჩო საქართველოში, აღმაშენებლის 61. ტელ:94 24 58; 95 52 09.**

## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყებულია. მიღება გრძელდება.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

## სადილი ყველას!

შაბათს, 7 დეკემბერს "კათარზისში" კვლავ ღია კარის დღეა, ანუ ნებისმიერ მსურველს შეუძლია 12-დან 17 საათამდე მოვიდეს სათნოების სახლში და აქ, ადგილზე მიირთვას ცხელი გემრიელი სადილი.

**დარეკეთ 11-დან 17-საათამდე 95-16-46.**
**დავით აღმაშენებლის 121.**

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.










გაზეთი 24 საათი

4.12.02 N-185

## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"მრუდე სარკეები", რეჟ. ციცინო კობიაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**TMS**
ქეთი იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
გიორგი მასხარაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
ანტონ ბალანჩივაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
გოგა ჭაფარიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**გალერეა „ჰობი„**
"ტროპიზმი-4", ბესო ქართველიშვილის, ლაშა წიწიკაშვილისა და გიგა ხუტაშურის ნამუშევრების გამოფენა
ქართველ მხატვართა ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

**გალერეა „ვერნისაჟი„**
საიუბილეო გამოფენა "ვერნისაჟი 5 წლისაა"

**გალერეა „უნივერსი„**
"პალერმოს გამოფენა 15 წლის შემდეგ", ფარჯიანი, მატაბელი, ბუღაძე, ჭოლოშვილი
გახსნა 16:00 სთ

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"წითელი ურჩხული", რეჟ. ბრედ რატნერი
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ, ფასი 5-8 ლარი
"მობრძანდით კოლინვუდში", პროდიუსერები: სტივენ სოდერბერგი, ჯორჯ კლუნი; რეჟ. ჯოზეფ რუსო
დას: 16:00 სთ; 18:00 ფასი 5,6 ლარი

**„რუსთაველი„**
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენქსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ
დას: 17:00; 21:30 სთ. ფასი 5,7 ლარი

**„ელისო„**
"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ
დას: 15:00; 19:00 სთ, ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენქსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"გაქცევა ელისეის მინდვრებიდან"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

## TV პროგრამა 4 დეკემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ვის უნდა ოცი ათასი
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.20 მხ. ფილმი "არავის მიწა"
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 დრო და ფული
10.00 მხ. ფილმი "ვა:იშვილის ოთახი"
11.30 დოკ. სერიალი "ევროპის ბუნებრივი დიდებულება"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ქართული ენის გაკვეთილი"
14.30 დოკ. ფილმი "პალიტრა"
15.15 მხ. ფილმი "სუპერქურდობა მილანში"
16.55 ტელესერიალი "ძილის წინ"
17.10 50-50
17.45 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ისტორიანი"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.10 "მიამბეთ თქვენზე" - ი. ციციშვილი
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "სამიზნე"

### პირველი სტერეო

08.00 "ტოროლა"
10.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით
11.00 "მუსიკალური ათეულის" განმეორებით
11.45 - 13.45 პაუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 "კომედია" მხ.ფ. "შეშლილი პროფესორი 2"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 "ინგლისური მუს.ათეული" განმეორებით
21.45 აბა გამოიცანი ასოციაციოგანა
22.45 ინფაქტი
23.00 "ინფორმატორი"
23.15 სველი ხაზი
00.15 "ბრავო" მხ.ფ. "ქართან მოსაუბრენი"
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "სწრაფი დაძირვა"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ჰოლივუდის ნიშნით"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20, 22.30 მსოფლიო სპორტი
12.00 სალონი
15.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მულტფილმი
20.15 მუსიკალური პაუზა
20.30 საოცარი პირამიდა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 თინეიჯერი
23.35 მხ.ფ. "გუშაგი"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.30 მხ. ფილმი "როგორ გავხდე პრინცესა"
10.15, 12.30, 17.20, 17.50, 00.25 მუსიკა
10.20 ძველი კინო "ერთი სიყვარულის ქრონიკა"
12.20 ლიტერატურული გადაცემა
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. "მორიელთა მეფე"
22.15 მხ.ფ. "3000 მილი გრეისლენდამდე"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "სათამაშო"
13.30 მხ. ფილმი "შერგურგული ქოლგები"
15.00 მხ. ფილმი "გულთან ახლოს"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ტაქსი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "ნიღაბი"
22.30 მხ. ფილმი "9 იარდი"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 11.50, 13.40, 15.50, 16.25, 17.30, 20.50, 21.20, 21.45, 23.35 მუსიკა
11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი"
12.50 მულტფილმი "ფიფქია"
14.00 მხ. ფილმი "იაკუძას ძმა"
16.05 დოკ. ფილმი "განძი ნაშთად დასშთების"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰრაზადი"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ბენზინი სისხლში" 1-ლი სერია
21.00 მულტფილმი "ოზის კეთილი ჯადოქარი"
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "კლდეში ნაკვეთი ტაძარი ანუ სიმბელი. ეგვიპტე"
22.00 მხ.ფ. "ისტორია ღამღამობით იქმნება"
23.50 მხ.ფ. "სისხლიანი დანაშაული"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 2 სერია
10.20 სათავგადასავლო ფილმი "დასავლეთისკენ"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.10 მხატვრული ფილმი "ვინა ვარ?"
14.10 მელოდრამა "ხავერდოვანი საგა"
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა"
17.35 მხატვრული ფილმი "მოუხელთებელი შურისმაძიებლები"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.10 მხატვრული ფილმი "უკანასკნელი მისია"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 3 სერია
01.10 კომედია "ერთგული მეგობრები"
03.30 მხატვრული ფილმი "მარტოხელას მართლმსაჯულება"
05.10 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.15 მელოდია
09.25 "აჩიკუდა"
09.50 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
10.40 "პაემანი"
11.35 "სახლიდან გაუსვლელად"
12.05 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
12.45 "სახლიდან გაუსვლელად"
13.20 ანიმაცია
13.35 "ბიორითმი"
14.00 დისნეი და მისი მეგობრები
14.20 "სახლიდან გაუსვლელად"
14.55 სპორტი
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.50 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.45 "სახლიდან გაუსვლელად"
20.20 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.05 "ლა-ლა-ლა"
22.10 "სახლიდან გაუსვლელად"
22.45 "კინოკლუბი " - "დოქტორი ჟივაგო"
00.10 სპორტი
00.15 "სახლიდან გაუსვლელად"
01.00 "ბიორითმი"

### ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 "Лубянка". "Гений разведки". Фильм 2
12.05, 16.15, 00.30 "Фабрика звезд"
12.35 Дисней-клуб: "Ллойд в космосе"
13.15 Детектив "НА ГРАНИ НЕРВНОГО СРЫВА"
14.45 "Ералаш"
15.00 Искатели. "Пропавшее сокровище Ивана Грозного"
15.30 Телеканал "Новый день". "Жестокие боги Вуду"
16.50 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА", 2 с.
18.00 "Большая стирка"
19.25 Смехопанорама
21.00 "Русская рулетка"
22.00, 01.00 Время
22.40 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА", 3 с.
23.45 "Форс-Мажор"
01.00 Ночное "Время"
01.20 Телеканал "Новый день". "Прыжок из космоса"
01.50, 02.50 "Апология"
02.20 Телеканал "Новый день". "Сати"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!"
09.45 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2"
10.40 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ"
11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.10 "Экспертиза"
14.30 "Москва-Минск"
14.45, 19.20, 21.35 Вести-Москва
15.20 "Что хочет женщина"
16.20 Худ.фильм "ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!"
18.50 "Дорожный патруль"
19.05 Вести-Спорт
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 "Спокойной ночи, малыши!"
21.55 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2"
22.50 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ"
00.00 "Вести +"
00.45 Худ.фильм "ПОЕЗД ДО БРУКЛИНА"
02.35 "Дорожный патруль"



ფეხბურთი

# რონალდო იოკოჰამაში დაბრუნდა და კვლავ გაიმარჯვა

"სამეფო კლუბი" მესამედ ეუფლება საკონტინენტთაშორისო თასს

აკა ტონია

*რეალი:* *კასილასი, სალგადო, ელგერა, იერო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, კამბიასო (პავონია 90`), მაკელელე, ზიდანი (სოლარი 86`), რონალდო (გუტი 82`), რაული;*
*ოლიმპია:* *ტავარელი, ისასი, პედრო ბენიტესი, ზალაია, ჟარა, ორტემანი, კაჩერესი, ენკისო, კორდობა (ბაესი 65`), ლოპესი, მიგელ ანხელ ბენიტესი (კაბალერო 81`);*
*მსაჯი:* *კარლოს ეუგენიო სიმონი (ბრაზილია);*
*გოლები:* *1:0 რონალდო (13`), 2:0 გუტი (84`);*
*გაფრთხილება:* *რობერტო კარლოსი, კაჩერესი;*
*66.070 მაყურებელი*



რონალდო თავისი ახალი "Toyota"-თი

REUTERS

ჩემპიონთა ლიგის ახლანდელი ჩემპიონი, მადრიდის "რეალი", კლუბის საიუბილეო მე-100 წელს მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ტიტულით დაასრულებს.

გუშინ იოკოჰამაში, საკონტინენტთაშორისო თასის შეხვედრაში, მადრიდელებმა ლიბერტადორესის თასის გამარჯვებული, პარაგვაის "ოლიმპია" 2:0 დაამარცხეს და "Toyota"-ს თასს დაეუფლნენ.

უკანასკნელ ხანს "რეალის" სპორტულ ჩავარდანზე ბევრს საუბრობენ, თუმცა, გუშინდელ შეხვედრაში მაყურებელმა სრულიად სხვა გუნდი იხილა. შესაძლოა, მადრიდელთა დიდი უპირატესობა მეტოქის სისუსტითაც იყო გამოწვეული, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ოლიმპია" ლიბერტადორესის თასის გამარჯვებულია, ეს კი სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდის ტიტულთან შეიგვიძლია გავაიგივოთ. ასეა თუ ისე, "სამეფო კლუბის" წარმატება 100 პროცენტით დამსახურებულია.

მატჩის გმირი გახდა ბრაზილიელი რონალდო, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში განცდილი ტრიუმფიდან ხუთი თვის შემდეგ კვლავ დაბრუნდა იოკოჰამას სტადიონზე და ამჯერადაც გაიმარჯვა. მატჩის მე-13 წუთზე მის მიერ გატანილი პირველი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა "რეალისთვის", თანაგუნდელის შესაცვლელად შემოსული გუტის მიერ 84-ე წუთზე გატანილი თავური კი მადრიდელთა აურაცხელი შეტევების ლოგიკური დაგვირგვინება იყო.

ალბათ, იმის თქმაც შეიძლება, რომ ეს იყო რონალდოს პირველი მატჩი "რეალის" შემადგენლობაში, რომელშიც მან თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა შეძლო. ბრაზილიელი "სამეფო კლუბის" თითქმის ყველა შეტევის მონაწილე და დამაგვირგვინებელი იყო, თუმცა, გუშინ მთელი გუნდი ბრწყინავდა - სუსტი წერტილი "რეალს", უბრალოდ, არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში "ოლიმპიამაც" შექმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, თუმცა, იკერ კასილასმა ჩინებულად ითამაშა და პარაგვაელთა იშვიათ დარტყმებს იგერიებდა. მეორე ტაიმი მადრიდელთა დიდი უპირატესობით წარიმართა. "რეალი" ლაღ და შემტევ ფეხბურთს თამაშობდა, თითქმის ყოველი იერიში სახიფათო მომენტით მთავრდებოდა, რომელთაც შემდეგ თავად მადრიდელები "აფუჭებდნენ". იოკოჰამას სტადიონზე მისული 66 ათასი გულშემატკივარი აღტაცებული იყო - "რეალი" ხომ მათთვის თამაშობდა...

გუშინდელი გამარჯვება "რეალისთვის" მესამე იყო საკონტინენტთაშორისო თასზე (მანამდე კლუბმა ეს თასი 1960 და 1998 წლებში მოიპოვა). ამ შედეგით "სამეფო კლუბი" იტალიურ "მილანს" და ურუგვაულ "პენიაროლსა" და "ნასიონალს" გაუთანაბრდა.

აღსანიშნავია, რომ საკონტინენტთაშორისო თასის უკანასკნელი 8 გათამაშებიდან, ევროპული გუნდი "Toyota"-ს თასს მეშვიდედ ეუფლება. სამხრეთამერიკელთაგან უკანასკნელად არგენტინულმა "ბოკა ხუნიორსმა" გაიმარჯვა (2000 წელს).

გუშინდელი გამარჯვებისთვის "რეალის" თითოეული მოთამაშე 48.000 ევროს ოდენობის პრემიას მიიღებს. ეს თანხა სიმბოლურია იმასთან შედარებით, რასაც მათ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში ჰპირდებიან: ევროპულ ასპარეზზე ხელახალი წარმატების შემთხვევაში, თითოეული ფეხბურთელი 510.861 ევროთი გამდიდრდება.

მატჩის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელისათვის დაწესებული პრიზი – "Toyota"-ს მარკის ავტომობილი რონალდოს გადასცეს.

## აზიიდან ევროპაში

### ირლანდიის ნაკრები, შესაძლოა, იაპონელთა ყოფილმა დამრიგებელმა გაწვრთნას

პაატა თოთაძე

დღითი დღე მცირე დრო რჩება ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის განახლებამდე, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე - ირლანდიის ეროვნული გუნდი კი კვლავაც უმწვრთნელოდაა, რაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ძალიან ანაღვლებს.

დიდი ფეხბურთი ფილიპ ტრუსიეს არასდროს უთამაშია. არც დიდ მწვრთნელებს შორის მოიხსენიება, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ის ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ინტერესის ობიექტი გახდა. რამ გადააწყვეტინათ ირლანდიელებს, ნაკრები ტრუსიესთვის ჩაებარებინათ, უცნობია, მაგრამ დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ამ წინადადებით უკვე მიმართეს ფრანგ მწვრთნელს და ახლა მის პასუხს ელიან. მართალია, ირლანდიელები უარყოფენ ტრუსიესთან მოლაპარაკების ფაქტს, მაგრამ ამას თავად ფრანგი მწვრთნელი ადასტურებს: "მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არაერთმა ფედერაციამ მომმართა ნაკრების გაწვრთნის წინადადებით. ბოლო მათგანი ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია იყო. იაპონიაში მუშაობის შემდეგ, ვფიქრობ, ცოტა ხანს დასვენება მჭირდება. თანაც, მუხლზე ახლახან გამიკეთეს ოპერაცია. ვფიქრობ, იანვრისთვის მწყობრში ვიქნები და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებ", - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა ტრუსიემ.

სხვათა შორის, ტრუსიე ერთადერთი არ არის, ვისაც შეიძლება ირლანდიის ნაკრების გაწვრთნა დაევალოს. კანდიდატთა შორის არიან ბრაიან რობსონი, კენი დალგლიში და ბრაიან კერი. ირლანდიური მედიის ინფორმაციით, ტრუსიეს კანდიდატურამ იმიტომ წამოიწია წინა პლანზე, რომ მას ტალანტების აღმომჩენი მწვრთნელის რეპუტაცია აქვს. ირლანდიის ნაკრებს კი გაახალგაზრდავება სჭირდება. ირლანდიელთა აზრით, ტრუსიე სწორედ ის კაცია, ვინც ამას საუკეთესოდ და უმტკივნეულოდ გააკეთებს.

ძალოსნობა

## კახიაშვილმა „24 საათს" ნამდვილი მიზეზი გაუმხილა

*ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე გიორგი ასანიძის წარმატებამ, რა თქმა უნდა, გაახარა სპორტის ქართველი გულშემატკივარი. თუმცა, არანაკლები ინტერესით ველოდით ჩვენი კიდევ ერთი თანამემამულის, საბერძნეთის სახელით მოასპარეზე კახი კახიაშვილის გამოსვლას...*

პაატა თოთაძე

ბევრისთვის მოულოდნელად, კახიაშვილმა ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ბუნებრივია, მიზეზი ყველას აინტერესებდა. ოფიციალურად, ბერძნებმა კახის დაღლილობა მოიმიზეზეს, მაგრამ სინამდვილეში მიზეზი სულ სხვა ყოფილა. საქმე ის არის, რომ კახიაშვილმა წონა შეიცვალა და ამირიდან, 95 კგ წონითი კატეგორიის ნაცვლად, მძიმეში იასპარეზებს. "ამ წონაში ჩემთვის უცნობი სპორტსმენები გამოდიან და მაინტერესებდა, ვინ რას წარმოადგენს, ვის რა შეუძლია. სწორედ ამიტომ ვთქვი უარი ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ტიტულები ნამდვილად არ მაკლია და ერთი ჩემპიონატის გამოტოვება არაფერს დამაკლებს, სამაგიეროდ, მეტოქეები უკეთ გავიცანი. ახლა უკვე ვიცი, ვინ როგორ უნდა დავამარცხო", - "24 საათთან" საუბარში განაცხადა კახიაშვილმა.

წლეულს არც ერთი ტურნირი აღარ ჩატარდება. მომავალ წელს კი ევროპის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს და ასანიძეც და კახიაშვილიც კონტინენტის ჩემპიონობისთვის ემზადებიან. სხვათა შორის, ასანიძე პოლონეთში სწორედ კახიაშვილის პირადმა ექიმმა გასინჯა, უფრო სწორად, ქართველ ძალოსანს ვარშავის ერთ-ერთ კლინიკაში, ბერძენი ექიმის მეთვალყურეობით ჩაუტარდა გამოკვლევა. ახლა ასანიძე გამოკვლევის პასუხს ელის. საუკეთესო შემთხვევაში, ის ოპერაციას გადაურჩება, მაგრამ თუ მაინც საჭირო გახდა, ასანიძეს მას ათენში გაუკეთებენ.

მინი ფეხბურთი

## „სპარტაკში" ორ ქართველს ერთი ჩაენაცვლება

*22-28 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს ზაზა ბენდელიანის სახელობის ტრადიციული, რიგით მეთერთმეტე ტურნირი მინიფეხბურთში. ეს ასპარეზობა, წლიდან წლამდე, მონაწილე გუნდების შემადგენლობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების გამო, სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ტურნირს სხვა დატვირთვაც აქვს. თბილისში ჩამოსული ლეგიონერები და ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდები "ბენდელას თასს" ზამთრის მოსამზადებელი პერიოდისთვის იყენებენ. შემადგენლობის მხრივ, არც მომავალი ტურნირი იქნება უინტერესო. ორგანიზატორები მოლაპარაკებას აწარმოებენ რუსეთის ერთ-ერთ უძლიერეს მინისაფეხბურთო კლუბთან და შეიძლება თბილისში მოსკოვის "სპარტაკიც" ვიხილოთ, მაგრამ, ამჯერად ქართველი ლეგიონერების ალეკო ძაბირაძისა და ანდრო მიზანდარის გარეშე. ეს ორი ფეხბურთელი თბილისში იმყოფება და დღეს "24 საათის" სტუმრები არიან.*

დიმიტრი ობოლაძე



ალეკო ძაბირაძე და ანდრო მიზანდარი "24 საათის" რედაქციაში

მარიკა ბუხაიძის ფოტო

### დღევანდელი სიტუაცია

**ანდრო მიზანდარი:** "მე და ალეკოს კონტრაქტი დაგვიმთავრდა. კლუბის ხელმძღვანელობამ ვადის გახანგრძლივება არ ისურვა. თუმცა, არსებობს რამდენიმე სავსებით რეალური ვარიანტი და უგუნდოდ არ დავრჩებით."

**ალეკო ძაბირაძე:** "გუნდში პოლიტიკა შეიცვალა. ჩვენს გარდა, "სპარტაკში" ორი უკრაინელი თამაშობდა. ოთხივე ლეგიონერი დაგვითხოვეს და ჩვენი მწვრთნელი, ლოვჩევი, უკვე რუსებზე აკეთებს აქცენტს."

*ცნობისთვის: "სპარტაკი" ქართველის გარეშე მაინც არ დარჩენილა. ბესიკ ზოიძემ რუსეთის მოქალაქის პასპორტი მიიღო და, სულ ცოტა, სამ წელიწადს "სპარტაკში" გაატარებს. თუმცა, მას პრობლემაც შეექმნა. ზოიძე, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა რუსეთში, ვერც საქართველოს ნაკრებში ითამაშებს და ვერც რუსეთის ღირსებას დაიცავს.*

### რუსეთის ჩემპიონატი

**ანდრო მიზანდარი:** "პირველობა ძალიან მაღალი დონისაა. მინიფეხბურთი, ანუ "ფუტ-ზალი" უდიდესი პოპულარობით სარგებლობს როგორც მოსკოვში, ისე პროვინციებშიც. ტრიბუნები, თითქმის ყველა ქალაქში, ბოლომდე ივსება. მინიფეხბურთს სერიოზული სპონსორები ჰყავს. ამის გამო, საკმაოდ მაღალია ფეხბურთელთა ანაზღაურება და, შესაბამისად, სათამაშო დონეც იზრდება. მომავალი სეზონიდან რუსეთში ჩამოყალიბდება სუპერ-ლიგა, რომელშიც ქვეყნის 12 უძლიერესი გუნდი გაერთიანდება."

**ალეკო ძაბირაძე:** "იქ ნამდვილ პროფესიონალად გრძნობ თავს. ეს იმას ნიშნავს, რომ, ფეხბურთის თამაშის გარდა, არაფერი გევალება. მოგვარებულია ყველა ყოფითი პრობლემა. კლუბი, წლების განმავლობაში, კონტრაქტის მოხედვით გვინაზღაურებდა კვების, ცხოვრების, გადაადგილების ხარჯებს. "სპარტაკს" საკუთარი თვითმფრინავიც აქვს. ეს, თავისთავად, მრავლისმეტყველი ფაქტია. მოკლედ, ძალიან მაღალი დონეა, რომლის მიღწევასაც ჩვენთან საკმაოდ დიდი დრო და, ალბათ, სხვანაირი აზროვნება დასჭირდება."

### საქართველოს ნაკრები

**ანდრო მიზანდარი:** "მინიფეხბურთის აქაური დონე ყველასთვის ცნობილია. თუმცა, ერთი რამ კატეგორიულად უნდა განვაცხადო: ქართულ მინიფეხბურთს და ფეხბურთელებს დიდი პოტენციალი აქვთ. ამ პოტენციალის სწორად გამოყენებისა და ოპტიმალური შემადგენლობის შემთხვევაში, ნაკრები სერიოზული ძალა გახდება. ამასთანავე, აუცილებელია დაფინანსება, სავარჯიშო პირობების შექმნა და ასე შემდეგ."

**ალეკო ძაბირაძე:** "საქართველოში მინიფეხბურთი ძალიან უყვართ და თამაშობენ კიდეც. პოტენციალი, რა თქმა უნდა, დიდია. თუმცა, მომავალზე ზრუნვაა საჭირო. როცა დღევანდელი თაობა თამაშს დაასრულებს, შემდეგ უფრო სერიოზული პრობლემების წინაშე დავდგებით."

### ბენდელას თასი

**ანდრო მიზანდარი:** "ამ ტურნირში აუცილებლად ვითამაშებ. სხვათა შორის, ერთხელ მე და ალეკო ერთად გავხდით ტურნირის ჩემპიონები. ერთხელ ფინალშიც ვითამაშე და დავმარცხდი. რაც შეეხება საორგანიზაციო მხარეს, შემადგენლობა საკმაოდ ძლიერია და თუ ჩვენს გუნდებს "სპარტაკი" დაემატა, ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდება."

**ალეკო ძაბირაძე:** "მოსკოველები აქ იმ შემთხვევაში ჩამოვლენ, თუ მოგვარებული იქნება ყველა პრობლემა. წინა ტურნირის შემდეგ "სპარტაკის" ხელმძღვანელობა კმაყოფილი დაბრუნდა რუსეთში. ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, რაც აღინიშნა კიდეც. ასე რომ, დიდი შანსია, ჩვენი ყოფილი გუნდი ჩამოვიდეს."

### ჩაშლილი მატჩი

*საუბარი "დიდ" ფეხბურთსაც შეეხო. მაშინ, როდესაც საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა შეხვედრა, "ლოკომოტივის" სტადიონზე ჩაიშალა, მიზანდარი თბილისში იყო, ძაბირაძე კი - მოსკოვში.*

**ალეკო ძაბირაძე:** "იმ მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. რეპორტაჟს თვალს ვადევნებდი და, მახსოვს, პირველი რეაქცია საყოველთაო გაოცება იყო. უხერხული სიტუაცია შეიქმნა სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროსაც. ტელევიზორში მხოლოდ სტვენა ისმოდა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც რუსეთის ნაკრები დროშისკენ შეტრიალდა. ქართველების მიმართ რუსეთში არსებული დამოკიდებულება ყველას კარგად მოეხსენება. რუსები თვლიდნენ, რომ ქართულმა მხარემ სპეციალურად ჩაშალა მატჩი. ძალიან დაძაბა სიტუაცია გაზაევის პირველმა ინტერვიუმ, რომელიც მან აეროპორტში მისცა. ხშირად უჩვენებდნენ კადრებს, რომლებშიც ჩანდა, რომ ავტობუსს რაღაც საგნებს ესროდნენ, ჩანდა ჩამსხვრეული მინა. სიტუაცია განმუხტეს თბილისიდან დაბრუნებულმა კოლოსკოვმა და ფეტისოვმა. მათ განაცხადეს, რომ არავითარი პრობლემა არ შექმნიათ და ქართველებმა შესანიშნავად მიიღეს. გაზაევი ძალიან ცდილობდა, მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გადაეტანათ, მაგრამ ვერაფერს გახდა. იმაში, რომ გადათამაშება თბილისში გაიმართება, სწორედ კოლოსკოვს მიუძღვის დიდი წვლილი."

### ჩემპიონთა ლიგა

**ანდრო მიზანდარი:** "ალბათ, ყველაზე პრესტიჟული ტურნირია. დონემ ძალიან აიწია და მკაფიოდ გამოიკვეთა თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელის როლი. გამოჩნდა, რომ გუნდის შესაქმნელად მხოლოდ კარგი ფეხბურთელები არ კმარა. რაც შეეხება თავად ლიგას, მე ტურინის "იუვენტუსის" და მადრიდის "რეალის" გულშემატკივარი ვარ. არა მგონია, რომელიმე მათგანმა თასი ვერ მოიპოვოს".

**ალეკო ძაბირაძე:** "ანდროს ვეთანხმები იმაში, რომ ჩემპიონთა ლიგა ძალიან მაღალი დონეა. მე "იუვენტუსის" გულშემატკივარი ვარ, თუმცა, მგონია, რომ მას გაუჭირდება ფინალში გასვლა. გააჩნია, გათამაშება როგორ წარიმართება."

*22-28 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლე "ბენდელას თასის" რიგით მეთერთმეტე გათამაშებას მასპინძლობს. მიზანდარი და ძაბირაძე აუცილებლად ითამაშებენ - ისინი რუსეთში გასამგზავრებლად ემზადებიან. ქართველი ფეხბურთელებით რუსეთის ჩემპიონატის მეცხრე ადგილზე მყოფი გუნდი, ფინანსურად საკმაოდ ძლიერი, მოსკოვის გარეუბნის "სპარტაკი" დაინტერესდა.*

მოკლედ

**ფეხბურთი.** დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თანამეგობრობის თასის მოსკოვის ტურნირი, რომელიც, ტრადიციულად, ყოველწლიურად იანვარში იმართება და არსებობის ათი წლისთავს ითვლის, 100 ათასდოლარიანი საპრიზო ფონდის გარეშე დარჩა. საქმე ის არის, რომ კომპანია "იტერამ", რომელიც ამ ტურნირის მთავარი სპონსორი იყო, ყოფილი საბჭოეთის 15 რესპუბლიკის ეროვნული ჩემპიონატების გამარჯვებულთა ტურნირის დაფინანსებაზე უარი განაცხადა. ამჟამად რუსეთის საფეხბურთო კავშირი ახალი გენერალური სპონსორის ძიებაშია და ამ მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებს რამდენიმე მეტალურგიულ და ნავთობკომპანიასთან. თუმცა, როგორც რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა, ალექსანდრ ტუკმანოვმა განაცხადა, ეს მოლაპარაკებები წარმატებითაც რომ დასრულდეს, ტურნირი მაინც ჩატარდება, ხოლო საპრიზო ფონდს ერთობლივად დააფინანსებენ რუსეთის საფეხბურთო კავშირი და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი. შეგახსენებთ, რომ 2003 წლის იანვარში გასამართ ამ ტურნირში საქართველოს ღირსებას ქუთაისის "ტორპედო" დაიცავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი**. რომის "ლაციოს" მთავარმა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღიარა, რომ მოუთმენლად ელის იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურს, რომელშიც სერია A-ს წლევანდელ გათამაშებაში სატურნირო ცხრილის სათავეში პირველად მოქცეული მისი გუნდი მილანის "ინტერს" დაუპირისპირდება. "როდესაც ჩემი გუნდი ასეთ მნიშვნელოვან მატჩს ატარებს, გული მწყდება, რომ მოთამაშის კარიერა დასრულებული მაქვს. "ინტერს" მაღალი კლასის ბევრი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ განსაკუთრებით ვიერის ვუფრთხი. მე მასთან ერთად ვთამაშობდი "ლაციოში" და ვიცი, რამდენად სახიფათოა იგი", - განაცხადა მანჩინიმ. შეგახსენებთ, რომ იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ვიერიმ "პოკერი" შეასრულა: მან "ბრეშიას" ოთხი გოლი გაუტანა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ცნობილი ბრიტანული საფეხბურთო კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" თავმჯდომარე, მარტინ ედვარდსი, ჯენტლმენისთვის შეუფერებელი საქციელის გამო, ქვეყნის პოლიციის ყურადღების ობიექტი გახდა. როგორც ირკვევა, 57 წლის ედვარდსი პოლიციაში გამოიძახეს და მკაცრად დატუქსეს იმის გამო, რომ ჩეშირის საგრაფოს ერთ-ერთ სასტუმროში ქალი შეურაცხყო. კანონის დამცველთა მონაცემებით, ამ სასტუმროში ედვარდსი ერთ სტუმარ ქალბატონს დაედევნა და ტუალეტშიც კი შეყვა, ხოლო შემდეგ კარის ღრიჭოდან ცდილობდა შეჭვრეტას. გარეგნულად დარბაისელი მამაკაცის ასეთმა აცუცურაკებამ ქალბატონი ერთობ განარისხა და ამის თაობაზე შეატყობინა სასტუმროს დაცვას, რომელიც, თავის მხრივ, პოლიციას დაუკავშირდა. ედვარდსი, რომელიც, 30 წელიწადზე მეტია, კანონიერ ქორწინებაში იმყოფება და ორი შვილიც ჰყავს, პირველად არ გაეხვა მშვენიერ სქესთან დაკავშირებულ სკანდალში. ბოლო ასეთი ფაქტი დაკავშირებულია მეძავებთან, რომლებიც ედვარდსმა ჟენევაში გამართულ საფეხბურთო ბოსთა შეხვედრაზე მიიყვანა.

■ ■ ■

**ფეხბურთი**. "მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი მცველი, მიქაელ სილვესტრი, სავარაუდოდ, თავის კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ძველი კონტრაქტის ვადა მომავალი წლის ზაფხულში იწურებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სილვესტრი "თავისუფალი აგენტი" გახდებოდა და ახალი სამუშაოს მოძებნა მოუწევდა. მაგრამ "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ "მიქაელი ძალიან კარგად თამაშობს და იგი ამ თამაშში ნამდვილად თავის სულს აქსოვს. სილვესტრის სამსახური "მანჩესტერ იუნაიტედს" კიდევ სჭირდება". "მანჩესტერში" კარიერის გაგრძელებაზე არც თავად სილვესტრი ამბობს უარს, რაც, ალბათ, არავისთვის არ უნდა იყოს მოულოდნელი. წინასწარი ინფორმაციით, ყველაზე პოპულარული ბრიტანული კლუბი და ფრანგი ფეხბურთელი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჰოლანდიის "აიაქსის" რუმინელი კაპიტანი, კრისტიან კივუ, თავის გუნდს მომავალი წლის იანვრამდე გამოაკლდა. მან ტრავმა მიიღო ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, რომელშიც "აიაქსმა" "ტვენტეს" უმასპინძლა და გაიმარჯვა (2:1). შესაბამისად, კივუ მონაწილეობას ვერ მიიღებს ეროვნული ჩემპიონატის მომდევნო ორი ტურის შეხვედრაში, ასევე ჩემპიონთა ლიგის მატჩში, რომელსაც "აიაქსი" მომავალ კვირაში გამართავს იტალიის "რომას" წინააღმდეგ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მრავალი შეთავაზების მიუხედავად, საფრანგეთის ნაკრებისა და "ოსერის" თავდამსხმელმა ჯიბრილ სისემ გადაწყვიტა, რომ არ გამოიცვალოს სამუშაო ადგილი. მართალია, მას "ოსერთან" კონტრაქტი დაუმთავრდა, მაგრამ სისემ და "ოსერმა" გააფორმეს ახალი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ეს ფეხბურთელი ფრანგულ კლუბში 2007 წლამდე დარჩება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ახლო წარსულში ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი, ამჟამად კი პოლონეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზბიგნევ ბონეკი პოსტიდან გადადგა. "ჩემი გადაწყვეტილების შესახებ სამშაბათს ვაცნობე პოლონეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს, მიხალ ლისტკევიჩს, თუმცა, მანამდე, რამდენიმე დღის განმავლობაში, ვფიქრობდი ამ ნაბიჯის გადადგმაზე და დავრწმუნდი, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი", - განაცხადა "იუვენტუსის" ყოფილმა ფეხბურთელმა. ბონეკის ხელმძღვანელობით პოლონეთის ნაკრებმა ხუთი მატჩი ჩაატარა: ორში გაიმარჯვა, ორი თამაში დათმო, ხოლო ერთში ფრე დაფიქსირდა.


J 1 რუსიკო ამაშუკელი ასაკი-16, 182/91/62/92, თვალი - თაფლის, თმა - შავი


J 2 სოფიკო კუპრაძე ასაკი-13, 172/81/63/90, თვალი - ცისფერი, თმა - წაბლის


J 3 გვანცა ფოფხაძე ასაკი-15, 177/84/64/91, თვალი - ყავის, თმა - წაბლის


J 4 ნინო ოსაძე ასაკი-17, 177/91/68/93, თვალი - მწვანე, თმა - წაბლის


J 5 ბელა ძაგანია ასაკი-17, 178/91/68/93, თვალი - თაფლის, თმა - ღია წაბლის


J 6 თათა ქართველიშვილი ასაკი-16, 178/89/61/90, თვალი - მწვანე, თმა - წაბლის


გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

# მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საფირმო კონტრაქტი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

# თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

„პირველი ელექტრონული გამომცემლობა"
სერიიდან „ლიტერატურა თანამედროვე ქართველი კრიტიკოსისთვის"
გთავაზობთ
მეორე წიგნს

# ქართული ფოლკლორი

საუკეთესო საჩუქარი თქვენთვის, თქვენი შვილებისა და საზოგადოებისთვის!

თქვენი ელექტრონული ბიბლიოთეკისათვის!

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.